

დამხმარე
სახელმძღვანელო
პედაგოგებისათვის



A2+

სავარჯიშო რვეული

2017



**დამხმარე
სახელმძღვანელო
პედაგოგიებისათვის**

სავარჯიშო რვეული

A2+

„დამხმარე სახელმძღვანელო ჰედაგომგებისათვის“ A2+ რვეულზე მუშაობდნენ:

ჰგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:

ნანა შავთვალაძე

დარგობრივი ექსპერტი:

მზია სულამანიძე

ავტორები:

ნანა შავთვალაძე

ნანა ფრუიძე

გიული შაბაშვილი

რედაქტორები:

გიული შაბაშვილი

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახემწიფო ადმინისტრირების სკოლა



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „პოლიგრაფი“



ყაბევის 24გ. ტელ.: 231 24 72
E-mail: poly@gol.ge www.poly.ge

ISBN 978-9941-27-706-1

თავი I გაკვეთილის პროცესი.....	4
1.1. სკოლა „იმედი“.....	4
1.2. გაკვეთილის გეგმა.....	11
1.3. კონსტრუქტივისტული გაკვეთილი.....	19
თავი II მოსწავლის აზროვნება, ინტელექტი და კოგნიტური განვითარება.....	27
2.1. მოსწავლის აზროვნება, შემეცნება და კოგნიცია.....	27
2.2. მრავალმხრივი ინტელექტი.....	35
2.3. კოგნიცია, კოგნიტური განვითარება.....	42
თავი III აზროვნება, მოსწავლის აზროვნებისა და განვითარების დონეები.....	50
3.1. აზროვნება და ფიქრი.....	50
3.2. აზროვნების დონეები.....	58
3.3. მოსწავლის განვითარების დონეები.....	66
შემაჯამებელი.....	75
თავი IV მოსწავლის მოტივაცია და სასკოლო გარემო.....	85
4.1. მოსწავლის მოტივაცია.....	85
4.2. ეფექტური კომუნიკაცია.....	93
4.3. სასწავლო გარემო.....	101
თავი V სწავლების ფორმები და კლასის მართვა.....	110
5.1. სწავლების ფორმები.....	110
5.2. კლასის მართვის სტილი.....	118
5.3. სწავლების მოდელები.....	126
თავი VI შეფასება, პროფესიული განვითარება, ინკლუზიური განათლება.....	136
6.1. სასწავლო პროცესის შეფასება.....	136
6.2. პროფესიული განვითარება.....	144
6.3. ინკლუზიური განათლება.....	153
შემაჯამებელი II.....	164
მოსასმენი დიალოგები.....	172
პასუხები.....	190

თავი I

გაკვეთილის პროცესი

1.1. სკოლა „იმედი“

I. წინადადებებში შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული ფრაზები:

ნიმუში: ახალი სასკოლო საგანი „ჩვენი საქართველო“ ყველა მოსწავლეს ძალიან მოსწონს.

„ჩვენი საქართველო“

სხვადასხვა აქტივობა
საგნობრივი კათედრა
სერთიფიკატის აღება
პრაქტიკოსი მასწავლებელი
ახალი მოსწავლე
მეთოდის გამოყენება
უფროსი მასწავლებელი
წარმატებული პროექტი
საქართველოს ისტორია
ადვილი საგანი

1. „წიგნის ფესტივალი“ ამ წლის ყველაზე ----- იყო.
2. ლიზას მასწავლებლის ----- უნივერსიტეტში სწავლის დროს უნდოდა.
3. წელს დირექტორმა ხუთი ----- მიიღო.
4. ქიმიის გაკვეთილზე ახალი ----- ძალიან სახალისოა.
5. კოტემ ყველაზე კარგად ----- იცის იმიტომ, რომ ეს საგანი ძალიან მოსწონს და ბევრს მეცადინეობს.
6. ტრენინგს, ალბათ, ----- ჩაატარებს 3-დან 5 საათამდე.
7. ჩვენი ბიბლიოთეკის გამგემ ფესტივალისთვის ----- დაგეგმა.
8. საქართველოს სკოლებში აუცილებლად არის რამდენიმე -----.
9. ანა ფიქრობს, რომ მათემატიკასთან შედარებით, ბიოლოგია უფრო -----.
10. ლიზა კარგად იცნობს ქალბატონ თამარს. ის ყველაზე ძლიერი ----- არის.

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: 1ბ – სახალისო პროცესი

1. სახალისო ა. თანამშრომლობა

2. ბევრი	ბ. პროცესი
3. პრაქტიკოსი	გ. ტექსტი
4. თანამედროვე	დ. კათედრა
5. ახალი	ე. პრეზენტაცია
6. აქტიური	ვ. მასწავლებელი
7. საინტერესო	ზ. მოსწავლე
8. ყველა	თ. მეთოდები
9. სხვადასხვა	ი. ინფორმაცია
10. საგნობრივი	კ. მშობელი

ბ) ჩასვით წინადადებებში ზემოთ დაკავშირებული წყვილები:

1. „წიგნის ფესტივალის“ პროექტზე მუშაობა ---- სახალისო პროცესი ---- იყო.
2. მათემატიკის ახალი მასწავლებელი ----- ძალიან მოსწონს.
3. სკოლა „იმედში“ უკვე ძალიან ----- სწავლობს.
4. ნინოს უფროსი და მხოლოდ ოცდაორი წლისაა, მაგრამ უკვე -----.
5. საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებმა ----- აუცილებლად უნდა გამოიყენონ.
6. სასწავლო პროცესში ბევრი ----- მიღება შეიძლება.
7. ქიმიის მასწავლებელი ----- მოამზადებს.
8. ძალიან მნიშვნელოვანია მშობლებისა და მასწავლებლების -----.
9. ჩვენს სკოლაში ყველა ----- ატარებს გასაუბრებას ახალ მასწავლებელთან.
10. ნინომ საქართველოს ისტორიაში პრეზენტაციისთვის ----- წაიკითხა.

III. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

ნიმუში: პრაქტიკოსი მასწავლებელი გევმავს და ჩაატარებს/ატარებს გაკვეთილს.

ა) დრო – როდის?

1. საგნობრივი კათედრის მასწავლებლები ხშირად იმსჯელებს/მსჯელობენ გაკვეთილის ჩატარების თანამედროვე მეთოდებზე.
2. მოსწავლეები ყოველდღე ბევრ დავალებას დაწერეს/წერენ.

3. გავკეთილი საინტერესოა, როცა მასწავლებელი სხვადასხვა აქტივობას გამოიყენა/იყენებს.
4. ქალბატონი თამარი ყოველთვის გაითვალისწინოს/ითვალისწინებს ბავშვის ასაკს იმიტომ, რომ ეს მნიშვნელოვანია.
5. განათლების სამინისტროს კონსულტანტმა გასულ წელს აქტიურად ითანამშრომლა/ითანამშრომლებს ჩვენს სკოლასთან.

ბ) პირი - ვინ?

6. საგნობრივი კათედრები ერთად **მუშაობენ/იმუშავა** პროექტზე.
7. ლიზას კარგად **ახსოვს/მახსოვს**, როგორ წავიდა ახალი ლამაზი ჩანთით სკოლაში პირველად.
8. ბავშვებს **მოსწონდათ/მომწონდა** ფიზიკის ახალი მასწავლებელი იმიტომ, რომ მისი გაკვეთილები ძალიან სახალისოა.
9. სკოლის მოვალეობაა, მაქსიმალურად **გაითვალისწინოს/გავითვალისწინო** მოსწავლის მშობლების ინტერესები.
10. ღონისძიება გაკვეთილების შემდეგ 4 საათისთვის უნდა **დაიწყოს/დაიწყება**.

IV. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით გზნები სწორი ფორმით ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში: სკოლაში წასვლამდე ნინო დილით კიდევ ერთხელ წაიკითხავს გაკვეთილს.

გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
წაიკითხა	კითხულობს	წაიკითხავს	წაიკითხოს
გაითვალისწინა			
		ითანამშრომლებს	
			იმსჯელოს
	იყენებს		
ჩაატარა			
		დაწერს	
			მოამზადოს
მიიღო			
	აკეთებს		
			დაგვეგმოს

1. -----
2. -----
3. -----
4. -----
5. -----
6. -----
7. -----
8. -----
9. -----
10. -----

V. ჩასვით წინადადებებში შესაფერის დროსა და ფორმაში მოცემული სიტყვები:

შევსება ჩატარება მსჯელობა მუშაობა გამოყენება
საუბარი მოწონება წასვლა დაგეგმვა მომზადება გათვალისწინება

ნიმუში: პირად ანკეტას ყველა მასწავლებელი ავსებს.

1. მოსწავლეები კარგად ----- თანამედროვე ტექნიკას.
2. მასწავლებელი ყოველთვის ----- გაკვეთილს.
3. ლიზა გაკვეთილის დროს ----- მოსწავლეების ინტერესებს.
4. მასწავლებლები ბევრს ----- „წიგნის ფესტივალის“ შესახებ.
5. ნინო უფროს დასთან ერთად ----- პრეზენტაციაზე.
6. სკოლის დირექტორი ამბობს, რომ „წიგნის ფესტივალი“ აუცილებლად უნდა ----- მაისის დასწყისში.
7. მეათე კლასის მოსწავლეები თავისუფლად ----- ინგლისურად.

8. კოტე და ნინო პრეზენტაციას ფიზიკის გაკვეთილისთვის გუშინ დილიდან საღამომდე -----.
9. ნინოს ძალიან ----- ქალბატონი თამარის გაკვეთილები.
10. საგნობრივი კათედრის გამგე ყოველთვის სამინისტროში -----, როცა კონსულტანთან შეხვედრა უნდა.

VI. შეადგინეთ მოკლე ტექსტები მოცემული სიტყვებისა და ზმნების გამოყენებით:

ნიმუში: გუშინ დილიდან ნ საათამდე ბავშვები სკოლაში იყვნენ, ამიტომ ახლა უნდა მოამზადონ პრეზენტაცია. მოსწავლეები საინტერესო ინფორმაციისთვის ყოველთვის იყენებენ კომპიუტერს. იმედია, კარგ შედეგს მიიღებენ.

1. გუშინ, სამუშაო რვეული ყოველთვის იყენებენ, ამიტომ ახლა, დილიდან ნ საათამდე, მოამზადონ პრეზენტაცია, კარგ შედეგს, საინტერესო ინფორმაციისთვის, მიიღებენ, ბავშვები, კომპიუტერს, უნდა, სკოლაში იყვნენ, იმედია, მოსწავლეები.	2. სკოლაში მუშაობა, და, პრაქტიკოსი მასწავლებლები, სახალისო იყოს, საინტერესო, საგნობრივი კათედრის გამგეებთან, მასწავლებელი, რთული, მაგრამ ძალიან საინტერესოა, აქტიურად თანამშრომლობენ, გაკვეთილს ისე გეგმავს, რომ.
3. სკოლა „იმედში“, ერთ ოთახში კომპიუტერებია, და ესპანურს სწავლობენ, სკოლას აქვს, ბევრი წიგნი, მეორეში – მაგიდები და სკამები, ბავშვები ინგლისურს, რუსულს, ფრანგულს, დიდი ბიბლიოთეკა, აქვია მუსიკისა და ხელოვნების კაბინეტები, ბიბლიოთეკაში.	4. ლიზამ წელს, იმერეთის რეგიონში, ის „იმედში“ სწავლობს, მას ძალიან უნდა „იმედში“ მუშაობა, ლიზას პატარა და ჰყავს, ნინო, უნივერსიტეტი დაამთავრა, მისი და კარგი მასწავლებელი იქნება, ლიზა კეთილი და ჭკვიანი გოგოა, იმიტომ, რომ ის საუკეთესო სკოლაა, ის ყველას უყვარს, ნინო ფიქრობს, რომ.

VII. ა) დაალაგეთ ტექსტი თანმიმდევრულად (1,2,3,4):

___ მათ ფესტივალის ყველა სტუმრის ინტერესი გაითვალისწინეს. ღონისძიებაში მონაწილეობას მშობლებიც მიიღებენ.

___ მოსწავლეებმა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგესთან ერთად ბევრი იმუშავეს და ყველაფერი კარგად დაგეგმეს. ბავშვებმა გამოიყენეს თანამედროვე ტექნიკა და პრაქტიკოსი მასწავლებლების დახმარებით მოამზადეს საინტერესო პრეზენტაცია.

___ „წიგნის ფესტივალს“ იმერეთის რეგიონში წელს პირველად ჩაატარებენ. დირექტორი ფიქრობს, რომ ეს ლამაზი ღონისძიება ტრადიციული იქნება.

1 შაბათს სკოლა „იმედი“ წიგნის ფესტივალს მასპინძლობს. სტუმრები დედაქალაქიდანაც ჩამოდიან.

ბ) წაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას გეგმავს სკოლა „იმედი“?
2. როგორ მოემზადნენ მოსწავლეები „წიგნის ფესტივალისთვის“?
3. თქვენი აზრით, რატომ არის „იმედისთვის“ ეს ფესტივალი მნიშვნელოვანი?

VIII. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- | | |
|------------------------------------|-----------------------------------|
| 1. მოსწავლეები მსჯელობენ | 1. თავისუფლად
2. თავისუფალი |
| 2. მასწავლებელი იყენებს | 1. მეთოდები
2. მეთოდებს |
| 3. მოსწავლეები მოამზადებენ | 1. პრეზენტაცია
2. პრეზენტაციას |
| 4. აქტიურად თანამშრომლობენ | 1. ერთმანეთი
2. ერთმანეთთან |
| 5. პრაქტიკოსი მასწავლებელი მუშაობს | 1. პროექტთან
2. პროექტზე |



IX. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)**
- გამარჯობა, თეა.
 - გაგიმარჯოთ, ქალბატონო თამარ.
 - თეა, დღეს----- ხომ მოხვალთ?
 - ეს ჩემი მოვალეობაა, აუცილებლად მოვალ, ქალბატონო თამარ. ჩემთან საქმე გაქვთ?
 - ორი კვირის წინ -----, ლიზა. წელს დაამთავრა უნივერსიტეტი.
 - დიახ, უკვე გავიცანი. ძალიან -----ქალია.

- მინდა, რომ -----. ის იქნება პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც -----
----- გაკვეთილს. აჩვენე, რა უნდა გააკეთოს.
- გასაგებია. დიდი სიამოვნებით.

ბ)

- ლიბა, -----?
- დიას, ძალიან. აქ ჩემი უმცროსი და სწავლობს, ნინო.
- რომელ კლასშია ნინო?
- მეათეში.
- ----- „წიგნის ფესტივალისთვის“ -----
----- ნინოც მონაწილეობს.
- მართლა? რა კარგია! თქვენ რომელ-----?
- მე თეა მქვია და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ვმუშაობ.
- ძალიან სასიამოვნოა. მე ლიბა ვარ. ალბათ, ჯერ ----- კათედრაზე
ვიმუშავებ. ქალბატონი თამარი ფიქრობს, რომ -----.
- ----- ნახვამდის, ლიბა.
- ნახვამდის, თეა.

X. ა) ყურადღებით წაიკითხეთ განცხადება:

ძვირფასო მშობლებო,

ხვალ, 9 მაისს, გვექნება ახალი სასწავლო პროგრამების პროექტის პრეზენტაცია. მშობლების მოვალეობაა, მობრძანდნენ 11:00 საათისთვის მეორე სართულზე, მეოცე ოთახში. შეხვედრის შემდეგ ვიმსჯელებთ სასწავლო პროცესის შესახებ. იმედი გვაქვს, აქტიურად ითანამშრომლებთ ჩვენთან.

ბ) მოიფიქრეთ და დაწერეთ, თქვენი აზრით, რა შეკითხვები შეიძლება ჰქონდეთ მშობლებს ამ პრეზენტაციის დროს?

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____

1.2. გაკვეთილის გეგმა

I. წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ბრუნვაში:

ფესტივალი, სასწავლო კათედრა, საშინაო დავალება, დამოუკიდებელი, მიზანი, შეფასება, მეთოდი, აქტივობა, უფროსი მასწავლებელი, პროექტი, ღონისძიება.

ნიმუში: სკოლა „იმედი“ წელს წიგნის (ფესტივალი) **ფესტივალის** მასპინძელია.

1. ყველა სტუმარი კმაყოფილი დარჩა ამ (ღონისძიება)-----.
2. (უფროსი მასწავლებელი) ----- უკვე დაგეგმა ყველა გაკვეთილი.
3. ბავშვები ერთად მუშაობენ ახალ (პროექტი)-----.
4. კათედრის გამგეს (მიზანი) ----- დიდი პრეზენტაციის გაკეთება აქვს.
5. გაკვეთილის გეგმაში აუცილებელია (შეფასება)----- ფორმის გათვალისწინება.
6. გაკვეთილის დროს მასწავლებელი ბევრ თანამედროვე (მეთოდი) ----- იყენებს.
7. გაკვეთილზე ყველა (აქტივობა) ----- თავისი დრო აქვს.
8. მოსწავლემ (დამოუკიდებელი) ----- მოძებნა ინტერნეტში ინფორმაცია პრეზენტაციისათვის.
9. ჩვენს (სასწავლო კათედრა) ----- უკვე ორი ახალი მასწავლებელი მუშაობს.
10. ზოგჯერ (საშინაო დავალება) ----- შემოწმება გაკვეთილის ბოლოს ხდება.

II. ა) დაუკავშირეთ სიტყვები ერთმანეთს:

ნიმუში: 12 ლ – ამთავრებს სკოლას

- | | |
|---------------------|--------------------------|
| 1. აღწეროს | ა. კათედრაზე |
| 2. მეცადინეობენ | ბ. წარმატებული გაკვეთილი |
| 3. დაგეგმოს | გ. შეფასების ფორმების |
| 4. ვითანამშრომლებთ | დ. აზროვნების უნარი |
| 5. იმსჯელონ | ე. ქართულ წიგნებს |
| 6. გამოიყენა | ვ. გაკვეთილი |
| 7. გავითვალისწინებთ | ზ. აქტივობები |

- | | |
|----------------|-----------------------|
| 8. განუვითაროს | თ. ინტერნეტი |
| 9. ახსოვს | ი. მშობლებთან |
| 10. კითხულობენ | კ. ბავშვის ინტერესებს |
| 11. იმუშაოს | ლ. სკოლას |
| 12. ამთავრებს | მ. ისტორიას |

ბ) ჩასვით წინადადებებში ზემოთ დაკავშირებული ზოგი წყვილი:

ნიმუში: თათია წელს სკოლას ამთავრებს და სასეირნოდ არ სცალია

1. ლიზას ძალიან უნდა, ქალბატონ თამართან -----.
2. გაკვეთილის გეგმაში მასწავლებელმა დეტალურად უნდა -----, რომლებსაც გამოიყენებს.
3. პრაქტიკოსმა და უფროსმა მასწავლებლებმა ერთად უნდა ----- შესახებ.
4. მასწავლებლების მოვალეობაა, ბავშვებს -----.
5. მესამე კლასის მოსწავლეები უკვე თავისუფლად -----.
6. ღონისძიების დაგეგმვისას თუ -----, აუცილებლად კარგ შედეგს მივიღებთ.
7. ქალბატონ თამარს დღესაც ----- პირველი -----.
8. იმედია, ფესტივალის დღეებში აქტიურად -----.
9. უფროსი მასწავლებელი ეხმარება პრაქტიკოს მასწავლებელს ----- და გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები.
10. ნინომ ----- და ისტორიის გაკვეთილისთვის ძალიან საინტერესო პრეზენტაცია მოამზადა.



III. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)**
- ლიზა, გამარჯობა. როგორ ხარ?
 - გმადლობთ, თეა, არა მიშავს. დრო გაქვს? რაღაც მაინტერესებდა.
 - სამწუხაროდ, ახლა არ მცალია, -----.

- მაშინ ----- კაფეში წავიდეთ ნამცხვარსა და ყავაზე; თან საქმეზე ვისაუბროთ, რამდენიმე შეკითხვა მაქვს.
- დიდი სიამოვნებით. -----?
- გაკვეთილის გეგმის შესახებ მინდა საუბარი.
- ეს მართლაც მნიშვნელოვანია, რადგან , როგორც ვიცით, კარგი გეგმა -----
----- . რომელ საათზე შევხვდეთ?
- ალბათ, -----.
- კარგი. შეხვედრამდე.

ბ)

- აქ პირველად ვარ. რა კარგი კაფეა!
- მართლაც კარგია. როცა დრო მაქვს, ყოველთვის აქ მოვდივარ.
- ლიზა, მოგწონს ჩვენს სკოლაში მუშაობა?
- ძალიან. -----, მაგრამ საინტერესო და სახალისოა. ბავშვებს იმდენი შეკითხვა აქვთ, რომ ყველას ვერც უპასუხებ!
- კი, ნამდვილად ასეა, მაგრამ, მგონი, შენც გაქვს შეკითხვა.
- მართალი ხარ, თეა, ----- და არ ვიცი, გაკვეთილის გეგმა სწორად დაწერე თუ არა. ვფიქრობ, -----,
----- და ახალი რა უნდა ისწავლონ.
- ყოჩაღ, ლიზა. შეიძლება ითქვას, რომ მთავარი სწორედ ესაა.
- თეა, ----- აუცილებელია გაკვეთილის დასაწყისში?
- კი, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ეს გაკვეთილის ბოლოს გააკეთო.
- თუ დრო დამრჩა, ახალი გაკვეთილის შესახებ შეიძლება შეკითხვების დასმა?
- რა თქმა უნდა. ----- . მოსწავლეებს თავისუფლად მსჯელობის უნარს განუვითარებს.
- ჩემთვის ყველაზე რთული ----- იყო.
- არა უშავს. მალე აღარ იქნება რთული.
- იმედია! გმადლობ, თეა,
- არაფრის.

IV. დაწერეთ სახელი სწორი ფორმით და გამოიყენეთ ...მიერ... თანდებული:

ნიმუში: ლიზამ უფროსი (მასწავლებელი) მასწავლებლის მიერ მოცემული დავალება გუშინ გააკეთა.

1. ეს ღონისძიება საგნობრივი კათედრის (გამგე) _____ არის დაგეგმილი.

2. საბუნებისმეტყველო (კათედრა) _____ ეზოში ღია გაკვეთილი ჩატარდა.
3. გაკვეთილის გეგმა ითვალისწინებს (მოსწავლეები) _____ პრეზენტაციის მომზადებას.
4. (სკოლა) _____ ჩატარებული სპორტის ფესტივალი ბავშვებს ძალიან მოეწონათ.
5. (შშობლების) _____ სკოლის მიდამოების კეთილმოწყობა კარგი იდეა იყო.
6. (დირექტორი) _____ მომზადებული ყველა აქტივობა მნიშვნელოვანია გაკვეთილის მიზნისთვის.
7. (რევაზ ინანიშვილი) _____ დაწერილი მოთხრობა „გახარებული მზე“ მოსწავლეებმა კლასში წაიკითხეს.
8. ბავშვებისთვის (მასწავლებელი) _____ მიცემული დავალების დაწერა ადვილი არ იყო.
9. (ლიზა) _____ დამოუკიდებლად მომზადებული გაკვეთილის გეგმა თეას ძალიან მოეწონა.
10. ქალბატონი თამარის აზრით, მოსწავლეებისთვის (მასწავლებელი) _____ დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება ყველაზე მნიშვნელოვანია.

V. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1	პრაქტიკოსი მასწავლებლის მოვალეობა არ არის გაკვეთილის გაგეგმვა. ის მხოლოდ გაკვეთილს ატარებს.		-
2	უფროსი მასწავლებელი გეგმავს და ატარებს გაკვეთილს. ყველა უფროს მასწავლებელს აქვს სერტიფიკატი.		
3	ქართულ სკოლებში მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, უცხოური ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ეთიკისა და ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კათედრები.		
4	მნიშვნელოვანი არ არის, რომელი საგნის მასწავლებელი ხარ. არჩევანი დიდია. იმ კათედრის გამგესთან იმუშავე, ვინც მოგწონს.		
5	„ქართული ცეკვა“ სამოქალაქო განათლების კათედრის საგანია.		
6	ის მასწავლებელი, ვინც პროექტზე მუშაობს, აუცილებლად თანამშრომლობს სხვა მასწავლებლებთან.		
7	აუცილებელი არ არის გაკვეთილის გეგმაში აქტივობების დეტალური აღწერა. მთავარი ბავშვებისთვის შეკითხვების დასმაა.		

8	მასწავლებლის მიზანია, მოსწავლეს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი განუვითაროს.		
9	მოსწავლემ არ უნდა გამოიყენოს ინტერნეტი. მან მხოლოდ წიგნები უნდა წაიკითხოს.		
10	უცხოური ენების ცოდნა ბავშვს ეხმარება იყოს წარმატებული.		

VI. ხაზი გაუსვით გზის სწორ ფორმას:

ნიმუში: ქიმიის მასწავლებელი პრეზენტაციას კაბინეტში აღწერს/ჩაატარებს თუ ბიბლიოთეკაში?

- ლიზა გუშინ მთელი დღე ისვენებდა/ეხმარებოდა ქალბატონ თამარს „წიგნის ფესტივალზე“ ჩამოსული სტუმრების მიღებაში.
- თეა უკვე ერთი თვეა აღწერს/გეგმავს სკოლის ბიბლიოთეკისთვის ახალი წიგნების ყიდვას.
- გაკვეთილის პროცესში სხვადასხვა სახის აქტივობის გამოყენება ბავშვს განუვითარებს/ასწავლის აზროვნების უნარს.
- მასწავლებლები ხშირად ითვალისწინებენ/თანამშრომლობენ გაკვეთილის გეგმაზე მუშაობის პროცესში.
- გაკვეთილის გეგმაში მასწავლებელი მსჯელობს/აღწერს, თუ რა აქტივობებს გამოიყენებს.
- საშინაო დავალების შემოწმება მოსწავლეებს იყენებს/ეხმარება საკუთარი ცოდნის შეფასებაში.
- ბავშვები ხშირად იყენებენ/კითხულობენ ინტერნეტს და თანამედროვე ტექნოლოგიებს.
- საგნობრივი კათედრის გამგე ყოველთვის ავითარებს/ნახულობს პრაქტიკოსი მასწავლებლის ყველა გაკვეთილის გეგმას.
- ლიზა ერთი თვეა სწავლობს/მუშაობს სკოლაში და უკვე ძალიან დაკავებულია.
- „წიგნის ფესტივალზე“ ზოგჯერ ბევრი სტუმარი ისვენებს/ჩამოდის ჩვენს პატარა ქალაქში.

VII. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით გზები სწორი ფორმით ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში: ფესტივალის გახსნამდე ცოტა დრო დარჩა, ამიტომ თეა ხვალ დაიწყებს პრეზენტაციაზე მუშაობას.

გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
დაიწყო	იწყებს	დაიწყებს	დაიწყოს
განუვითარა			

		დაგეგმვის	
			დაეხმაროს
	აღწერს		
ჩამოვიდა			
		ნახავს	
			იმუშაოს
აჩუქა			
	მოსწონს		
			გაიცნოს

1. -----
2. -----
3. -----
4. -----
5. -----
6. -----
7. -----
8. -----
9. -----
10. -----

VIII. ჩასვით წინადადებებში მოცემული სიტყვები შესაფერის დროსა და ფორმაში:

დასვენება აღწერა დაგეგმვა მსჯელობა განვითარება დახმარება
საუბარი მომზადება თანამშრომლობა გათვალისწინება გამოყენება

ნიმუში: გაფხულში სკოლის ყველა მოსწავლე (დასვენება) ისვენებს.

1. ჩვენი საგნობრივი კათედრის გამგე ორი კვირის შემდეგ (დაგეგმვა) ----- ახალ მასწავლებლებთან შეხვედრას.
2. მასწავლებლები ბევრს (საუბარი) ----- ახალი მეთოდების შესახებ.
3. ფესტივალის სტუმრებმა დეტალურად (აღწერა) ----- ის მოსწავლე, რომელმაც პრეზენტაცია გააკეთა.
4. სკოლის დირექტორს უნდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან (თანამშრომლობა) -----
-----.
5. მასწავლებლის მიერ ბევრი და საინტერესო კითხვის დასმა მოსწავლეს (განვითარება) -----
----- სწრაფად აზროვნების უნარს.
6. ბავშვებმა უნდა (მომზადება) ----- სპორტის სასკოლო ფესტივალის პროექტი.
7. მოსწავლეებმა თავისუფლად უნდა (მსჯელობა) ----- ქიმიის მასწავლებლის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტზე.
8. ქალბატონი თამარი აუცილებლად (გათვალისწინება) -----, რომ ღიზა ორშაბათს 2-დან 3 საათამდე პირად ექიმთან არის ჩაწერილი.
9. გუშინ თეა (დახმარება) ----- ღიზას გაკვეთილის გეგმის დაწერაში.
10. მუშაობის დროს მასწავლებელი კომპიუტერს უნდა (გამოყენება) ----- იმიტომ, რომ თანამედროვე სკოლაში ეს უკვე აუცილებელია.

IX. ა) წაიკითხეთ ტექსტი და გახაზეთ უცნობი სიტყვები:

საგაკვეთილო პროცესში საგანთშორისი ინტეგრაციის დაგეგმვის ეტაპები:

1. საგაკვეთილო თემატიკისა და პარტნიორი მასწავლებლის შერჩევა;
2. გაკვეთილის მიზნისა და შედეგების დაზუსტება;
3. გაკვეთილის სასწავლო მიზნების მიღწევისათვის ადეკვატური და ეფექტური აქტივობების დაგეგმვა;
4. მოსწავლეთა მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასების ეფექტური სისტემის შერჩევა;
5. იმ რესურსების განსაზღვრა, რომელთა გამოყენებაც იგეგმება გაკვეთილის მსვლელობისას.

ბ) შეეცადეთ, თქვენი სიტყვებით გადმოსცეთ რაზეა საუბარი ტექსტში; გამოთქვით თქვენი აზრი საგანთშორისი ინტეგრაციის მეთოდის შესახებ:

X. ა) ცოტა რამ თქვენ შესახებ (უპასუხეთ კითხვებს):

1	სკოლაში დიდი ხანია მუშაობთ?	
2	რატომ მოგწონთ სკოლაში მუშაობა?	
3	უფროსი კლასის მოსწავლეებთან უფრო გიყვართ მუშაობა თუ უმცროსებთან?	
4	მოგწონთ, როცა ბავშვები კითხვებს სვამენ?	
5	საჭიროა თუ არა მსჯელობა სხვა კათედრის მოსწავლეებთან ახალი მეთოდების შესახებ?	
6	საჭიროა თუ არა მოსწავლის მშობლებთან თანამშრომლობა?	
7	როგორ ფიქრობთ, რომელი აქტივობებია ყველაზე ეფექტური მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისთვის?	
8	შეფასების რომელი ფორმა მოგწონთ?	
9	მოგწონთ კომპიუტერით მუშაობა სკოლაში (ელექტრონული ჟურნალი) ?	
10	რა არის თქვენი ჰობი?	

ბ) თქვენ მიერ კითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვით შეადგინეთ ტექსტი და შეურჩიეთ სათაური:

1.3. კონსტრუქტივისტული გაკვეთილი

I. ისაუბრეთ თემაზე „კონსტრუქტივისტული გაკვეთილი“. გამოიყენეთ სიტყვები:

გაკვეთილი, თემა, პრობლემა, სახალისო, აქტივობა, მეთოდი, იყენებს, უნარ-ჩვევა, მიზანი, პროცესი, მოტივაცია, ითვალისწინებს, პასუხობს, ორიენტირებული, შეკითხვების დასმა, გამოცდილება, მოსწავლე, მასწავლებელი

II. ჩასვით წინადადებებში ზმნები საჭირო ფორმით ნიმუშის მიხედვით და გამოიყენეთ კონსტრუქცია: უნდა , ვერ + მომავალი დრო:

ნიმუში: ლიზამ ახლა უნდა შეადგინოს გაკვეთილის გეგმა, ხვალ ვერ შეადგენს.

1. მოსწავლემ უნდა (ითვალისწინებს) -----, რომ პრეზენტაციის მომზადებას ბევრი დრო უნდა. სხვა დროს -----.
2. რაც იციან ბავშვებმა, მასწავლებელმა გაკვეთილზე უნდა (აკავშირებს) ----- ახალ სასწავლო თემასთან, მერე -----.
3. კათედრის გამგემ სასწავლო წლის დასაწყისში უნდა (გეგმავს) ----- მასწავლებლებთან შეხვედრა, მერე -----.
4. ნინო გაკვეთილის დაწყებამდე უნდა (ეხმარება) ----- მეგობარს, მერე -----.
5. ფესტივალის გახსნამდე უნდა (მსჯელობს) -----, ვის დავბატიყებთ, მერე -----.
6. ლიზამ დეტალურად ახლავე უნდა (აღწერს) ----- აქტივობები კონსტრუქტივისტული გაკვეთილის გეგმაში, მერე -----.
7. მასწავლებელმა დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდი აუცილებლად სწავლის დასაწყისშივე უნდა (იყენებს) -----, შემდეგ -----.
8. ბავშვმა სხვა ბავშვებთან საბავშვო ბაღშივე უნდა (თანამშრომლობს) -----, შემდეგ სკოლაში -----.
9. მოსწავლე კითხვას რომ დასვამს, პასუხი მაშინვე უნდა (იღებს) -----, გაკვეთილის შემდეგ -----.
10. მასწავლებელმა გაკვეთილი საინტერესოდ უნდა (იწყებს) -----, მერე ----- საუბარს ბავშვებთან .

III. ა) შეუცვალეთ ზმნას ფორმა ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ხვალ პირველიდან ორ საათამდე სამინისტროს თანამშრომელი სკოლის ბიბლიოთეკაში ---
წაიკითხავს ---- ლექციას კონსტრუქციისტული გაკვეთილის აგების შესახებ.

კითხულობს	წაიკითხავს
აკავშირებს	
ვპასუხობ	
გეგმავ	
ეხმარება	
უვითარებს	
ვთანამშრომლობ	
ითვალისწინებ	
ვმსჯელობთ	
იყენებენ	
ისვენებენ	

ბ) ზმნის საჭირო ფორმა ჩასვით წინადადებებში:

- მასწავლებლის ყველა კითხვას აუცილებლად კარგად ----- იმიტომ, რომ გაკვეთილი კარგად ვისწავლე.
- გაკვეთილზე სხვადასხვა აქტივობის გამოყენება მოსწავლეს აზროვნებას -----.
- სასწავლო წლის დასაწყისიდან ----- სკოლა „იმედთან“.
- ლიბა, კარგი იქნება, თუ გაკვეთილის ბოლოს ----- ხუთწუთიანი პრეზენტაციის წარდგენას.
- ორი კვირის შემდეგ აუცილებლად ----- ახალი აქტივობის შესახებ.
- მოსწავლეები აგვისტოს ბოლომდე -----, შემდეგ კი ისევ წავლენ სკოლაში.
- კონსტრუქციისტული გაკვეთილის დროს მასწავლებლები თუ ვერ ----- მრავალფეროვან მეთოდებს, მოსწავლეებს ცოდნის მიღებაში ვერ დაეხმარებიან.
- ალბათ, ყოველთვის -----, რომ გაკვეთილი უნდა იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული.
- ლამაზი, სურათებიანი წიგნი მოსწავლეს -----, იყოს სწავლაზე ორიენტირებული.
- თუ მასწავლებელი შეკითხვას სწორად დასვამს, მოსწავლე აუცილებლად ----- ძველ ცოდნას ახალ ინფორმაციასთან.



IV. მოისმინეთ დიალოგი და შემდეგ შეავსეთ ცხრილი:

ა) მოისმინეთ დიალოგი:

ბ) მოსმენილი დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ, ცხრილში მოცემული ინფორმაცია სწორია (+) თუ არასწორი (-):

1	მოსწავლისთვის მოტივაციის განვითარება ძალიან რთულია.	+	
2	ინტერნეტში თითქმის ყველა საკითხზე არის საინტერესო ინფორმაცია.		
3	პრობლემის გადაჭრა მოსწავლეებისათვის ძალიან საინტერესო პროცესია.		
4	კონსტრუქტივისტული გაკვეთილი არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ფორმა.		
5	მოსწავლე ხალისით მხოლოდ მაშინ სწავლობს, როცა გაკვეთილი რთულია.		
6	მასწავლებელი ვერ განუვითარებს მოსწავლეს მოტივაციას.		
7	მოსწავლეებს არ აინტერესებთ პრობლემის გადაჭრაზე ფიქრი.		
8	როცა მოსწავლეს აქვს მოტივაცია, ის ხალისით სწავლობს.		
9	პრობლემის გადაჭრაში მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს.		
10	შეკითხვების დასმა კარგი მეთოდია, მოსწავლეს აზროვნებას უვითარებს.		

V. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 1 გ – პრობლემა გადაჭრა

- | | |
|----------------------|-------------------|
| 1. პრობლემა | ა. მუშაობა |
| 2. კონსტრუქტივისტული | ბ. აქტივობები |
| 3. სწავლება | გ. გადაჭრა |
| 4. აქტიური | დ. დავალება |
| 5. ჯგუფური | ე. ინფორმაცია |
| 6. მრავალფეროვანი | ვ. შესაძლებლობები |
| 7. რთული | ზ. აზროვნება |
| 8. მოსწავლის | თ. მოსწავლე |

9. ახალი ი. ფორმა
10. დამოუკიდებელი კ. გაკვეთილი

ბ) ლოგიკურად ჩასვით შესიტყვებები წინადადებებში; ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა:

ნიმუში: 1 – გ

1. **პრობლემის გადაჭრა** მოსწავლეებისათვის სახალისო პროცესია.
2. მოსწავლე ----- ხალისით აკეთებს, როცა მასწავლებელი ეხმარება.
3. მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ჰქონდეს ----- უნარი.
4. ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდია -----, რომელიც მოსწავლეებს კომუნიკაციაში ეხმარება.
5. თანამედროვე სკოლაში ----- თვალსაზრისით დიდი არჩევანია.
6. ინტერნეტში მოსწავლეები ბევრ ----- ნახულობენ.
7. თანამედროვე ----- მოსწავლეზეა ორიენტირებული.
8. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ----- .
9. მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვას ყველამ უნდა უპასუხოს და არა მხოლოდ -----
-----.
10. გაკვეთილი წარმატებული რომ იყოს, ----- გამოყენება არის საჭირო.

VI. წაიკითხეთ წინადადებები და მოცემული სიტყვები ჩასვით ნიმუშის მიხედვით; გამოიყენეთ კონსტრუქცია: ... + ნათ. ბრ.-ის მიერ

1. ღონისძიების სტუმრებს ძალიან მოეწონათ (მოსწავლეები) ----- სკოლის ეზოს კეთილმოწყობის იდეა.
2. ორშაბათობით იმართება (სამინისტრო) ----- ორგანიზებული სატრენინგო და საკონსულტაციო ღონისძიებები.
3. ბიბლიოთეკის (გამგე) ----- ყოველწლიურად იმართება სახალისო ღონისძიება ბავშვებისთვის.
4. ხანდახან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (კათედრა) ----- ჩატარებულ ღონისძიებაზე სხვა საგანმანათლებლო ცენტრებიდანაც პატიუბენ სტუმრებს.
5. ზუსტად არ ვიცი, (ბავშვები) ----- დამოუკიდებლად აგებული ღონისძიების გეგმა კარგი იქნება თუ არა.
6. ახალი (პრაქტიკოსი მასწავლებელი) ----- ----- მომზადებულ პრეზენტაციას უფროსი

მასწავლებელი მაღალ შეფასებას აძლევს.

7. ფესტივალის (სტუმარი) ----- არჩევანი უკვე გაკეთებულია - ქალაქგარეთ მოსწავლეებთან ერთად გავდივართ.
8. უკვე ერთი თვეა ველოდებით (მენეჯერი) ----- დეტალური ანგარიშის მომზადებას.
9. (ფაკულტეტი) ----- საკონფერენციო თემების პრეზენტირება ხდება სასწავლო წლის დასაწყისში.
10. ჩემი (მეგობარი) ----- სასკოლო გამოფენისათვის გამომცხვარი მარწყვის ტორტი მართლაც შესანიშნავია.

VII. ა) წაიკითხეთ კითხვები და პასუხები:

კითხვები:

1. რა არის კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მიზანი?

2. როგორ უვითარებენ სკოლაში მოსწავლეს დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევას?
3. როდის არის კონსტრუქტივისტული გაკვეთილი წარმატებული და საინტერესო?
4. რომელი აქტივობა მოსწონთ მოსწავლეებს?
5. როდის შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა თამაშის მეთოდი?
6. რას ითვალისწინებს მასწავლებელი კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს?
7. ვინ არის დიმიტრი უზნაძე?
8. გაკვეთილის დაგეგმვის დროს რა უნდა დააკავშიროს მასწავლებელმა?
9. დიმიტრი უზნაძის რომელი მოსაზრება უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა?
10. მოსწავლის მოტივაციისათვის საკმარისია თუ არა შეფასება?

პასუხები:

- ა. პრობლემის გადაჭრა ყველა მოსწავლისთვის საინტერესო პროცესია.
- ბ. ის ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი და პედაგოგია.
- გ. შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის მოტივაციისათვის, მაგრამ მხოლოდ ეს არაა საკმარისი.
- დ. თუ დავალება ძალიან რთულია, მასწავლებელი იყენებს თამაშის მეთოდსაც.

ე. კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მიზანია, მასწავლებელი მოსწავლეს დაეხმაროს ახალი ცოდნის აგებაში.

- ვ. გაკვეთილის მიზანი, სწავლების მეთოდი და გაკვეთილის შედეგი.

ზ. გაკვეთილი წარმატებული და საინტერესოა, თუ მოსწავლეებს აქვთ მოტივაცია.

თ. კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს მასწავლებელი ყოველთვის ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს.

ი. დამოუკიდებელი ამოცანების განვითარებისთვის აუცილებელია მსჯელობა.

კ. ყველა ბავშვს უყვარს შეკითხვების დასმა და პასუხის მიღება.

ბ) კითხვებს შეურჩიეთ სწორი პასუხები და შეავსეთ ცხრილი:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ე									

VIII. ცხრილში ჩაწერეთ მოცემული განმარტებების მნიშვნელობა:

ნიმუში: სასწავლო პროცესის რეგულაციის ძირითადი დოკუმენტი - ეროვნული სასწავლო გეგმა (ე ს გ).

1	სასწავლო პროცესის რეგულაციის ძირითადი დოკუმენტი	ე ს გ
2	გაკვეთილის გეგმავს და ატარებს	
3	თანამედროვე სკოლის სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი	
4	დოკუმენტი, რომელიც აღწერს გაკვეთილის ჩატარების პროცესს	
5	ყოველ აქტივობას აქვს თავისი ...	
6	აქვს სერტიფიკატი, გეგმავს და ატარებს გაკვეთილს	
7	მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ფორმა	
8	დამოუკიდებელი, მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, მსჯელობა, თამაში, კითხვა-პასუხი არის ...	
9	პრობლემის დასმისა და მსჯელობის შემდეგ ხდება	
10	ძველ ცოდნასთან ახალი ინფორმაციის დაკავშირებით ხდება	

IX. დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: სწავლა-სწავლის გამო /სწავლის მიმართ /სწავლის შესახებ

სწავლის **გამო** წელს ევროპაში მივდივარ.

სწავლის **მიმართ** ყოველთვის დიდი ინტერესი მქონდა.

სწავლის **შესახებ** ხშირად ვსაუბრობ სკოლის მეგობრებთან.

1. საგნობრივი კათედრა —

2. მეთოდები და აქტივობები —

3. სკოლა და მოსწავლეები —

4. გაკვეთილის მიზანი —

5. ფიზიკური აღზრდა —

6. კონსტრუქტივისტული გაკვეთილი —

7. პრეზენტაცია —

8. მასწავლებელი —

9. შეფასების სისტემა —

X. წაიკითხეთ ჩარჩოში მოთავსებული სიტყვები და შესიტყვებები; ისაუბრეთ სიტუაციებზე, გაააქტიურეთ თითოეული სიტყვა; შექმენით ტექსტი და დაარქვით სათაური:

1. ----- თავისუფლად მსჯელობს, ინტერნეტი, საგნობრივი კათედრა, იყენებს, მსჯელობს, ითვალისწინებს ინტერესებს, აქტიურად თანამშრომლობს, სახალისო, მრავალფეროვანი, მეთოდი, ხშირად, საუკეთესო, კომპიუტერი, პროცესი, გაკვეთილი, მასწავლებელი, საგნები.	2. ----- შეფასება, პროცესი, აღწერს, შეიძლება ითქვას, დეტალური, დამოუკიდებელი, აზროვნება, გეგმავს, შეკითხვების დასმა, უვითარებს, კონკრეტული, აქტივობა, წარმატებული გაკვეთილი, გაკვეთილის შედეგი, უნარ-ჩვევები, ერთმანეთს, ეხმარება, მსჯელობა.
3. ----- ახალი, ეროვნული სასწავლო გეგმა, სწავლების მეთოდი, კონსტრუქტივისტული გაკვეთილი, პასუხობს ის, ვინც..., ფიქრობენ, ორიენტირებული, მოტივაცია, შეკითხვების დასმა, აკავშირებენ, ძველი, პრობლემის გადაჭრა, ცოდნის აგება, აქტიურად, დამოუკიდებელი, რა თქმა უნდა, ამიტომაც, აუცილებლად, სხვადასხვა.	4. ----- სკოლა, ღონისძიება, ცნობილი, რამდენიმე, შენობა, შესანიშნავი, იმართება, ატარებს, თაობა, საგანმანათლებლო ცენტრი, ბევრი, სწავლობდა, ლამაზი, სამსართულიანი, მასწავლებლები, კაბინეტი, ნათელი, სწავლა, მონაწილეობს, ჩამოდიან, ფართო, ყოველ წელს, ინტერნეტი, ბიბლიოთეკა, დედაქალაქი, სტუმრები, მოსწავლეების მიერ, ბაფხულში, შემოდგომაზე.

თავი II

მოსწავლის აზროვნება, ინტელექტი და კოგნიტური განვითარება

2.1. მოსწავლის აზროვნება, შემეცნება და კოგნიცია

I. ა) შეუცვალეთ ზმნას ფორმა ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ქალბატონი თამარი გაკვეთილის დროს ყოველთვის რამდენიმე სტრატეგიას --- იყენებდა ---- .

იყენებს	იყენებდა
გამოთქვამს	
თანამშრომლობს	
იძენს	
მსჯელობს	
ახდენს	
უვითარებს	
გეგმავს	
აგროვებს	
პასუხობს	
აყალიბებს	

ბ) ჩასვით შესაბამის წინადადებაში ზმნა საჭირო ფორმით:

- ლიზა ფიქრობდა, რომ მის კლასში ყველა მოსწავლე თანაბრად ----- ცოდნას.
- მეხუთეკლასელი მოსწავლე თავისუფლად ----- აზრს მისთვის საინტერესო საკითხებზე.
- ნინო ადრე კრიტიკულად ----- მასწავლებლის მიერ ახალი მეთოდების გამოყენების შესახებ, მაგრამ ახლა ყველაფერი ძალიან მოსწონს.
- ნინოს იმიტომ უყვარდა მასწავლებლისთვის შეკითხვების დასმა, რომ ასე მნიშვნელოვან ცოდნას ----- .
- კონსტრუქტივისტული გაკვეთილი მოსწავლეებს შემეცნების უნარს ----- .
- სკოლა „იმედი“ გასულ წელს აქტიურად ----- სამინისტროს კონსულტანტებთან.
- გასაუბრების დროს ლიზა ნათლად ----- თავის აზრს ბავშვის აღზრდის შესახებ.
- მუშაობის დასაწყისში ლიზა კონსტრუქტივისტულ გაკვეთილს თეასთან ერთად ----- .

9. მასწავლებლის დახმარება ყოველთვის დიდი გავლენას ----- სწავლების შედეგზე.
10. ახალი მოსწავლე მასწავლებლის თითოეულ კითხვას სწორად -----.

II. ა) წაიკითხეთ ტექსტი და შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული სიტყვები და ფრაზები საჭირო ფორმით:

განვითარება, კრიტიკული, ბებია-ბაბუა, გავლენას ახდენს, საბუნებისმეტყველო, კონსულტანტი, მიხედვით, გადაჭრა, მუსიკა, სწორი ქცევა.

განათლების სამინისტროს ----- აზრით, ხშირად სკოლაში არ ეხმარებიან ბავშვებს შემოქმედებითი აზროვნების ----- . ეროვნული სასწავლო გეგმის ----- კი სკოლა სწორედ ის ადგილია, სადაც შემოქმედებითი აზროვნება უნდა განვითარდეს. არ შეიძლება საგანი იყოს „მთავარი“ (მათემატიკა, ----- მეცნიერებები და სხვ.) და „არამთავარი“ (ხელოვნება, ----- და სხვ.). საქართველოში მშობლები და ----- ფიქრობენ, რომ მნიშვნელოვანია ცოდნის შეძენა ე.წ. „მთავარ“ საგნებში.

შემოქმედებითი აზროვნება არ ითვალისწინებს საგნის „სტატუსს“, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი განვითარება ყველა საგანში. არ არის სწორი ის აზრი, რომ შემოქმედებითი აზროვნებისთვის დრო მხოლოდ ხელოვნების გაკვეთილზეა. მასწავლებლის ----- ეხმარება თითოეულ მოსწავლეს ----- აზროვნებაში, იღვის ჩამოყალიბებაში, გადაწყვეტილების მიღებასა და პრობლემის ----- .

დავიმახსოვროთ: შემოქმედებითი აზროვნება ----- ბავშვის მომავალზე. თუ მოსწავლეს აქვს შემოქმედებითი აზროვნების უნარი, ის აუცილებლად იქნება წარმატებული ყველა საგანში.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მისი შინაარსის მიხედვით დასვით კითხვები:

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

III. ა) დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: 10 ი – სხვადასხვა მეთოდი

- | | |
|--------------------|-----------------|
| 1. რთული | ა. მუშაობა |
| 2. დეტალური | ბ. მეცნიერებები |
| 3. შემოქმედებითი | გ. მასწავლებელი |
| 4. კრიტიკული | დ. პრობლემები |
| 5. დამოუკიდებელი | ე. განვითარება |
| 6. კოგნიტური | ვ. შეფასება |
| 7. კეთილგანწყობილი | ზ. გაკვეთილი |
| 8. სახალისო | თ. აზროვნება |
| 9. საზოგადოებრივი | ი. მეთოდი |
| 10. სხვადასხვა | კ. ანალიზი |

ბ) ჩასვით შესაბამის წინადადებებში საჭირო წყვილი. გაითვალისწინეთ, ზოგჯერ საჭიროა სიტყვისთვის ფორმის შეცვლა:

- ჩვენი მასწავლებელი გაკვეთილზე ყოველთვის **სხვადასხვა მეთოდს** იყენებდა.
- მსჯელობა შემეცნების პროცესის აუცილებელი ნაწილია.
- ყველა კლასის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლის -----.
- შეკითხვების დასმა და პრობლემის გადაჭრა თითოეულ მოსწავლეს უვითარებს -----
--- უნარს.
- ახალი ინფორმაციის ----- საფუძველზე იღებს მოსწავლე ცოდნას.
- უფროსკლასელ მოსწავლეებს აქვთ პროექტზე ----- უნარი.
- პრობლემის გადაჭრისთვის საჭიროა ინფორმაციის -----.
- კარგ გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციაზე.
- წინა წელს ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ზოგჯერ ძალიან -----
-- ატარებდა ზოოპარკში.
- სკოლა „იმედში“ წელს ----- კათედრაზე იმართება
საინტერესო ღონისძიება.

IV. წინადადებაში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ბრუნვაში:

კეთილგანწყობილი განვითარება კოგნიტური ანალიზი ქცევა დაგროვება
შემეცნება აზროვნება ერთნაირი გადაწყვეტილება შემოქმედებითი

ნიმუში: სკოლა „იმედში“ ყველა ბავშვი ნახავს (კეთილგანწყობილი) **კეთილგანწყობილ** გარემოს.

1. შენობის შემოსასვლელში ორ (ერთნაირი) ----- კარს დაინახავთ, მარჯვნივ დირექტორის კაბინეტია, მარცხნივ - ბიბლიოთეკა.
2. მოსწავლისათვის საინტერესო პრობლემაზე მსჯელობა გავლენას ახდენს ბავშვის (კოგნიტური) ----- განვითარებაზე.
3. ლიზა კმაყოფილია კათედრის გამგის (გადაწყვეტილება) -----.
4. გაკვეთილზე მასწავლებელი აკონტროლებს მოსწავლის (ქცევა) -----.
5. მოსწავლის წარმატებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს (შემოქმედებითი) ----- აზროვნებას.
6. მასწავლებლის მიერ გაკვეთილის დაგეგმვის მიზანი მოსწავლის კოგნიტური (განვითარება) ----- უზრუნველყოფაა.
7. მოსწავლე სკოლაში სწავლობს ინფორმაციის კრიტიკულ (ანალიზი) -----.
8. ცოდნის (დაგროვება) ----- პროცესი რთულია, მაგრამ საინტერესო.
9. ყველა მოსწავლეს (შემეცნება) ----- ერთნაირი უნარი არ აქვს.
10. კრიტიკული (აზროვნება) ----- დახმარებით მოსწავლე სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.



V. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ქალბატონო თამარ, იცით -----?
- დიახ, განათლების სამინისტრომ ამ საკითხზე ----- უკვე მიიღო. წელს საქართველოს სკოლებში სწავლა 15 სექტემბერს -----.
- ალბათ, სკოლაში დიდი ღონისძიება გაიმართება.

- რა თქმა უნდა, ლიზა! ამის გამო აგვისტოში ----- ადრე ყოველთვის -----
----- გამოფენას, წელს კონცერტს ჩავატარებთ. კონცერტის შემდეგ კი პირველკლასელებს სურათებიან
წიგნებს და Notebook PC-საც ვაჩუქებთ. ეს მათი ----- ძალიან კარგია.
- რა კარგია! როგორ მიხარია, რომ ამ სკოლა ში დავიწყე მუშაობა! აქ დიდ ----- მივიღებ.



- ბ)
- ლიზა, დაიმახსოვრეთ, კლასში მოსწავლეების -----ერთნაირი არ არის. თქვენ ჯერ -----
----- არ გაქვთ, ამიტომ აქტიურად უნდა ----- კათედრის სხვა
მასწავლებლებთან.
 - დიახ, ამას აუცილებლად ----- უნივერსიტეტშიც ვისწავლეთ, რომ ყველა ბავშვს არ აქვს
სწავლის ერთნაირი -----.
 - რა თქმა უნდა, ასეა. მასწავლებლის მიზანი კი სწორედ ისაა, რომ ყველა მოსწავლეს განუვითაროს -----
-----.
 - დიახ, გასაგებია. საჭირო ----- ახალ ინფორმაციას ხშირად ვნახულობ
სამინისტროს ვებგვერდზე.
 - ძალიან კარგი.

VI. ხაზი გაუსვით გზის სწორ ფორმას:

ნიმუში: შემოქმედებითი აზროვნების დახმარებით მოსწავლე აგროვებს/აყალიბებს ახალ იდეებს.

1. კოგნიციის შესახებ რომელიმე საკითხზე უნდა **მოვამზადო/დავწერო** პრეზენტაცია.
2. ნინოს უფროსი და წელს სკოლას **აღწერს/ამთავრებს** და სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა სწავლა.
3. ლიზა აქტიურად **ითვალისწინებს/თანამშრომლობს** სხვა კათედრების მასწავლებლებთანაც.
4. ქალბატონი თამარი განათლების სამინისტროს თანამშრომლებსაც **ეხმარება/პატიჟებს** სასკოლო
ღონისძიებაზე.
5. ყველა მოსწავლე **იყენებს/გამოთქვამს** ინტერნეტს პრეზენტაციაზე მუშაობის დროს.
6. გუშინ ლიზა დიდხანს **მონაწილეობდა/კითხულობდა** ინტერნეტში საინტერესო ინფორმაციას
სწავლების ახალი მეთოდების შესახებ.

7. წარმატებული მოსწავლე მასწავლებლის თითქმის ყველა კითხვას სწორად აკავშირებს/პასუხობს.
8. მშობლებთან შეხვედრის დროს კათედრის გამგე ყოველთვის დეტალურად გამოთქვამდა/მსჯელობდა სასწავლო პროცესის შესახებ.
9. მასწავლებელი გეგმავს/იწყებს კონსტრუქტივისტულ გაკვეთილს იმიტომ, რომ შედეგი წარმატებული იყოს.
10. შემოდგომისთვის ყველა სკოლა ჩამოდის/იძენს სასწავლო პროცესის დაწყებისთვის საჭირო ნივთებს.

VII. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორი ფორმით და შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით მომავალ დროში:

ნიმუში: ლიზას გამოცდილების დაგროვება უნდა, ამიტომ მან ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს სკოლა „იმედის“ ყველა მასწავლებელთან.

გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
ითანამშრომლა	თანამშრომლობს	ითანამშრომლებს	ითანამშრომლოს
მოახდინა			
		გამოთქვამს	
			დააგროვოს
	აყალიბებს		
შეიძინა			
		დააკავშირებს	
			გაითვალისწინოს
აღწერა			
	მსჯელობს		
			განუვიტაროს

1. -----
2. -----
3. -----
4. -----

5. -----
6. -----
7. -----
8. -----
9. -----
10. -----

VIII. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1	შემოქმედებითი აზროვნება შეიძლება განვითარდეს სწავლის პროცესში.	+	
2	ყველა მოსწავლეს არ აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი და მასწავლებელი ასეთ მოსწავლეს ვერ დაეხმარება.		
3	კოგნიცია არ არის მართო ცოდნის შეძენა, ის ცოდნის დაგროვების პროცესიცაა.		
4	მოსწავლის მიმართ კეთილგანწყობილი მასწავლებელი ითვალისწინებს მის ინტერესებს.		
5	მოსწავლეები ყოველთვის მასწავლებლის დახმარების გარეშე მუშაობენ სხვადასხვა სასკოლო პროექტზე.		
6	სასწავლო პროცესში აუცილებელი არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინება.		
7	კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მთავარი მიზანი მოსწავლის კოგნიტური უნარების განვითარებაა.		
8	ის, ვინც დიდხანს მსჯელობს, გადაწყვეტილებას ვერ იღებს.		
9	თითოეულ ბავშვთან მუშაობა ძალიან რთული, მაგრამ საინტერესო პროცესია.		
10	მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დროს საკლასო ოთახში ჯგუფური მუშაობა უფრო კარგია, ვიდრე დამოუკიდებელი მუშაობა.		

IX. ჩასვით წინადადებებში ზმნები საჭირო ფორმით ნიმუშის მიხედვით და გამოიყენეთ კონსტრუქცია: ის, რაც

ნიმუში: თიკამ გაკვეთილის დროს (იყენებს) **გამოიყენა ის, რაც** უნივერსიტეტში ისწავლა.

1. მასწავლებელმა წარმატებული გაკვეთილისთვის (ითვალისწინებს) -----, ----- ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.
2. მოსწავლემ ახალ ცოდნასთან (აკავშირებს) -----, ----- უკვე იცის.
3. კათედრის გამგემ ნათლად (აყალიბებს) -----, ----- სწავლის დაწყების შემდეგ უნდა გავაკეთოთ.
4. ბიბლიოთეკის გამგემ უკვე (იძენს) -----, ----- „წიგნის გამოფენისთვის“ იყო საჭირო.
5. თამრიკომ დეტალურად (აღწერს) -----, ----- ახალ სკოლაში ყველაზე მეტად მოეწონა.
6. განათლების სამინისტროს კონსულტანტმა სწრაფად (კითხულობს) -----, ----- უფროსმა მასწავლებელმა აჩვენა და შემდეგ ამ დოკუმენტზე თავისი აზრიც გამოთქვა.
7. თეკლა ფიქრობს, რომ ღიზამ სკოლაში უკვე (იღებს) -----, ----- მასწავლებლისთვის ასე აუცილებელია - გამოცდილება.
8. მასწავლებლის მუშაობამ და სწორმა ქცევამ რამდენიმე თვის შემდეგ (ახდენს) -----, ----- -- ასე ძალიან გვინდოდა - თითოეულ მოსწავლეს განუვითარდა შემოქმედებითი აზროვნება.
9. მაღალი მოტივაციისთვის მოსწავლემ გაკვეთილზე უნდა (სწავლობს) -----, ----- მას გამოცდილების შეძენაში დაეხმარება.
10. ლევანს უნდა ნინოს ინტერნეტში (აჩვენებს) -----, ----- პრეზენტაციის გაკეთებაში დაეხმარება.

X. ა) წაიკითხეთ ტექსტი და გახაზეთ უცნობი სიტყვები:

ბ) შეეცადეთ, თქვენი სიტყვებით თქვათ, რაზეა საუბარი ტექსტში; იმსჯელეთ კოგნიტური დისონანსის თქვენთვის ცნობილი სხვა მაგალითების შესახებ.

კოგნიტური დისონანსის თეორია 1957 წელს ჩამოაყალიბა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლეონ ფესტინგერმა. თეორიის მოკლე შინაარსი ასეთია: ყველა ადამიანს უნდა, რომ მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი და მისი ცოდნა ერთმანეთს ჰარმონიულად შეესაბამებოდეს. როცა ასე არ ხდება, საქმე გვაქვს კოგნიტურ დისონანსთან. ადამიანს ეს არ მოსწონს და ცდილობს, ისეთი რამ მოიფიქროს, რომ ჰარმონია აღადგინოს. კოგნიტური დისონანსის კლასიკური მაგალითია ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, ეზოპეს იგავი „მელა და ყურძენი“.

2.2. მრავალმხრივი ინტელექტი

I. წაიკითხეთ წინადადებები. ზმნებს შეუცვალეთ ფორმა ნიშნის მიხედვით და ჩასვით წინადადებებში შესაბამის ადგილას: უკრავს, იგებს, სჭირდება, აყალიბებს, პასუხობს, აჩვენებს, აკავშირებს, გეგმავს, ეხმარება, საუბრობს, თანამშრომლობს.

ნიშნები: პატარა რომ ვიყავი, ფორტეპიანოზე კარგად ----- **უკრავდი** -----.

1. მსჯელობის დროს ბავშვი სწორად ----- ძველ და ახალ მასალას.
2. სკოლაში მუშაობა რომ დავიწყე, ორი კვირის შემდეგ უკვე დამოუკიდებლად ----- გაკვეთილს.
3. ახალი სასწავლო წლისთვის ბიბლიოთეკას წიგნების შეძენა -----.
4. გიორგი ხალისით ----- სკოლის კეთილმოწყობილი შენობის შესახებ.
5. როცა ირმა პრეზენტაციას აკეთებდა, ბავშვები უფრო კარგად ----- ახალ მასალას.
6. გასულ წელს ჩემი მოსწავლეები ერთმანეთს ხშირად ----- ახალი ცოდნის შეძენაში.
7. სკოლაში ჩვენ აქტიურად ----- სხვა კათედრების წევრებთანაც.
8. გასაუბრებაზე პირველკლასელთა მშობლები დეტალურად ----- თავიანთ აზრებსა და სურვილებს.
9. ბუნებისმეტყველების მასწავლებელს გაკვეთილის ახალი მასალის შესახებ პირველად ყოველთვის თამაში -----.
10. ზაფხულში პატარა კატოს, მომავალ მოსწავლეს, დიდი სიამოვნებით ----- სასკოლო ნივთებს.

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიშნები: 6 გ – მრავალმხრივი ინტელექტი

- | | |
|------------------------|---------------------|
| 1. კოგნიტური | ა. კონკურსი |
| 2. გადაწყვეტილების | ბ. აზროვნება |
| 3. ლიტერატურული | გ. ინტელექტი |
| 4. შეფასების | დ. შეძენა |
| 5. სასწავლო | ე. მეთოდი |
| 6. მრავალმხრივი | ვ. ფორმა |
| 7. შემოქმედებითი | ზ. დაგროვება |

- | | |
|------------------|------------|
| 6. აღზრდის | თ. პროცესი |
| 7. გამოცდილების | ი. ჩვენება |
| 8. მასალის | კ. მიღება |
| 9. შეკითხვების | ლ. უნარი |
| 10. პრეზენტაციის | მ. დასმა |

ბ) ჩასვით შესაბამის წინადადებაში მხოლოდ საჭირო წყვილი. გაითვალისწინეთ, რომ ზოგჯერ საჭიროა სიტყვებისათვის ფორმის შეცვლა:

ნიმუში: ქართულ სკოლაში მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას დიდი ხანია იცნობენ.

1. ახალი ----- ადვილი არ არის სუსტი მოსწავლისთვის.
2. პრაქტიკოსი მასწავლებელი ----- სწავლების მიზანთან აკავშირებს.
3. სასკოლო პროექტებზე მუშაობა ბავშვებს ----- უვითარებდა.
4. მოსწავლეებისთვის ----- კონსტრუქტივისტული სწავლების ერთ-ერთი მეთოდია.
5. საქართველოს სკოლებში ----- წელს სექტემბრის ბოლოს დაიწყება.
6. გასულ წელს გიორგიმ პირველად მიიღო მონაწილეობა -----.
7. კარგმა მასწავლებელმა იცის, რომ ----- მოსწავლის ინტერესების გათვალისწინების შემდეგ არის საჭირო.
8. ქალბატონი თამარი გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მუშაობს სკოლაში, მაგრამ ფიქრობს, რომ ----- მაინც სჭირდება.
9. ----- ყველა საგანს განსხვავებული აქვს.
10. ბავშვისთვის ----- განვითარება ადვილი არ არის, მაგრამ კეთილგანწყობილმა მასწავლებელმა იცის, როგორ შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა.

III. ა) შეუცვალეთ სიტყვებს ფორმა ნიმუშის მიხედვით:

მასწავლებლები	მასწავლებელთა
მეთოდები	
აქტივობები	
კათედრები	
მოსწავლეები	

უნარ-ჩვევები	
მიზნები	
შეფასებები	
პერსონაჟები	
შედევები	
თანამშრომლები	

ბ) ჩასვით სიტყვები შესაბამის წინადადებაში საჭირო ფორმით ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ---- მასწავლებელთა --- მიერ გაკვეთილზე სხვადასხვა მეთოდის გამოყენება კარგ გავლენას ახდენს მოსწავლის ინტელექტზე.

1. განსხვავებულ ----- ერთობლიობა კონსტრუქტივისტული გაკვეთილის წარმატების საფუძველია.
2. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ----- ინტერესები და შესაძლებლობები.
3. დამოუკიდებელი მუშაობისათვის აუცილებელია ----- შეძენა.
4. რაც უფრო მეტს იფიქრებენ ბავშვები საკუთარ ----- შესახებ, მით უფრო მეტი მოტივაცია ექნებათ სწავლისთვის.
5. მოსწავლეები ხალისით მსჯელობენ მოთხრობის ----- შესახებ.
6. უკვე ერთი თვეა, ----- გამგეები მსჯელობენ მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის შესახებ.
7. კრიტიკულ ----- დახმარებით ბავშვი მსჯელობას სწავლობს.
8. ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე თანამედროვე ----- ერთობლიობა ახდენს გავლენას.
9. სკოლის ----- აზრით, ლიტერატურული კონკურსი ოქტომბრის პირველ კვირაში გაიმართება.

IV. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1. შემეცნება არის უნარების
 - ა. შეფასება
 - ბ. ერთობლიობა
2. ინტელექტი შეიძლება იყოს
 - ა. გრძელი
 - ბ. მაღალი

3. ადამიანებს აქვთ განსხვავებული

ა. პრეზენტაცია

ბ. მოტივაცია

4. შეიძლება პრობლემის

ა. გადაჭრა

ბ. დაგროვება

5. ბავშვებს ყველაზე მეტად უყვართ

ა. შეკითხვების დასმა

ბ. პასუხის გაცემა

6. სწავლება არის მოსწავლეზე

ა. ინტელექტუალური

ბ. ორიენტირებული

7. მასწავლებელი მოსწავლეთა ინტერესებს

ა. ითვალისწინებს

ბ. აყალიბებს

8. გაკვეთილების შემდეგ სპორტზე

ა. დავდივარ

ბ. ვხატავ

9. ძალიან მინდა მყავდეს

ა. ინტელექტი

ბ. ძაღლი

10. მიყვარს ინტელექტუალური

ა. უნარები

ბ. ადამიანები



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ლიზა, შენი ----- ბევრი დრო გჭირდება?

- არა, მე აქვე ახლოს ვცხოვრობ, ბოტანიკურ ----- დილით ან ჩემი ძმის ----- მოვდივარ, ან ----- ტრანსპორტით და სულ 10 წუთი მჭირდება. თუ ----- წამოვალ, მაშინ - 20-25 წუთი.

- მართლა? რა კარგია. მე კი შორს ვცხოვრობ ----- და ----- რომ მოვიდე, ბევრი დრო მჭირდება - მთელი ერთი საათი და თხუთმეტი წუთი.

- მეტრო?

- მეტროც შორსაა, ამიტომ დილით ადრე ----- ფეხით მივდივარ, -----
----- კი - ავტობუსით.

- უიიი...

- არა უშავს, პრობლემა არაა, მაგრამ ახლა დახმარება მჭირდება. დღეს გაკვეთილების შემდეგ ხელოვნების კაბინეტისთვის ბევრი რამ ----- . თუ შეიძლება, ნივთებს შენთან მოვიტან. ხვალ დილით კი ----- შენს ----- და ყველაფერი ერთად მოვიტანოთ ----- . რას ფიქრობ ამ იდეის შესახებ?

- ძალიან კარგი აზრია. თუ გინდა, ----- წამოვალ შენთან ერთად მაღაზიაშიც.

- დიდი მადლობა, ლიზა.



VI. ჩასვით წინადადებებში შესაფერის ადგილას მოცემული სიტყვები: პირდაპირ, ირგვლივ, გარშემო, წინ/უკან, ზევით/ქვევით, ზემოთ/ქვემოთ, ქვეშ, მარჯვნივ/მარცხნივ, გვერდით.

ნიმუში: ბაფხულში სკოლის პირდაპირ ლამაზი პარკი გააკეთეს.

1. ჩვენი სკოლის ----- ინტერნეტკაფეს გახსნა უნდათ.
2. რამდენიმე წლის ----- ამ დიდ შენობაში ცნობილი კერძო სკოლა იყო.
3. ბალის ცენტრში შადრევნის ----- ბევრი ლამაზი მცენარე და ფერადი ყვავილია.
4. სკოლის შენობის ----- ეზო აუცილებლად კეთილმოწყობილი უნდა იყოს.
5. მეტრომდე რომ მივიდეთ, ჩემი სახლიდან ----- უნდა წავიდეთ.
6. დირექტორის კაბინეტი ----- არის, მეორე სართულზე.
7. -----, პირველ სართულზე ჯერჯერობით მხოლოდ ბიბლიოთეკა და სასადილოა.
8. კატოს ფერადი ფანქრები გუშინ მაგიდის ----- ვნახე.

9. სკოლის აივნისა და ქველი თბილისის ლამაზი ხედი ჩანს, შენობის ----- კი დიდი სპორტული მოედანია. ყველა სტუმარს ვაჩვენებთ ამ სილამაზეს.
10. გზა კარგად ვიცი: არც -----, არც -----, ----- უნდა წავიდეთ და სკოლამდე მალე მივალთ.

VII. მოცემული სიტყვების და ფრაზების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

სახლიდან სკოლამდე	მხოლოდ 15 წუთი მჭირდება.
ბიბლიოთეკის შემდეგ	
ყოველ დილით მეტროსთან	
ავტობუსისკენ	
ჩვენი სახლის აივნის ქვეშ	
კათედრის გამგის კაბინეტამდე	
ახალ ინტერნეტკაფესთან	
მოსწავლეთა სასახლის გვერდით	
პარკში ჩანჩქერის მერე	
სადამოშო სახლიდან	

VIII. ა) ყურადღებით წაიკითხეთ განცხადება:

ძვირფასო მშობლებო!

იწყება ახალი სასწავლო წელი. ტრადიციულად, სკოლა „იმედი“ გიწვევთ ღონისძიებაზე, რომელიც, ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო იქნება თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის. ჩვენ ბევრ საინტერესო რამეს ვაჩვენებთ სტუმრებს. ღონისძიების ბოლოს გაიმართება კონკურსი. მას, ვინც ამ კონკურსში პირველ ადგილს აიღებს, გადაეცემა ორიგინალური პრიზი. მობრძანდით თქვენი ოჯახის წევრებთან ერთად და დრო სასიამოვნოდ გაატარეთ.

P. S. შეკითხვები თუ გაქვთ, დაგვირეკეთ. საკონტაქტო ინფორმაციას ნახავთ სკოლის ვებგვერდზე: www.imedi.ge

ბ) მოიფიქრეთ და დაწერეთ, რა შეკითხვები შეიძლება ჰქონდეთ მშობლებს?

1. -----

2. -----
3. -----
4. -----
5. -----

IX. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით; გამოიყენეთ კონსტრუქცია:
... + ნათ. ბრ.-ის საშუალებით

ინტერნეტი, ქცევა, მეთოდი, აქტიუობა, ანალიზი, ცოდნა, კონსტრუქტივისტული გაკვეთილი, კრიტიკული აზროვნება, შეფასება, გამოცდილება, მრავალმხრივი ინტელექტი

ნიმუში: უკვე ერთი წელია, ალექსი (ინტერნეტი) ინტერნეტის საშუალებით თანამშრომლობს სკოლა „იმედთან“.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

X. ისახუბრეთ თემაზე „მრავალმხრივი ინტელექტი“. გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები და ფრაზები:

ადამიანი, შეიძლება, სხვადასხვანაირი, ყველა, მაღალი, დაბალი, განვითარება, მრავალმხრივი, ერთი ან მეტი, უნართა ერთობლიობა, ბავშვი, მუსიკალური ინტელექტი, ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი, ენობრივ-ლინგვისტური ინტელექტი, ნატურალისტური ინტელექტი.

2.3. კოგნიცია, კოგნიტური განვითარება

I. წაიკითხეთ წინადადებები. ზმნები შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით და ჩასვით შესაბამისი ფორმით: აკავშირებს, გადადის, წერს, გამოხატავს, ეხმარება, იზრდება, აღწერს, ამუშავებს, სვამს, მსჯელობს, გამოთქვამს.

ნიმუში: ჟან პიაჟე ბავშვის ცოდნას დამოუკიდებელ აზროვნებასთან -- აკავშირებდა --.

1. პრეზენტაციისათვის მთელი კვირა ----- მასალას „ქუჩის ბავშვების“ შესახებ.
2. შენ სოფელში ----- თუ ქალაქში?
3. ჟან პიაჟე თავის წიგნში ----- კოგნიციის განვითარების პროცესს.
4. დედამ თქვა, რომ ორი წლის უკვე ნათლად ----- შენს აზრებს.
5. გუშინ ----- კოგნიტური განვითარების სტადიების შესახებ.
6. მასსოვს, როგორ ----- მასწავლებელი, როცა პირველკლასელები ვიყავით.
7. ბავშვი იზრდებოდა და განვითარების ერთი სტადიიდან მეორეში -----.
8. კოგნიტური განვითარების ოპერაციამდელ სტადიაზე ----- ჩემი მეგობრის შვილი კითხვებს.
9. ჩემი მოსწავლეებისათვის დამოუკიდებლად ----- დავალებებს ლოგიკური აზროვნების განვითარებისათვის.
10. ფორმალური ოპერაციების სტადიაში 14-15 წლის მოსწავლეები აქტიურად ----- პროტესტს, როცა რამე არ მოსწონდათ.

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

1	აქტიურად	ახდენს	აქტიურად თანამშრომლობენ
2	გადაწყვეტილების	ინტელექტი	
3	გამოცდილების	სტადია	
4	ლიტერატურული	გადაჭრა	
5	სენსო-მოტორული	მიღება	
6	პრობლემის	მსჯელობს	
7	დამოუკიდებელი	თანამშრომლობენ	
8	თავისუფლად	საშუალებით	
9	გავლენას	ნიშნებს	
10	მრავალმხრივი	ერთმანეთს	
11	ეხმარებიან	აზროვნება	
12	აჩვენებდნენ	კონკურსი	

ბ) შედგენილთაგან ზოგი შესიტყვება ჩასვით საჭირო ფორმით წინადადებებში:

ნიმუში: მშობლები ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობენ მასწავლებლებთან.

1. ადვილი არ არის -----, თუ არ ვიცით ბავშვის ასაკი.
2. მასწავლებელი თავისი ----- დაინახავს, რომ მოსწავლეს დახმარება სჭირდება.
3. ჩვენს სკოლაში ყოველთვის იმართება -----, რომელშიც 12-დან 15 წლამდე მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას.
4. განვითარების ----- ბავშვი დამოუკიდებლად გეგმავს ზოგ აქტივობას.
5. ----- მაშინ არის ადვილი, როცა საჭირო ცოდნა და გამოცდილება გვაქვს.
6. ფსიქოლოგების აზრით, ----- არ ნიშნავს ლოგიკურ აზროვნებას.
7. თუ 13 წლისაა და უკვე ----- ბავშვთა პრობლემების შესახებ.
8. სასკოლო ცხოვრება დიდ ----- ბავშვის კოგნიტური უნარების განვითარებაზე.
9. ბავშვს როდესაც აქვს მაღალი და -----, ის ყველა საგანს ადვილად სწავლობს.
10. მოსწავლეები ხალისით ----- საპრეზენტაციო პროექტზე მუშაობის დროს.

III. დააკავშირეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით. გამოიყენეთ კონსტრუქცია:

..., იმიტომ რომ ...

ნიმუში: 10 წლის ბავშვი დამოუკიდებლად აბროვნებს, **იმიტომ რომ** უკვე აქვს ცოდნა და გამოცდილება.

10 წლის ბავშვი დამოუკიდებლად აბროვნებს	მიიღოს გადაწყვეტილება.
1 წლის ბავშვი შეკითხვას ვერ დასვამს	გავიგოთ, როგორ დავეხმაროთ მას სწავლაში.
ნიმუში: (მოთხოვნილებები) **მოთხოვნილებების** განვითარება თანმიმდევრული პროცესია.

1. (ინტელექტი) ----- განვითარება უნართა ერთობლიობაზე არის დამოკიდებული.
2. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის (ქცევა)----- განსაკუთრებით კარგად ჩანს სასკოლო გარემოში.
3. ლიზამ და თეამ ძალიან ბევრი იმუშავეს ახალ (ცხრილი)-----
4. მასწავლებელი ზრუნავს, რომ რთულმა ახალმა (მასალა)----- მოსწავლის მოტივაციაზე არ მოახდინოს გავლენა.
5. (ამროვნება) ----- განვითარებას სჭირდება კოგნიტური უნარების ერთობლიობა.
6. მოტივაციის გაზრდის მიზნით, მასწავლებელი დადებით (უკუკავშირი)----- აძლევს მოსწავლეს.
7. დიმიტრი უზნაძის (ამრი)-----, ადამიანის ქცევა დამოკიდებულია მოტივაციაზე.
8. მოტივაციისათვის მნიშვნელოვან (ფაქტორი)----- შეგვიძლია გამოვიყენოთ შექება.
9. ინტელექტის განვითარების სენსო-მოტორულ (სტადია)----- ბავშვი იღებს გადაწყვეტილებებს, ე.ი. მას უკვე აქვს მოტივაცია.
10. მასწავლებელი (განსხვავებული) ----- ზრუნავს ისეთ მოსწავლეზე, რომელიც ადვილად ვერ იაზრებს ახალ მასალას.



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)
- გამარჯობა, ლიზა. როგორ ხართ?
 - გმადლობთ, ქალბატონო თამარ, კარგად. თავად როგორ ბრძანდებით?
 - მეც არა მიშავს. იცით, გუშინ ძალიან ----- და ვერ გესაუბრეთ, ახლა კი მაქვს დრო და ----- კითხვებზე.

- დიდი მადლობა, ქალბატონო თამარ, თუ ცოტა დრო გაქვთ, მაშინ -----გკითხავთ.
- გისმენთ.
- აბრაამ მასლოუ ამბობს, რომ მოტივაცია -----. დიმიტრი უზნაძის აზრით კი, როგორიც არის მოტივაცია, -----.
- დიახ, ასეა.

ბ)

- ესე იგი, თუ მისი მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული, მოსწავლე -----?
- ნამდვილად ცუდად მოიქცევა; განსაკუთრებით კი -----, თუ დაკმაყოფილებული არ იქნება ----- აუცილებელი მოთხოვნები, ----- საკვების მიღება, დასვენება და ა. შ.
- როგორ, საჭმელი ----- მნიშვნელოვანია, ----- კარგი ნიშანი? მოტივაციისთვის საკმარისი არ არის მაღალი ნიშნის მიღების შესაძლებლობა?
- რა თქმა უნდა, საკმარისია, მაგრამ მაღალი მოთხოვნების დაკმაყოფილება ----- დაბალი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ. ბავშვისთვის ----- საკვები და დასვენება, -----.
- დიდი მადლობა. ყველაფერი გასაგებია. ახლა სულ ----- გაკვეთილს.
- არაფრის. ბევრი -----, ლიზა.
- ნახვამდის, ქალბატონო თამარ, კიდევ ერთხელ გმადლობთ.

VI. ხაზი გაუსვით კავშირის (ის, ვინც.../ ის, რაც...; რომელიც.../რომლებიც...; სადაც .../როცა...) სწორ ფორმას:

ნიმუში: ნინომ პრეზენტაციაზე მუშაობა მაშინ დაიწყო, სადაც/როცა საკმარისი მასალა მოაგროვა.

1. სასკოლო კონკურსში მონაწილეობს ყველა ის მოსწავლე, რომელსაც/რომლებსაც აქვთ მაღალი მოტივაცია.
2. აუცილებელი მოთხოვნები არის ის, ვინც/ის, რაც ადამიანს სჭირდება სიცოცხლისთვის.
3. მოსწავლეს უხარია სკოლაში წასვლა, სადაც/როცა მასწავლებელი პატივს სცემს მის აზრს და აძლევს დადებით შეფასებას.
4. ყოჩაღ, ძალიან ჭკვიანი ბავშვები ხართ! გიორგი, შენ ხომ არ ხარ ის, ვინც/რომელიც ნინოს პრეზენტაციის მომზადებაში დაეხმარა?
5. კარგი მასწავლებელი გაკვეთილზე ყოველთვის იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც/სადაც ბავშვებს მოტივაციის ამაღლებაში ეხმარება.

6. სწავლა-სწავლების მიმართ მოსწავლის დამოკიდებულება დადებითია, **სადაც/როცა** კლასში სასიამოვნო გარემოა.
7. მეხუთეკლასელებმა მოამზადეს პრეზენტაცია, **რომელიც/რომლებიც** ყველასთვის საინტერესო იყო.
8. მოსწავლის შინაგანი მდგომარეობაა, **ვინც/ის, რაც** მოწავლის მოტივაციას განსაზღვრავს და მასწავლებელმა ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.
9. მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ ახალი სასკოლო კომპიუტერები, **რომლებიც/რომელიც** სკოლა „იმედმა“ ბაფხულში იყიდა.
10. სკოლა „იმედი“ საუკეთესოა ჩვენს ქალაქში, **სადაც/რომელიც** ბევრი კარგი სკოლაა.

VII. ა) შეავსეთ ცხრილი:

გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
გაუზიარა	უზიარებს	გაუზიარებს	გაუზიაროს
შეაქო			
		გამოხატავს	
			გაიმეოროს
	ახალისებს		
შეასრულა			
		განსაზღვრავს	
			იზრუნოს
იპოვა			
	ვითარდება		
			დააგროვოს

ბ) შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით მომავალ დროში:

ნიმუში: უკვე ათი წელია ვმუშაობ სკოლა „იმედში“ და სიამოვნებით **გავუზიარებ** ჩემს გამოცდილებას ახალგაზრდებს.

1. -----
2. -----

3. -----
4. -----
5. -----
6. -----
7. -----
8. -----
9. -----
10. -----

VIII. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1.	აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილება ეხმარება ბავშვს, რომ იფიქროს უფრო მაღალი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.	+	
2.	სწავლისა და ცოდნის მიღების მოტივაცია მხოლოდ ბევრ ბავშვს აქვთ.		
3.	აბრაამ მასლოუს აზრით, თუ ბავშვს არ აქვს მოტივაცია, მასწავლებლის შექება მასზე გავლენას ვერ მოახდენს.		
4.	კარგი მასწავლებელი ბავშვებს აუცილებლად აძლევს დადებით უკუკავშირს.		
5.	მოსწავლეებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი და სახალისოა სასკოლო აქტივობებში მონაწილეობა.		
6.	მასწავლებელი გაკვეთილს გეგმავს იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც მოსწავლეების მოტივაციაზე ახდენენ გავლენას.		
7.	მოსწავლის კოგნიტური უნარების განვითარება სასწავლო პროცესის შედეგია.		
8.	გარეგანი მოტივაცია არის მოსწავლის სურვილი, მიიღოს ცოდნა.		
9.	როდესაც კლასში სასიამოვნო გარემოა, მოსწავლეები უფრო ეფექტურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან.		
10.	თუ ბავშვი არ ასრულებს საშინაო დავალებს, ე.ი. მას არ მოსწონს სასკოლო გარემო.		

IX. ჩასვით წინადადებებში საჭირო განუსაზღვრელი ნაცვალსახელები,ვინმე/რამე/როგორმე/სადმე..... შესაბამისი ფორმით ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: --ვინმე-- აუცილებლად უნდა იზრუნოს სკოლა „იმედში“ ლიტერატურული კონკურსის ჩატარებაზე.

1. ----- მოვიფიქრებ, რომ ჩემმა მოსწავლეებმა ადვილად დააკავშირონ წინარე ცოდნა ახალ მასალასთან.
2. უკვე გვაქვს შესაძლებლობა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ----- წავიდეთ ექსკურსიაზე.
3. ქალბატონო ლია, თქვენ ----- უნდა იზრუნოთ, რომ გიორგიმ ყოველთვის შეასრულოს საშინაო დავალება.
4. ----- უნდა ჩამოაყალიბოს, თუ როგორ შეიძლება შინაგანი მოტივაციის განვითარება.
5. ამ სკოლაში ----- არის დასასვენებელი ოთახი? თუ არ არის, აუცილებლად უნდა გავაკეთოთ.
6. მასწავლებელმა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები უნდა გაითვალისწინოს, სანამ ----- დაგეგმავს.
7. თუ გვინდა მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ----- ჯერ უფრო დაბალი მოთხოვნილებები უნდა დავაკმაყოფილოთ.
8. ახალგაზრდა მასწავლებელი ----- აუცილებლად მიიღებს დახმარებას, რომ სასწავლო პროცესი კარგად წარმართოს.
9. კიდევ იქნება ----- ისეთი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის, როგორიც სკოლა „იმედში“ იყო?
10. ხვალ სკოლაში ----- აუცილებლად ამოხსნის ამ რთულ ამოცანას.

X. ა) წაიკითხეთ ტექსტი და გახაზეთ უცნობი სიტყვები:

ბ) თქვენი სიტყვებით გადმოეცეთ, რაზეა საუბარი ტექსტში; თქვენი გამოცდილების მიხედვით იმსჯელეთ „პიგმალიონის ეფექტის“ შესახებ:

სასწავლო პროცესში ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მასწავლებლის მოლოდინი. ჩვეულებრივ, მოსწავლესთან დაკავშირებული მასწავლებლის მოლოდინი არ მართლდება ხოლმე. მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ ხშირად მოსწავლესთან დაკავშირებით მასწავლებლებს გარკვეული აზრი, შესაძლებელია, ფაქტობრივი ინფორმაციის გარეშეც ჩამოუყალიბდეთ (ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური მდგომარეობის მიხედვით და ა. შ.).

მასწავლებლის უარყოფით მოლოდინს, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგები მოჰყვეს.

ამერიკელმა მეცნიერებმა - როზენტალმა და ჯეკობსონმა - თანმიმდევრულად შეისწავლეს დამოკიდებულება, რომელიც არის მასწავლებლისა და მოსწავლის ქცევას შორის. მათ აღმოაჩინეს ფენომენი, რომელსაც „პიგმალიონის ეფექტი“ ჰქვია.

„პიგმალიონის ეფექტი“ არის ისეთი სიტუაცია, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს ექცევა საკუთარი მოლოდინის შესაბამისად, რომელიც ხშირ შემთხვევაში არაადეკვატური, ე. ი. არასწორია.

4.2. ეფექტური კომუნიკაცია

I. წაიკითხეთ წინადადებები. ზმნებს შეუცვალეთ ფორმა ნიმუშის მიხედვით და ჩასვით წინადადებებში შესაბამისი ადგილას:

გამოხატავს ვითარდება საზღვრავს უშვებს გრუნავს ითვისებს ახალისებს
ასრულებს ეხმარება აქებს აქცევს

ნიმუში: მასწავლებელმა თავისი ემოცია აუცილებლად უნდა ----- **გამოხატოს** ----- ვერბალური კომუნიკაციის დროს.

1. ბავშვმა სასწავლო გარემოში აუცილებლად უნდა ----- ეფექტური ვერბალური კომუნიკაციის უნარი.
2. ნინო უფრო ბეჯითია, ვიდრე კოტე; მინდა -----, რომ მაღალი მოტივაცია ჰქონდეს.
3. ნუცა, ხვალ სტუმრად წასვლა თუ გინდათ შენ და გიორგის, ამ საღამოსვე უნდა ----- საშინაო დავალებები.
4. ალბათ, დირექტორმა და მასწავლებლებმა ერთად უნდა -----, მოსწავლეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის რა არის უფრო მნიშვნელოვანი - შენობის კეთილმოწყობა თუ ახალი კომპიუტერების შეძენა.
5. ლიზა, ყოველთვის უნდა ----- ყურადღება, კარგად ითვისებენ თუ არა შენი მოსწავლეები ახალ მასალას.
6. შეიძლება კიდევ ერთხელ ვნახო მასწავლებლის კომენტარი? აღარ მინდა შეცდომა კიდევ ----- .

7. ყველამ ერთად უნდა ----- , რომ სწავლა-სწავლების პროცესი ეფექტურად განვითარდეს.
8. ქალბატონმა თამარმა მრავალწლიანი გამოცდილებით იცის, რომ მოსწავლე უნდა ----- .
9. სასკოლო გარემოში ინფორმაციის მიღებით უნდა ----- ბავშვის კოგნიტური უნარები.
10. პრეზენტაციებზე მუშაობა რომ დაიწყება, ბავშვები ერთმანეთს უნდა ----- .

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 5 ბ – ყურადღების გამოხატვა

- | | |
|----------------|-------------------|
| 1. უნარების | ა. უშვებს |
| 2. ცოდნის | ბ. გამოხატვა |
| 3. კარგად | გ. მიწოდება |
| 4. მზრუნველი | დ. მუშაობა |
| 5. ყურადღების | ე. ითვისებს |
| 6. აუცილებელი | ვ. სირთულე |
| 7. უკუკავშირის | ზ. ერთობლიობა |
| 8. ეფექტური | თ. განმტკიცება |
| 9. შეცდომას | ი. მოთხოვნილებები |
| 10. მთავარი | კ. მასწავლებელი |

ბ) შესიტყვებები საჭირო ფორმით ჩასვით წინადადებებში:

ნიმუში: კარგ მასწავლებელს ყოველთვის ახსოვს, რომ აუცილებელია მოსწავლის მიმართ **ყურადღების გამოხატვა**.

1. ----- ძალიან მნიშვნელოვანია ცოდნის დაგროვებისთვის.
2. ----- თავის ცოდნასა და გამოცდილებას ყოველთვის უზიარებს მოსწავლეებს.
3. დადებითი ----- გარეშე მოსწავლე ვერ შეძლებს სასკოლო პროექტებზე ეფექტურად მუშაობას.

4. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ დისკუსია მიღებული -----
----- ყველაზე ეფექტური და სახალისო მეთოდია.
5. სამწუხაროდ, ----- ის მასწავლებლები, რომლებიც
ფიქრობენ, რომ მათ არ უნდა იზრუნონ მოსწავლის მოტივაციაზე.
6. ყოჩაღ, გიორგი! ბეჯითად რომ სწავლობ, უკვე -----
ახალ და რთულ მასალას.
7. სწავლების პროცესში ----- თითქმის ყოველთვის არის
ბავშვისთვის ანალიზის უნარის განვითარება.
8. ----- დაკმაყოფილების გარეშე მოსწავლეს არ
შეუძლია საგაკვეთილო პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღება.
9. კლასში ----- ყველა საგნის მასწავლებელმა
განსხვავებული მეთოდი უნდა გამოიყენოს.
10. ხშირად ბავშვის მიმართ ----- საკმარისია ეფექტური
კომუნიკაციისათვის.

III. ა) შეუცვალეთ სიტყვებს ფორმა ნიმუშის მიხედვით:

ჯკვიანი	უჯკვიანესი
მშვენიერი	
მარტივი	
რთული	
ახლო	
მდიდარი	
მალალი	
ძველი	
ძლიერი	
დიდი	
ლამაზი	

ბ) ჩასვით ეს სიტყვები შესაბამის წინადადებაში:

ნიმუში: გიორგიმ შესანიშნავი პრეზენტაცია მოამზადა. ის ნამდვილად ---- **უჯკვიანესი** --- ბავშვია.

1. სწავლა-სწავლების პროცესი წარმატებული რომ იყოს, ერთად უნდა მოვძებნოთ პრობლემის გადაჭრის
----- გზები.

2. გიორგიმ და ნუცამ დაბადების დღეზე ნინოს საინტერესო წიგნი აჩუქეს -----
ნახატებით.
3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის განათლების ერთ-ერთი -----
---- ცენტრია.
4. მოსწავლის შინაგანი და გარეგანი მოტივაციის დაკავშირება ----- საქმეა და ეს
ყველა მასწავლებელს არ შეუძლია.
5. გიორგი და კოტე ----- მეგობრები არიან, მაგრამ მათ ერთნაირად კარგი
დამოკიდებულება აქვთ ყველა კლასელთან.
6. გუშინ ფიზიკის მასწავლებელმა გიორგი შეაქო და ----- შეფასებაც დაუწერა.
7. სკოლა „იმედს“ ----- ბიბლიოთეკა აქვს, სადაც სასიამოვნო გარემო და
ეფექტური მომსახურებაა.
8. დიმიტრი შველიძე ----- მასწავლებელია; მისი დახმარებით ბავშვები
სწავლობენ მსჯელობას, ინფორმაციის ანალიზსა და სინთეზს.
9. დისკუსიის მეთოდი ერთ-ერთი -----, მაგრამ ძალიან ეფექტური იმისთვის, რომ
ბავშვმა ისწავლოს კრიტიკული აზროვნება.
10. დადებითი უკუკავშირი ----- საშუალებაა მოსწავლის წახალისებისა და
სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის.

IV. შემოხაზეთ პასუხის სწორი ვარიანტი:

- | | |
|---|-----------------------------|
| 1. ვერბალური კომუნიკაცია არის | 1. ემოცია |
| | 2. საუბარი |
| 2. დისკუსია შეიძლება იყოს | 1. კრიტიკული |
| | 2. წინარე |
| 3. ქესტებით ხდება | 1. არავერბალური კომუნიკაცია |
| | 2. ვერბალური კომუნიკაცია |
| 4. არავერბალური კომუნიკაცია შეიძლება იყოს | 1. ემოციის გამოხატვა |
| | 2. ემოციის დაგროვება |
| 5. კომენტარი არის | 1. პროცესი |
| | 2. უკუკავშირი |

- | | |
|-------------------------------------|---|
| 6. წერილობით კომუნიკაციას იყენებენ | 1. შეფასებისთვის
2. შემეცნებისთვის |
| 7. დადებითი უკუკავშირი აუცილებელია | 1. მოსწავლისთვის
2. სკოლისთვის |
| 8. შინაგანი მოტივაცია ითვალისწინებს | 1. სურვილებს
2. მოთხოვნებს |
| 9. გარეგანი მოტივაცია ითვალისწინებს | 1. გარემო პირობებს
2. არაგერბალურ კომუნიკაციას |
| 10. მოთხოვნები შეიძლება იყოს | 1. მაგალითი
2. მრავალფეროვანი |



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)
- თეა, როგორ ხარ?
 - კარგად. შენ როგორ ხარ?
 - ისე რა. მოდი, ერთად წავიდეთ, -----.
 - მართლა? რა ხდება?
 - ----- . მინდა გკითხო, კლასში ბავშვებთან მუშაობის დროს რომელ მეთოდს უფრო ხშირად იყენებ დადებითი ----- ვერბალურს თუ არავერბალურს? შენი აზრით, რომელი -----?
 - ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, ----- უფრო ეფექტურია; ბავშვი -----, რას ფიქრობს მასზე მასწავლებელი.
 - მართალია, მაგრამ მასწავლებლის ----- კლასში ყველა ბავშვს შეუძლია და ეს მოსწავლისთვის ხშირად -----.

ბ)

- რა თქმა უნდა! სწორედ ასეთ შემთხვევაში ვიყენებ ----- ჩემი სახე და თვალეი კარგად -----, ამიტომ ბავშვიც ზუსტად იგებს, ----- თუ არა მისი ----- ან პასუხი.
- კი, ასეა ნამდვილად. ----- ბევრს ნიშნავს ბავშვისთვის.
- რაც მთავარია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლის მიმართ მოსწავლის -----.
- თეა, ----- ხშირად წერ მოსწავლის რვეულში?
- აუცილებლად! კომენტარი სჭირდება ----- ბავშვს, ----- მშობელს. კომენტარით ----- მათ ჩემს დამოკიდებულებას ბავშვის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ. კომენტარში ყველაფერი -----! შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე ეფექტური მეთოდია.
- მართალია. დიდი მადლობა, თეა,
- არაფრის, ჩემო კარგო. -----!

VI. შეარჩიეთ ერთი თანდებული და ჩასვით წინადადებებში შესაფერის ადგილას:

ნიმუში: უნდა გვახსოვდეს მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარი.

ა) (...+ ნათ. ბრ. +ის) მიერ / მაგიერ

1. გიორგის ----- დღეს კოტემ წარმოადგინა პრეზენტაცია ქიმიის გაკვეთილზე.
2. მასწავლებლის ----- ემოციის გამოხატვა ძალიან მნიშვნელოვანია ეფექტური კომუნიკაციისთვის.
3. მასწავლებლის სახლის კონსულტანტის ----- გაკეთებული პრეზენტაცია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ ყველას ძალიან მოსწონს.
4. ფესტივალ „ოქროსფერი შემოდგომა“ სკოლის შენობის ----- წელს ეზოში ჩაატარებენ.
5. მასწავლებლის ----- მოცემული უკუკავშირი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე.

ბ) (...+ ნათ. ბრ. + ის) მიხედვით / შემდეგ

6. ბიბლიოთეკა დირექტორის კაბინეტის ----- არის მეორე სართულზე და სწორედ იქ ვატარებთ ლიტერატურულ კონკურსს.
7. მხოლოდ მოსწავლეთა ქცევისა და მოტივაციის ----- უნდა დაგვეგმოს მასწავლებელმა საკლასო აქტივობები.

8. კლასთან წარმატებული კომუნიკაციის ----- თუ ვიმსჯელებთ, ლიბამ უკვე კარგი გამოცდილება მიიღო.
9. მასალის გაგებისა და კრიტიკული გააზრების ----- ყოველთვის ვიწყებთ დისკუსიას.
10. ტრადიციულად, მოსწავლე შეფასების ----- იგებს, რა შეცდომა დაუშვა.

VII. მოცემული ფრაზების გამოყენებით შეადგინეთ რთული წინადადებები. გამოიყენეთ კავშირები: სადაც, როცა, რომელიც.

საინტერესო გაკვეთილი	ეს ბიბლიოთეკაა, სადაც დიმიტრი შველიძემ გუშინ საინტერესო გაკვეთილი ჩაატარა.
ეფექტური მეთოდი	
უარყოფითი უკუკავშირი	
წარმატებული სკოლა	
საკმარისი ცოდნა	
სასიამოვნო გარემო	
მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი	
მრავალწლიანი გამოცდილება	
განსხვავებული მეთოდი	
პოტენციური შესაძლებლობა	

VIII. ა) ყურადღებით წაიკითხეთ განცხადება:

ძვირფასო კოლეგებო! ტრადიციულად, სასწავლო წლის დასრულებამდე სკოლა „იმედი“ და „მასწავლებლის სახლი“ ჩაატარებენ დისკუსიას თემაზე - „სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვის სტრატეგიები“. ლონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის სხვა საგანმანათლებლო ცენტრების თანამშრომლები და მშობლები. დისკუსიის ბოლოს თქვენს შეკითხვებს უპასუხებს განათლების სამინისტროს კონსულტანტი. შეხვედრა ჩატარდება ბიბლიოთეკის დარბაზში შაბათს, 14.00 საათზე. დასწრება თავისუფალია. სკოლა „იმედის“ ადმინისტრაცია
--

ბ) მოიფიქრეთ და ჩამოწერეთ, რა საკითხებზე შეიძლება იმჯელონ მასწავლებლებმა?

1. -----
2. -----
3. -----
4. -----
5. -----

გ) მოიფიქრეთ და ჩამოწერეთ, რა შეკითხვები შეიძლება ჰქონდეთ მასწავლებლებსა და მშობლებს?

1. -----
2. -----
3. -----
4. -----
5. -----

IX. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით; ასევე, გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები და გამოთქმები: მართლაც, რა თქმა უნდა, ჩემი აზრით, ესე იგი.

მეთოდი, გარემოს ფაქტორი, ქცევა, მოტივაცია, კრიტიკული აზროვნება, უარყოფითი უკუკავშირი, შეფასება, საინტერესო დისკუსია, კომუნიკაცია, ყურადღება, ემოცია, ჟესტი, სიტყვა, პოტენციური შესაძლებლობა, კომენტარი, მზრუნველი, თვისება, დამოკიდებულება, მოთხოვნილებები, მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ნიმუში: ჩემი აზრით, (დისკუსია) დისკუსიის (მეთოდი) მეთოდის საშუალებით შეიძლება თანამშრომლობა მოსწავლეების მშობლებთან.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

X. ისაუბრეთ თემაზე „ეფექტური კომუნიკაცია“. გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები და ფრაზები:

როგორც ვიცით, შეფასების ფორმა, დამოკიდებულება სწავლის მიმართ, ეფექტური კომუნიკაცია, მოსწავლეების დამოკიდებულება, ყურადღებას აქცევს, ემოციების გამოხატვა, გავლენას ახდენს, მოთხოვნები დაკმაყოფილება, ასრულებენ დავალებებს, შეცდომას უშვებს, მასწავლებლის თვისებები, სასწავლო გარემო, აქტივობებში მონაწილეობა, საკუთარი თავის მიმართ მოთხოვნა, პრობლემის გადაჭრა, გარემო ფაქტორებზე დამოკიდებული, ხვდებათ სირთულეები.

4.3. სასწავლო გარემო

I. ა) ზმნებს შეუცვალეთ ფორმა ნიმუშის მიხედვით:

აწვდის	უნდა მიაწოდოს
ვაქცევ	
იწყება	
ითვისებ	
საზღვრავს	
მიმდინარეობს	
ვზრუნავთ	

მართავს	
ვასწავლით	
ახალისებ	
აფასებენ	

ბ) წიკითხეთ წინადადებები და ჩასვით შესაბამისი ზმნები საჭირო ადგილას:

ნიმუში: მასწავლებელმა მოსწავლეს დადებითი უკუკავშირი უნდა --- მიაწოდოს ---.

1. მასწავლებელმა დრო ეფექტურად უნდა გამოიყენოს და გაკვეთილი თავის დროზე -----
----- .
2. თუ გინდა ახალი მასალა კარგად -----, აუცილებლად უნდა გაიაზრო მისი შინაარსი.
3. მუდმივად უნდა ----- ბავშვისთვის კომფორტული და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.
4. თუ მასწავლებელს საკმარისი გამოცდილება აქვს, მან თავისუფლად უნდა -----
---- კლასი.
5. ხვალ სასკოლო კონკურსზე უნდა ----- ლიზას მეხუთეკლასელების მიერ მომზადებული პროექტი.
6. თეა მასწავლებელმა კომენტარში ჩაწერა, რას უნდა ----- ყურადღება.
7. შეიძლება გაკვეთილი ემოციურად უსაფრთხო გარემოში -----, მაგრამ სასწავლო პროცესი ეფექტური და წარმატებული არ იყოს.
8. ლიზა, საერთოდ, კლასის განვითარების დონის მიხედვით უნდა ----- , რომელი მასალა იქნება მოსწავლეებისთვის რთული.
9. მოსწავლე ყოველთვის უნდა ----- , ეს აძლიერებს ბავშვს და იგი მეტ ყურადღებას მიაქცევს სწავლას.
10. მოსწავლეებს აუცილებლად უნდა ----- , რომ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრი.

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან და შეადგინეთ შესიტყვებები:

ნიმუში: დავალების შემოწმება

1	დავალების	გარემო	დავალების შემოწმება
2	თანაბარი	მიხედვით	

3	ემოციების	მეცადინეობს	
4	ხვდებათ	ფაქტორი	
5	უსაფრთხო	დაკმაყოფილება	
6	ინფორმაციის	კომენტარი	
7	სწავლების	შემოწმება	
8	ბევრს	გამოხატვა	
9	მნიშვნელოვანი	პირობები	
10	მოთხოვნილების	სირთულეები	
11	დადებითი	ფორმა	

ბ) გამოიყენეთ ეს შესიტყვებები და შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: საშინაო დავალების შემოწმება და მოსწავლისათვის უკუკავშირის მიცემა სასწავლო პროცესის აუცილებელი ნაწილია.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

III. დააკავშირეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით; გამოიყენეთ კონსტრუქცია: ...იქ, სადაც...

ნიმუში: ბავშვი უფრო მოტივირებულია **იქ, სადაც** უფრო ეფექტური სასწავლო გარემოა.

ბავშვი უფრო მოტივირებულია	30-ზე მეტი ბავშვია კლასში.
მასწავლებლისთვის უფრო საინტერესოა მუშაობა	მის აზრს პატივს სცემენ.
ემოციურად უსაფრთხო გარემოა	გასაუბრებას ატარებს ქალბატონი თამარი.
სასწავლო პროცესი არ იქნება ეფექტური	უკვე დასრულდა აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.
ბავშვისთვის მნიშვნელოვანია ისწავლოს	უფრო ეფექტური სასწავლო გარემოა.
ფიზიკურად კომფორტულია გარემო	მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი აქვთ.
სასწავლო გარემო ორგანიზებულია	კოლეგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან.
ხვალ ღიბა თეას მაგივრად უნდა მივიდეს	ყველას შეუძლია თავისუფლად გამოხატოს აზრი.
მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ	ხშირად იმეორებენ ძველ მასალას.
მოსწავლეების დამოკიდებულება სწავლის მიმართ დადებითია	ოთახი არის ნათელი და თბილი.
ცოდნის განმტკიცებასთან დაკავშირებით პრობლემა არ არის	გაკვეთილი თავის დროზე იწყება და სრულდება.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

IV. წაიკითხეთ წინადადებები. გამოტოვებული ადგილების შევსებისთვის გამოიყენეთ კონსტრუქცია: ...ნათ. ბრ. + ის მაგივრად მინდა ...

ნიმუში: დღეს ნიკას მაგივრად მინდა გავაკეთო პრეზენტაცია, რადგან მისი დაბადების დღეა და დრო არ აქვს.

1. (კომენტარი) ----- დღეს დავალების შესრულების პრინციპებზე ვისაუბროთ.
2. ექსკუსიასთან დაკავშირებული ემოციები (დაფა)----- რვეულებში ჩავწერთ.
3. კათედრის გამგესთან შეხვედრაზე (ლიზა) ----- მივიდე, რადგან ის ძალიან დაკავებულია.
4. პირველ რიგში, მინდა (გამოცდილება) ----- ცოდნა შევიძინო, რომ ეფექტურად დავგეგმო გაკვეთილი.
5. მომავალი კვირიდან მინდა (თეორია) ----- უკვე პრაქტიკული მეცადინეობები დავიწყოთ.
6. კვირას ცუდი ამინდია და (ექსკუსია) ----- ახალგაზრდა მხატვრების საშემოდგომო გამოფენაზე წავიდე.
7. ზედმეტი (სიტყვები)----- მინდა საქმით გამოვხატო ბავშვების მიმართ მზრუნველობა.
8. ტრადიციულად, (კრიტიკა)----- მინდა კარგი რჩევა მოგცეთ.
9. ნაცნობი (სქემა)----- შემოქმედებითად გავიაზროთ ეს საკითხი.
10. არსებული (პირობები)----- კლასში ფიზიკურად კომფორტული და სასიამოვნო გარემო შევქმნათ.



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- მოგესალმებით, მე ვარ გიორგი ბოკუჩავა, „მასწავლებლის სახლის“ კონსულტანტი. ტრადიციულად, ვაგრძელებთ საუბარს სკოლის ----- . რა არის თქვენთვის ცნობილი რობერტ ბალფანცის შესახებ?
- მგონი, ეს მეცნიერი მოსწავლისა და სკოლის ურთიერთობის ----- .
- მართალია. კიდევ რა იცით მის შესახებ?
- ბალფანცის აზრით, თუ მოსწავლე სკოლაში ----- არ არის, ხშირად ის ----- -- სწავლას.
- თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?
- ეს პრობლემა ----- არის. მაგალითად, წელს ჩვენი სკოლიდან რამდენიმე ბავშვი წავიდა. მათ --- ----- და ქცევის პრობლემები ჰქონდათ.

ბ)

- თქვენი აზრით, რა იყო ამის -----?
- -----, მათთვის რთული იყო მასალა.
- სკოლაში შექმნილი სასწავლო გარემო რამდენად იყო ამ ბავშვებისთვის ----- და ემოციურად -----?
- ჩვენს სკოლაში ნამდვილად ----- გარემოა. რემონტის შემდეგ ახალი ავეჯი შევიძინეთ; განახლებულია ბიბლიოთეკის დარბაზი. საკლასო ოთახები ----- და ----- . დიდ ყურადღებას ვაქცევთ მოსწავლეების ----- და ძირითადი მოთხოვნების ----- . სკოლა ბევრ ----- ხშირად ვაწყობთ კონკურსებსა და გამოფენებს. ყველა ბავშვს აქვს ამ აქტივობებში მონაწილეობის ----- .
- ეს ძალიან კარგია, მაგრამ ----- გაკვეთილზე ან გაკვეთილის -----? მასწავლებლებსა და ბავშვებს შორის -----? სკოლაში არასასიამოვნო ფაქტები ხომ არ ყოფილა?
- გაკვეთილზე ნამდვილად ყველა ბავშვი ----- . ყველას შეუძლია თავისუფლად გამოხატოს აზრი, ჩაერთოს დისკუსიაში. არასასიამოვნო ფაქტების შესახებ კი ----- , მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ----- .
- ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კეთილგანწყობილი და დაცული გარემოთი. უნდა ----- , რომ უსაფრთხო სკოლის შექმნის პროცესი ----- .

VI. ა) შეავსეთ ცხრილი:

გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
იმეორებდა	გაიმეორა	იმეორებს	გაიმეორებს	გაიმეოროს
			მიაწვდი	
		ვიწყებ		
				დაასრულოს
			იგულისხმებს	
მიმდინარეობდა				
	გავუშვი			
				წარმართო
	აითვისა			
აქებდი				
		ზრუნავს		

ბ) ზმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში: სწავლების პროცესის შედეგი კარგი რომ იყოს, მოსწავლემ ხშირად უნდა ----**გაიმეოროს**----
ძველი მასალა.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

VII. იბოვეთ და მონიშნეთ განსხვავებული სიტყვა:

1. შექება, წახალისება, ყურადღება, ცოდნა.
2. საკითხი, შემეცნება, მაგალითი, ამოცანა.
3. შეცდომა, კომუნიკაცია, ჟესტი, სიტყვა.
4. დაფა, მაგიდა, კიბე, სკამი.
5. ატარებს, მართავს, გადამუშავება, აწყობს.
6. პირობები, ფაქტორები, მოთხოვნები, შედეგი.
7. უკუკავშირი, მოთხოვნა, შეფასება, კომენტარი.
8. შენიშვნა, კრიტიკა, პრაქტიკა, ანალიზი.
9. პრინციპი, აქტივობა, მეთოდი, გადაჭრა.
10. დისკუსია, საუბარი, შენარჩუნება, გადმოცემა.

VIII. წაიკითხეთ წინადადებები. იბოვეთ შეცდომა და გაასწორეთ:

1. მოსწავლის შეფასებისთვის მასწავლებელმა კომენტარები უნდა გამოვიყენო.
2. დისკუსიის დროს მოსწავლე თავისუფლად უნდა გამოხატოს აზრი.
3. მგონი, გუშინ რომ გავაკეთე, ის დავალება უფრო მარტივი იყო, სადაც ეს.
4. ნიკას მიერ მე უნდა დავწერო დღეს დაფაზე დისკუსიის საკითხები.
5. მასწავლებელმა ყურადღება თითქმის უნდა მიაქციოს იმას, თუ როგორ იღებს მოსწავლე ინფორმაციას.
6. როცა სწავლა-სწავლების პროცესი ეფექტურად მიმდინარეობს, ბავშვები კარგად ითვისებს მასალას.

7. შემოქმედებითი აზროვნებისთვის აუცილებელია, რომ სასწავლო გარემომ იყოს კომფორტული და ემოციურად უსაფრთხო.
8. პირველ გაკვეთილზე ახალმა მასწავლებელმა რამდენიმე წუთი ისაუბრა საკუთარმა თავის შესახებ.
9. კლასში, რომელიც სასიამოვნო გარემოა, მოსწავლე ხალისით მუშაობს.
10. წელს მეოცადამეორე საშემოდგომო ფესტივალი ტარდება ჩვენს ქალაქში.

**IX. მოცემული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით დაწერეთ მოკლე ტექსტი (50 სიტყვა) თემაზე:
როგორ შევქმნათ ემოციურად უსაფრთხო გარემო.**

კეთილგანწყობილი, პირობები, მართლაც, თანაბარი, კომუნიკაცია, შეფასების ფორმა, ყურადღება, უკუკავშირი, კომენტარი, მნიშვნელოვანი ფაქტორი, სურვილი, ჩართული, კომფორტული, უსაფრთხო, უნდა გავითვალისწინოთ, ორგანიზებული, პირველ რიგში, ეფექტური, დადებითი, უარყოფითი, კონკრეტული, ორიენტირებული, შედეგი, მოტივაცია, შესაძლებლობა.

X. ა) წაიკითხეთ ტექსტი და გახაზეთ უცნობი სიტყვები:

რას ამბობს სტატისტიკა?

ერთხელ მარკ ტვენს უთქვამს: „ტყუილი სამი სახისაა: ტყუილი, უსირცხვილო ტყუილი და სტატისტიკა“. მართლაც, რამდენად შეიძლება რიცხვებით პრობლემის მასშტაბის შეფასება?

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, სასწავლო წლის დასაწყისისთვის თითქმის 14 000 ბავშვი წავიდა სკოლიდან, ანუ თითქმის 14 000 ადამიანის ცხოვრებაში მოხდა რაღაც ისეთი, რამაც ისინი სკოლის გარეთ დატოვა. ფაქტია, ეს ბავშვები უსაფრთხო გარემოში არ ცხოვრობდნენ და არც სკოლა იყო მათთვის უსაფრთხო. სკოლის მიტოვების მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასებშია – დაახლოებით, 80.74%.

ბ) მოიფიქრეთ და დაწერეთ, თქვენი აზრით, რა პრობლემის გამო შეიძლება წავიდეს ბავშვი სკოლიდან? იმსჯელეთ ამ პრობლემების მიზეზების შესახებ.

- 1.-----
- 2.-----
- 3.-----
- 4.-----
- 5.-----

სწავლების ფორმები და კლასის მართვა

5.1. სწავლების ფორმები

I. ა) შეუცვალეთ გზას ფორმა ნიმუშის მიხედვით:

აქებს	უნდა შეაქოს
ათვალიერებს	
იმსახურებს	
უსმენს	
აღწევს	
ზრუნავს	
გრძნობს	
განსაზღვრავს	
ახალისებს	
ითვისებს	
აგრძელებს	

ბ) ჩასვით გზები შესაბამის წინადადებაში საჭირო ფორმით:

ნიმუში: სკოლა „იმედი“ აუცილებლად უნდა-----შეაქოს-----მინისტრმა „შემოდგომის ფესტივალის“ ასე კარგად მომზადებისთვის.

- თანამშრომლობითი სწავლების შესახებ საინტერესო საუბარს უნდა -----
----- „მასწავლებლის სახლში“.
- მასწავლებლებმა მოსწავლეებზე უნდა -----, ყურადღებით მოუსმინონ მათ და მაშინ კარგ შეფასებასაც მიიღებენ სამინისტროსგან.
- მათეს და ანას დედამ სკოლა „იმედის“ შენობა ხვალ უნდა -----.
იმედია, ძალიან მოეწონება.
- ბავშვებმა უნდა ----- ეს დიდი წარმატება.
- სასკოლო აქტივობებში მონაწილეობის დროს მოსწავლეებმა უნდა -----
-- მასწავლებლის შექება.
- ელენემ მოკლე ხანში უნდა ----- თავის მთავარ მიზანს - ისწავლოს მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვა.
- დღეს მასწავლებელმა უნდა -----, თუ რომელ სავარჯიშოებს შევასრულებთ ხვალ.

8. კოტემ გაკვეთილი სწრაფად ისწავლა და დედამ უნდა -----!
9. თანამშრომლობითი სწავლების პროცესში გავიგებთ, ბავშვებმა კარგად -----
----- თუ არა ახალი მასალა.
10. ბავშვებო, კარგი იქნება, კონკურსის პირობების შესახებ საუბარი გაკვეთილის შემდეგ -----
-----.

II. ა) წაიკითხეთ ტექსტი და შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული სიტყვები და ფრაზები:

გამოყოფენ თანამედროვე ჯგუფური აქტიურად სწორედ ერთობლიობაა
თითოეული პასუხისმგებლობა დამოუკიდებელი ვითარდება

თანამშრომლობითი სწავლება სწავლების ერთ-ერთი ყველაზე -----
--- ფორმაა, რომელსაც მასწავლებლები სულ უფრო ----- იყენებენ
სასწავლო პროცესში. თანამშრომლობითი სწავლების დროს, -----
-- და კონკურენტული სწავლებისგან განსხვავებით, ----- როგორც
ინდივიდუალური, ისე — ჯგუფური ----- მოსწავლეები უნდა
გრძნობდნენ პასუხისმგებლობას. ამ დროს თითოეული მოსწავლე ბრუნავს არა მარტო საკუთარ
წარმატებაზე, არამედ ჯგუფსა და მის წარმატებაზეც.

თანამშრომლობითი სწავლებისას ----- პასუხისმგებლობის ორ დონეს.
პირველია ----- პასუხისმგებლობა, რათა ჯგუფმა მიაღწიოს მიზანს,
ხოლო მეორე — ჯგუფის ----- წევრის პასუხისმგებლობა, დაეხმაროს
ჯგუფს მუშაობასა და წარმატებაში. ----- პასუხისმგებლობის ამ ორი
დონის ----- თანამშრომლობითი გაკვეთილი. თითოეული მოსწავლე
უნდა ითვალისწინებდეს, რომ მისი წარმატება ჯგუფის წარმატებას ნიშნავს.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მისი შინაარსის მიხედვით დასვით კითხვები:

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

III. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 8 კ – ვერბალური კომუნიკაცია

- | | |
|--------------------|----------------|
| 1. სასურველი | ა. კონკურენცია |
| 2. ადვილი | ბ. მასალა |
| 3. გასაგები | გ. სწავლება |
| 4. აქტიური | დ. დავალება |
| 5. თანამშრომლობითი | ე. გარემო |
| 6. თანაბარი | ვ. მონაწილეობა |
| 7. ჯანსაღი | ზ. პირობები |
| 8. ვერბალური | თ. მუშაობა |
| 9. ჯგუფური | ი. შედეგი |
| 10. უსაფრთხო | კ. კომუნიკაცია |

ბ) შესიტყვებები ჩასვით შესაბამის წინადადებებში. გაითვალისწინეთ: ზოგჯერ საჭიროა სიტყვის ფორმის შეცვლა:

1. კონკურენტული სწავლებისას მოსწავლე არ იყენებს **ვერბალურ კომუნიკაციას** კლასელებთან და მხოლოდ თავის მიზანზე ფიქრობს.
2. თანამშრომლობითი სწავლებისას ბავშვები ----- ყველა აქტივობაში და პასუხობენ მასწავლებლის კითხვებს.
3. თუ შეიძლება, ცოტა ----- მომეცით, ეს ტექსტი ჩემთვის ძალიან რთულია.
4. ჩვენს სკოლაში ხშირად იყენებენ -----, რადგან ბავშვები ასე უფრო კარგად სწავლობენ გუნდურ მუშაობას.
5. სოციალური უნარების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ----- და ეფექტური კომუნიკაცია.
6. მასწავლებელი აუცილებლად მიაღწევს მიზანს, თუ ბავშვებს ცოდნის მიღებისა და განვითარებისათვის ----- ექნებათ.
7. როცა მოსწავლეს აქვს მოტივაცია და ბეჯითად სწავლობს, ის ----- ყოველთვის აღწევს.
8. სასურველია, მასწავლებელმა გაკვეთილი ისე დაგეგმოს, რომ ----- დროს ზოგი მოსწავლე პასიურ პოზიციაში არ დარჩეს.
9. ასხნის დროს მასწავლებელი ჯერ ----- ხსნის და შემდეგ გადადის რთულზე.
10. როცა კლასში არის -----, მოსწავლეებს უვითარდებათ ეფექტური კომუნიკაციისა და მსჯელობის უნარი.

IV. წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ბრუნვაში:

პასუხისმგებლობა დათვალიერება დაკვირვება ახსნა ტესტი კონკურენცია მოსმენა
ჯილდო დამსახურება მიღწევა ლექცია

ნიმუში: ჯგუფური მუშაობის დროს (პასუხისმგებლობა) **პასუხისმგებლობას** ყველა მოსწავლე თანაბრად გრძნობს.

1. მე და ჩემი კლასელები დიდი ხანია ვგეგმავთ საშემოდგომო გამოფენის (დათვალიერება) -----
-----.
2. (დაკვირვება) ----- და მოსმენით შეიძლება ბევრი რამე ისწავლოს
ბავშვმა.
3. ახალი მასალის (ახსნა) ----- შემდეგ აუცილებელია იმის შემოწმება,
ყველაფერი კარგად გაიგეს თუ არა ბავშვებმა.
4. ბავშვებმა ბევრი იმუშავეს (ტესტები) ----- და კარგი შედეგებისთვის
მასწავლებელმა ისინი შეაქო.
5. ჯანსაღ (კონკურენცია) ----- დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ
ბავშვებმა პრობლემების გადაჭრა ისწავლონ.
6. მხოლოდ ლექციის (მოსმენა) ----- საჭირო ცოდნას მოსწავლე ვერ
დააგროვებს.
7. კარგი სწავლისთვის მიღებულმა (ჯილდო) ----- ახალგაზრდას
მოტივაცია უნდა განუვითაროს.
8. ჯგუფური მუშაობის დროს სასურველია თითოეული მოსწავლის (დამსახურება) -----
----- გაანალიზება და შეფასება.
9. სკოლა „იმედის“ დიდი (მიღწევა) ----- სწავლების თანამედროვე
მეთოდების გამოყენებაა.
10. (ლექცია) ----- ქართული ენის განვითარების პროცესის შესახებ
დიდი ინტერესი გამოიწვია.



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- გამარჯობა, თეა, როგორ ხარ? რამდენი ხანია, ----- არ გვინახავს. სად იყავი?

- დედაქალაქში ვიყავი -----. „მასწავლებლის სახლში“ ----- რამდენიმე ლექცია სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ.
- მართლა? რა კარგია! როგორ მიწადა, ----- ასეთი ლექციები.
- ჯერ -----, მაგრამ შეიძლება ----- წელს შენ წახვიდე. კათედრის გამგემ თქვა, ახალგაზრდა მასწავლებლებს გამოცდილების დაგროვებაში უნდა დავეხმაროთ.
- ვნახოთ. -----! ლექციები საინტერესო იყო?
- კი, ძალიან. ----- საუბარი თანამშრომლობითი სწავლების შესახებ. -----, სწავლების ეს ფორმა ძალიან -----: ბავშვი ----- მასალას, აკვირდება კლასელებს, ანალიზებს მათს მოსაზრებებს, მაგრამ, -----, შეიძლება ბავშვი პასიური იყოს, ჯგუფის მუშაობაში არ ჩაერთოს, მაგრამ ჯილდო მაინც მიიღოს. ეს უსამართლობაა!

ბ)

- მართალი ხარ! მაგაზე მეც ვიფიქრე. როცა ჯგუფში -----, ყველა მოსწავლე -----.
- ჰო, -----, ყველა ბავშვს არ აქვს ----- უნარი. თანამშრომლობითი ----- კი რა არის? ჯგუფის თითოეულმა წევრმა უნდა გაიაზროს, რომ მისი წარმატება ჯგუფის წარმატებაა.
- ეს ადვილი არ არის, მაგრამ ჩემთვის ----- სხვა რამეა.
- რა არის შენთვის უფრო ძნელი, ლიზა?
- იცი, თეა, ჩემთვის ძნელია ----- ჯგუფური მუშაობის დროს, ----- ყველა ერთნაირად ----- მაღალ ნიშანს.
- მართალია, მაგრამ ჩვენ ----- გვაქვს და თუ -----, პრობლემას ადვილად გადავჭრით.

VI. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

ნიმუში: მოსწავლე დავალებას ჯერ კარგად იაზრებს/იზიარებს და შემდეგ ასრულებს.

1. თანამშრომლობითი სწავლების დროს ყველა მოსწავლე **ათვალისწინებს/გამოხატავს** თავის აზრს – ეს მიზნის მიღწევის საუკეთესო გზაა.
2. ფესტივალი სამი დღე **მიმდინარეობდა/აგრძელდებოდა** და ახლა ერთმანეთს ჩვენს მოსაზრებებს გავუზიარებთ.
3. მასწავლებელმა ყურადღება უნდა **ითვისებს/მიაქციოს**, რომ მოსწავლეებმა კლასში ითანამშრომლონ.
4. დღეს კოტეს დაბადების დღეა, მაგრამ სტუმრების წასვლის შემდეგ იგი აუცილებლად **შეასრულებს/მართავს** საშინაო დავალებას.

5. სასკოლო აქტივობების დახმარებით ნელ-ნელა **გულისხმობდა/ვითარდებოდა** ბავშვების კოგნიტური უნარები.
6. ნიკა უფრო სწრაფად **აანალიზებს/ხვდება** თავის შეცდომებს, ვიდრე კოტე.
7. ნინი და ნიკუშა ყურადღებით **აგრძელებენ/აკვირდებიან** დაფაზე დაწერილ ამოცანას და ფიქრობენ, როგორ ამოხსნან ყველაზე სწრაფად.
8. ნინო ნამდვილად **იმსახურებს/აღწევს** შექებას - მან წელს პირველად მიიღო მონაწილეობა სასკოლო კონკურსში და ძალიან წარმატებულად.
9. კოტე გაკვეთილზე არა მხოლოდ **უსმენს/ხსნის** მასწავლებელს, არამედ რვეულშიც წერს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

VII. ა) შეავსეთ ცხრილი:

გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
იმეორებდა	გაიმეორა	იმეორებს	გაიმეორებს	გაიმეოროს
ხსნიდა				
	დაათვალიერა			
			დაიმსახურებს	
		უსმენს		
				მიადწიოს
აკვირდებოდა				
		ხდება		
	დასრულდა			
			დაიწყება	
				შეითვისოს

ბ) გამოიყენეთ მოცემული ზმნები და შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ნინომ დილით გაკვეთილები აუცილებლად უნდა **გაიმეოროს** და ისე წავიდეს სკოლაში.

1. -----
2. -----
3. -----

4. -----
5. -----
6. -----
7. -----
8. -----
9. -----
10. -----

VIII. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1	გაკვეთილის პროცესში ჩართვა ყველა მოსწავლისთვის რთულია.		-
2	დამოუკიდებელი სწავლება მოსწავლეებს ეხმარება სოციალური აზროვნების განვითარებაში.		
3	კონკურენტული სწავლებისას მოსწავლე მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს.		
4	სასურველია, მოსწავლემ ცოდნა მხოლოდ მასწავლებლისგან მიიღოს.		
5	თანამშრომლობითი სწავლებისას გამოყოფენ პასუხისმგებლობის ორ დონეს: ინდივიდუალურსა და ჯგუფურს.		
6	ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელმა მხოლოდ თვითონ არ უნდა ისაუბროს.		
7	მოსწავლისთვის ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია ჯგუფის წარმატება, ვიდრე საკუთარი.		
8	სწავლების პროცესში მოსწავლეს ხვდება სირთულეები, აქედან გამომდინარე, მან უნდა იფიქროს პრობლემების გადაჭრაზე.		
9	მოსწავლე პასუხურია მაშინ, როცა მასალა რთულია.		
10	სახალისო აქტივობებით ხდება სასწავლო პროცესის ორგანიზება.		

IX. სიტყვები შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით და ჩასვით შესაბამის წინადადებებში:

ნიმუში: ლიბას უმცროსმა დამ, ნინომ, (ყველაზე კარგი) **საუკეთესო** პრეზენტაცია გააკეთა.

1. მე ახალი მეგობარი მყავს, რომელიც (ყველაზე ბეჯითი) ----- მოსწავლეა ჩვენს კლასში.
2. ეს დავალება (ყველაზე მარტივი) ----- , ამიტომ ბევრი დრო არ იქნება საჭირო მისი შესრულებისთვის.
3. მასწავლებლის სახლში მოვისმინეთ ლექცია სწავლების (ყველაზე ახალი) ----- მეთოდების შესახებ.
4. სკოლა „იმედში“ ნამდვილად შესანიშნავი, (ყველაზე ჯანსაღი) ----- გარემოა მოსწავლეებისთვის, რაც მშობლებს ძალიან მოსწონთ.
5. ალბათ, ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი (ყველაზე ძლიერი) ----- სპეციალისტია, რადგან „საუკეთესო მასწავლებლის“ ჯილდო დაიმსახურა.
6. შეიძლება სასწავლო მოტივაციისათვის (ყველაზე ცუდი) ----- იყოს, თუ ხშირად გამოვიყენებთ კონკურენტული სწავლების ფორმას.
7. ჩვენი სკოლის შენობა ყოველთვის მომწონდა, მაგრამ რემონტის შემდეგ ის არა მარტო (ყველაზე ლამაზი) -----, არამედ უფრო კომფორტული და უსაფრთხოც არის.
8. ინტერნეტის (ყველაზე მდიდარი) ----- რესურსების გამოყენება ყველას შეუძლია.
9. მასწავლებლისთვის (ყველაზე რთული) ----- ამოცანა ჯგუფური მუშაობის დროს ყველა მოსწავლის ობიექტურად შეფასებაა.
10. ეს (ყველაზე იშვიათი) ----- წიგნი ქალბატონმა ნელიმ აჩუქა სკოლა „იმედის“ ბიბლიოთეკას.

X. ა) წაიკითხეთ ტექსტი და გახაზეთ უცნობი სიტყვები:

ბ) შეეცადეთ, თქვენი სიტყვებით ისაუბროთ კონკურენტული სწავლებისა და ბავშვის ინტერესების შესაბამისობის შესახებ:

სასწავლო პროცესში სწავლების ნებისმიერი ფორმის გამოყენება შეიძლება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ჯერ კარგად გავიაზრებთ ამა თუ იმ ფორმის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებსაც.

ზოგი ბავშვი სწრაფად აზროვნებს, ფიქრობს, ლაპარაკობს და წერს, ზოგი — ძალიან ნელა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინც სწრაფად აზროვნებს და წერს, ის უფრო ჭკვიანია. არსებობს იმის სერიოზული საფრთხე, რომ კონკურენტული სწავლების ფორმის სისტემატური გამოყენების დროს ბავშვმა, რომელიც ნელა აზროვნებს, ერთხელაც ვერ მიიღოს მაღალი შეფასება. ეს უარყოფით გავლენას მოახდენს მის სასწავლო მოტივაციაზე. ასევე, მოსწავლეს, რომელიც არ არის წარმატებული, შეიძლება უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდეს იმ თანაკლასელების მიმართ, რომლებიც ხშირად იმსახურებენ მასწავლებლის ქებას; რაც ასევე უარყოფითად იმოქმედებს სასწავლო მოტივაციასა და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობაზე.

აქედან გამომდინარე, სასურველია, სწავლების კონკურენტული ფორმა შედარებით იშვიათად გამოიყენოს მასწავლებელმა; განსაკუთრებით - დაბალ კლასებში.

5.2. კლასის მართვის სტილი

I. წაიკითხეთ წინადადებები. ჩასვით ზმნები საჭირო ფორმით:

ნიმუში: დავითი და ანა ყურადღებით (ათვალიერებს) ----- ათვალიერებდნენ ----- სურათებიან წიგნს.

1. ჩვენი მასწავლებელი ყოველთვის ეფექტურად (მართავს) ----- კლასს და იცავდა დისციპლინას.
2. ვფიქრობთ, როცა მათე გაიზრდება, ჩვენ მისთვის აუცილებლად (ირჩევს) ----- სკოლა „იმედს“.
3. მასწავლებელი აუცილებლად უნდა (აკონტროლებს) ----- მოსწავლის განვითარების პროცესს.
4. ქიმიის ძველი მასწავლებელი (პატივს სცემს) ----- მოსწავლეების აზრებსა და სურვილებს, ახალი კი მხოლოდ თვითონ საუბრობს.
5. როცა ბავშვი ხვდება, რომ მასწავლებელი პატივს არ სცემს, აუცილებლად (ეწინააღმდეგება) ----- მას.
6. ყველა ბავშვს აქვს შესაძლებლობა (იმსახურებს) ----- ჯილდო და მასწავლებლის შექება.
7. თუ მოსწავლე მასწავლებელს ყურადღებით (უსმენს) ----- გაკვეთილზე, ის ახალ მასალას კარგად გაიგებს.
8. გურამმა უკვე (აღწევს) ----- იმას, რომ მისი ყველა მოსწავლე დამოუკიდებლად ასრულებს საშინაო დავალებას.
9. ანა და ლალი ერთად (აკვირდება) -----, როგორ ნელ-ნელა და თანმიმდევრულად ვითარდებოდნენ მათი პირველკლასელები.
10. კათედრის წევრებთან შეხვედრის დროს ბატონმა თემურმა კიდევ ერთხელ (ხსნის) -----, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეებთან თანამშრომლობითი ურთიერთობა.

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან და შეადგინეთ შესიტყვება:

ნიმუში: აქტიურად თანამშრომლობენ.

1	კონკურენტული	ემოციას	კონკურენტული სწავლება
2	დემოკრატიული	დათვალიერება	
3	შედეგს	ფორმა	

4	ჯილდოს	კლასს	
5	ჯანსაღი	სწავლება	
6	ეფექტური	უშვებს	
7	შეცდომას	სტილი	
8	მართავს	იმსახურებს	
9	მოსწონს	იღებს	
10	გამოხატავს	კონკურენცია	
11	სწავლების	კომუნიკაცია	

ბ) შესიტყვებები საჭირო ფორმით ჩასვით წინადადებებში:

ნიმუში: მშობლები ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობენ მასწავლებლებთან.

1. სკოლაში მასწავლებლები ყველგან ხშირად კლასის მართვის ----- იყენებენ, რადგან სხვებთან შედარებით ის უფრო ეფექტურია.
2. მასწავლებელი ისე უნდა -----, რომ ყველა მოსწავლე იყოს ჩართული მუშაობაში.
3. ----- ბავშვს უნდა ასწავლოს არა მხოლოდ საკუთარი აზრის გამოხატვა, არამედ მისი დაცვა.
4. მასწავლებელი ყოველთვის ერთნაირ ----- არ იყენებს, რადგან ყველა კლასი განსხვავებულია.
5. ქართულის მასწავლებელი ყოველთვის სასურველ -----, რადგან კლასის მართვისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა.
6. ფსიქოლოგების აზრით, ----- არა მხოლოდ სუსტი, არამედ ძლიერი მოსწავლეც, ამიტომ ასეთ დროს არ არის სასურველი უარყოფითი უკუკავშირის მიცემა.
7. თუ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას, მათე აუცილებლად -----, რადგან ის საუკეთესოა მეხუთეკლასელთა შორის.
8. მასწავლებელს არა მხოლოდ ვერბალური, არამედ არავერბალური კომუნიკაციის საშუალებითაც კარგად შეუძლია ----- ბავშვის ქცევასთან დაკავშირებით.
9. როდესაც მასწავლებელს კლასთან არ აქვს -----, ის შედეგზე ვერ გადის.
10. პირველკლასელ მოსწავლეებს არა მხოლოდ ----- ლამაზი წიგნების, არამედ მეტი ხალისით სწავლობენ, როცა სახელმძღვანელო ეფექტურია.

III. დააკავშირეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით; გამოიყენეთ კონსტრუქცია:

...შეიძლება ..., რადგან

ნიმუში: შეიძლება მათემ და ანამ „იმედში“ ისწავლონ, რადგან ეს სკოლა ძალიან მოსწონთ.

მათემ და ანამ „იმედში“ ისწავლონ	მასწავლებელი არ აკონტროლებს მათს ქცევას.
ჯგუფური მუშაობისას ბავშვი ყოველთვის აქტიურად არ იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში	ამ დროს ყველა კომფორტულად იგრძნობს თავს – მოსწავლეს და მასწავლებელს.
მასწავლებელმა მხოლოდ სალექციო მეთოდი გამოიყენოს და ისე ახსნას მასალა	მხოლოდ სხვისი დახმარებით შეუძლია მუშაობა.
დამოუკიდებელი სწავლების დროს ბავშვებმა არ ითანამშრომლონ ერთმანეთთან	ვერ იაზრებს, რომ ერთის წარმატება ნიშნავს ყველას წარმატებას.
კონკურენტული სწავლებისას ზოგმა ბავშვმა ვერ შეასრულოს დავალება	ეს სკოლა ძალიან მოსწონთ.
ახალგაზრდა მასწავლებლისთვის კლასის მართვა რთული იყოს	მასლოუს აზრით, ადამიანის ქცევას მისი მოთხოვნილებები განსაზღვრავს.
კლასის მართვის დემოკრატიული სტილი ყველას მოეწონოს	მოსმენა ზოგჯერ ძალიან ეფექტურია.
კლასის მართვის ქაოსური სტილის დროს მოსწავლეებმა ვერაფერი ისწავლონ	მოტივაცია მაინც შინაგანი მდგომარეობაა და ნაკლებად დამოკიდებული წახალისებაზე.
მოსწავლის მოტივაცია დამოკიდებული იყოს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე	ასეთი გაკვეთილის მიზანი დამოუკიდებელი მუშაობის უნარის ჩამოყალიბებაა.
მასწავლებელმა ყოველთვის არ წახალისოს მოსწავლე	მას ბევრი მოსწავლის შესაძლებლობებისა და სურვილების გათვალისწინება დასჭირდება.
მოსწავლემ დამოუკიდებლად ვერ შეასრულოს დავალება	არ შეუძლია სწრაფად აზროვნება და ფიქრი.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

IV. წაიკითხეთ წინადადებები; ჩასვით საჭირო ფორმით სიტყვები: არაფერი, ნურაფერი, ვერაფერი.

ნიმუში: როცა კლასში მართვის ქაოსური სტილია, იქ ბავშვი ბევრს ---- **ვერაფერს** ---- ისწავლის.

1. ----- დისციპლინაზე მნიშვნელოვანი საგაკვეთილო პროცესის დროს.
2. სანამ მოსწავლე მასალას კარგად არ გაიაზრებს, ----- ვკითხავთ.
3. თამაზს პრეზენტაციისათვის ჯერ ----- გაუკეთებია, რადგან ინტერნეტი არ ჰქონდა.
4. მხოლოდ ფიზიკურად კომფორტული გარემო -----, თუ სკოლაში ემოციურად უსაფრთხო გარემოც არ იქნება.
5. ახალმა მასწავლებელმა ----- გვითხრა სასკოლო კონკურსის შესახებ.
6. დღეს უკვე გვიანია, ----- გააკეთებ, უკეთესია, დილით ადრე გაიღვიძო და სწრაფად დაწერო დავალება.
7. ყურადღებას ----- მიაქცევ; ყოველთვის შეიძლება პრობლემის გადაჭრა.
8. ეკას და მაკას ჯერ ----- დაუგეგმავთ; შეიძლება კვირას ერთად წავიდნენ ახალგაზრდა მხატვრების გამოფენაზე.
9. სამწუხაროდ, ისეთი ნისლიანი და ქარიანი დღე იყო, რომ ექსკურსიაზე ბავშვებმა ბევრი ----- დაათვალიერეს.
10. ახალი მოსწავლე ----- ითვისებს, რადგან საკმარისი წინარე ცოდნა არ აქვს.



V მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ეკა, გამარჯობა. როგორ ხარ?
- გმადლობ, თათია, კარგად. შენკენ რა არის ახალი?
- მე და ჩემმა მოსწავლეებმა დღეს კონსტიტუცია დავწერეთ!
- კონსტიტუცია თქვენ როგორ დაწერეთ?
- ქვეყნის კი არა, ჩვენი ----- დავწერეთ.
- ასეთი რამ პირველად მესმის! -----, ეს რას ნიშნავს?
- რა თქმა უნდა. „კონსტიტუციის“ დაწერა კლასის მართვის ერთ-ერთი საშუალებაა. -----
- ეფექტურად რომ -----, საჭიროა ბავშვებმა თვითონვე ჩამოაყალიბონ -----
- რისი გაკეთება შეიძლება გაკვეთილზე და რისი - არა; ეს წესები ----- სასწავლო წლის
- უნდა იყოს მიღებული. -----, რომ „კონსტიტუციის“ დაწერაში ყველა ბავშვი
- და თავისუფლად გამოთქვამდეს აზრს.

ბ)

- ალბათ, -----.
- აბა რა! უნდა მოუსმინო, როგორ მსჯელობენ!
- მერე რა ხდება?
- მერე ეს „კონსტიტუცია“ ----- საკლასო ოთახის კედელზე კიდია, რომ ყველა ხედავდეს და ----- საკუთარ გადაწყვეტილებას.
- რამდენად ----- ეს საშუალება? შედეგს იღებ?
- ჩემი აზრით, ნამდვილად მუშაობს. მოსწავლეების დამოკიდებულება დისციპლინისადმი ამ შემთხვევაში ----- სერიოზულია.
- თუ რომელიმე მოსწავლე არ შეასრულებს „კონსტიტუციის“ მოთხოვნას, მაშინ რა ხდება?
- აუცილებლად ვისაუბრებთ ამის შესახებ და კლასი -----, დარღვევისთვის -----
- ასეთ მოსწავლეს. ვფიქრობ, ეს აუცილებელია.
- იცი, თათია, ძალიან მომწონს „კონსტიტუციის“ ----- . ძალიან გვიანნი ხომ არ არის, რომ მეც გავაკეთო?
- არა, რატომ? ----- იმუშავო „კონსტიტუციაზე“ შენს ბავშვებთან ერთად.
- აუცილებლად დაწერეთ ხვალვე. დიდი მადლობა საინტერესო -----.
- არაფრის. წარმატებები, ეკა!

VI. შეავსეთ ცხრილი. ზმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: კეთილგანწყობილ გარემოში ბავშვი --- გააანალიზებს ---- ახალ მასალას და ეფექტურად დაუკავშირებს წინარე ცოდნას.

გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
აანალიზებდა	გააანალიზა	აანალიზებს	გააანალიზებს	გააანალიზოს
	იგულისხმა			
მართავდა				
		ირჩევს		
				აკონტროლოს
	პატივი სცა			
			შეეწინააღმდეგება	
აკვირდებოდა				
		აღწევს		
				ახსნას
			დაიმსახურებს	

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

VII. იპოვეთ და მონიშნეთ განსხვავებული სიტყვა:

1. არაფერი, ნურაფერი, ყველაფერი, ვერაფერი.
2. კოგნიცია, სკოლა, კლასი, ჯგუფი.
3. მოტივაცია, ხალისი, სურვილი, შედეგი.
4. სხვადასხვა, ბევრი, რამდენიმე, ცოტა.
5. თავისუფლად, თანმიმდევრულად, ეფექტურად, შემოქმედებითად.
6. სწავლობს, უკრავს, იძენს, იგებს.
7. თემა, მეთოდი, სტილი, ფორმა.
8. სტადია, ელემენტი, დონე, გავლენა.
9. აღწერა, გავლენა, გადმოცემა, მოყოლა.
10. ვერბალური, სამეტყველო, საუბარი, წერილობითი.

VIII. წაიკითხეთ წინადადებები. იპოვეთ შეცდომა და გაასწორეთ:

1. მასწავლებლის ძირითადმა ფუნქციამოსწავლისათვის საკუთარი ცოდნის გადაცემაა.
2. საგაკვეთილო პროცესზე მოსწავლეების ჩართულობა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია.
3. როცა მასწავლებელი სწორად მართავს კლასს, ნურაფერი ეწინააღმდეგება შედეგის მიღწევას.
4. ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლე იღებენ პასუხისმგებლობას თანაკლასელების მიმართ.

5. კონკურენტული სწავლებისას ბავშვს მინდა დავალების შესრულება უფრო სწრაფად, ვიდრე მისი თანაკლასელები შეასრულებენ.
6. კოტემ და გიორგიმ ეფექტური პრეზენტაცია მოამზადა და ჯილდო დაიმსახურეს.
7. ემოციურად უსაფრთხო გარემო არის იქ, როდესაც ყველა თანაბარ პირობებშია.
8. ფიზიკურად კომფორტული გარემო ვგულისხმობ თანამედროვე სასწავლო რესურსების გამოყენებას.
9. სწავლების ხარისხში გავლენას ახდენს ეფექტური სასწავლო გარემო.
10. დისკუსიის დროს მოსწავლეებს აქვს საშუალება თავისუფლად იმსჯელონ.

IX. მოცემული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით დაწერეთ მოკლე ტექსტი (50 სიტყვა) თემაზე „როგორ ვმართოთ კლასი“:

ფუნქცია, გადაცემა, სტილი, დისციპლინა, ურთიერთობა, პატივისცემა, მართვა, დასწავლა, შესწავლა, სხვადასხვა, კონკურენცია, პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, მართლაც, სასწავლო პროცესი, შედეგი, მოტივაცია, სურვილი, შესაძლებლობა, ტესტი, დავალება, მოსმენა, უნდა გავითვალისწინოთ, დამსახურება, პირობები, სასურველია, აქედან გამომდინარე.

X. ა) წაითხოვეთ ტექსტი და გახაზეთ უცნობი სიტყვები:

განათლების ექსპერტ რეზეკა ალბერის აზრით, კლასის მართვა განსაკუთრებით ძნელია ახალბედა მასწავლებლებისთვის. ამ შემთხვევაში, ის დისციპლინის შენარჩუნებისთვის 5 მნიშვნელოვან რჩევას გვთავაზობს:

№1 ისაუბრეთ ბუნებრივად;

№2 ისაუბრეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსწავლეები წყნარად და ყურადღებით იქნებიან;

№3 გამოიყენეთ ხელები, მინიშნებები და სხვა არავერბალური საურთიერთო საშუალებები (ჟესტები, მიმიკა);

№4 არასწორ ქცევაზე მიუთითეთ სწრაფად და გონივრულად;

№5 ყოველთვის კარგად დაგეგმეთ გაკვეთილი.

ეს რჩევა ყველა რჩევაზე მნიშვნელოვანია. წინასწარ დაგეგმეთ მთელი საგაკვეთილო პროცესი. მაშინ ნაკლები საფრთხე იქნება იმისა, რომ დარჩეს „ცარიელი ადგილები“, თუმცა სწავლების პროცესი სასიამოვნო და საინტერესო მხოლოდ მასწავლებლისა და მოსწავლეების ერთობლივი მონდომებით გახდება.

ბ) მოიფიქრეთ და დაწერეთ, თქვენ რა რჩევებს მისცემდით ახალგაზრდა მასწავლებლებს:

1. -----
2. -----
3. -----
4. -----
5. -----

5.3. სწავლების მოდელები

1. ა) ზმნებს შეუცვალეთ ფორმა ნიმუშის მიხედვით:

ხდება	ჯერ არ მომხდარა
ასრულებს	
აკეთებს	
იმსახურებს	
ხელს უწყობს	
აკონტროლებს	
თანამშრომლობს	
ისმენს	
აგროვებს	
სწავლობს	
ითვალისწინებს	

ბ) წაიკითხეთ წინადადებები და ნიმუშის მიხედვით ჩასვით შესაბამისი ზმნები საჭირო ადგილას:

ნიმუში: საშემოდგომო ფესტივალი წელს არ ტარდება. ასეთი რამ ჯერ არ --- მომხდარა -- ჩვენს ქალაქში.

1. მასწავლებელს არასდროს -----, რას აკეთებდნენ მისი მოსწავლეები გაკვეთილების შემდეგ.
2. კოტეს ჯერ არ ----- თავისი პრეზენტაცია, იმიტომ რომ ჯერ კარგად უნდა გაიაზროს მისი შინაარსი.

3. ლიზას არასდროს -----, თუ როგორ ხსნის ახალ მასალას ქალბატონი თამარი.
4. ნინოს ჯერ არ ----- მნიშვნელოვანი საკითხები - მხოლოდ ორი თვეა, რაც სკოლა „მოდვარში“ სწავლობს.
5. მეხუთეკლასელებს პროექტისთვის დავალება ჯერ მთლიანად არ ----- .
6. გიორგი ყურადღებიანი და ბეჯითი მოსწავლეა; მას ჯერ არ ----- მასწავლებლისგან სასჯელი.
7. ახალ მოსწავლეს ასე კარგად ჯერ არ ----- ქიმიის გაკვეთილი.
8. ნინოსთვის სპეციალურად ----- არ ----- დედას, მაგრამ ის ყოველთვის სწავლაზე ორიენტირებული და ორგანიზებული გოგონა იყო.
9. მაგდას ჯერ არ ----- ყველა ბავშვი კონცერტისთვის, ჯერ კიდევ არის სამი დღე.
10. თამაზს ასე ცუდად არასდროს ----- ჩვენთან. არ ვიცი, რა იყო მიზეზი.

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან და შეადგინეთ შესიტყვებები:

ნიმუში: გაკვეთილის ახსნა

1.	გაკვეთილის	აზრით	გაკვეთილის ახსნა
2.	პიროვნული	იქცევა	
3.	შედეგზე	მოდელი	
4.	აქედან	ქცევა	
5.	ცუდად	უნარი	
6.	ყურადღებას	ფორმა	
7.	ჩემი	ახსნა	
8.	არასასურველი	გადის	
9.	დემოკრატიული	თვისება	
10.	განსაკუთრებული	გამომდინარე	
11.	სასჯელის	აქცევს	

ბ) გამოიყენეთ ეს შესიტყვებები და შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: სასწავლო პროცესის ეფექტურობას ხელს უწყობს **გაკვეთილის ახსნა** ყველა მოსწავლისათვის გასაგები და სასურველი ფორმით.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

III. დააკავშირეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით; გამოიყენეთ კონსტრუქცია:

.., რადგან ... -ო

ნიმუში: ლუკამ თქვა, სკოლა „მთიები“ უფრო მომწონს, **რადგან** იქ კომფორტული სასწავლო გარემოაო.

ლუკამ თქვა, სკოლა „მთიები“ უფრო მომწონს	აუცილებელი არ არის გავითვალისწინო მოსწავლეების შინაგანი თვისებები
„მასწავლებლის სახლის“ კონსულტანტმა თქვა, სწავლების ჰუმანისტური მეთოდი ყველაზე ეფექტურია	გაკვეთილზე მოსწავლეები ყოველთვის აქტიურად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში
თათიამ თქვა, ჩემს მოსწავლეებს ხშირად ვაქებ	ასე უფრო ადვილად მიაღწევენ შეთანხმებას

თამარ ნეფარიძემ თქვა, სწავლებისას ბიპევიორისტულ მოდელს ვირჩევ	ბავშვებს ამ შაბათს ექსკურსიაზე წასვლა ურჩევნიათ
ფიზიკის მასწავლებელმა თქვა, გაკვეთილზე დისციპლინის პრობლემა არასოდეს მქონია	იქ კომფორტული სასწავლო გარემოა
ქალბატონმა ეთერმა თქვა, კლასში ქცევის წესებს მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად შექმნიან	ბავშვებს საშუალება აქვთ დამოუკიდებლად იაზროვნონ და გამოთქვან თავიანთი აზრი
ამბობენ, კარგია, როცა მასწავლებელი საკუთარი თავის შესახებ პირველივე გაკვეთილზე აწვდის ბავშვებს ინფორმაციას	ის ავად გახდა და სიცხე აქვს
ეკამ თქვა, უკეთესია საშემოდგომო ტრადიციული გამოფენა თვის ბოლოს ჩავატაროთ	ამ შემთხვევაში სწავლის მიმართ მათი დამოკიდებულება დადებითია
მშობლები ამბობენ, სკოლა „მთიებთან“ შეიძლება წარმატებულად თანამშრომლობა	ასე ვერაფერს ისწავლიან
კოტემ თქვა, ლევანის მაგივრად მე და გიორგიმ გავაკეთეთ პრეზენტაცია	აქ ფიზიკურად კომფორტული და ორგანიზებული სასწავლო გარემოა
ლუკას დედა ამბობს, ბავშვებმა ინტერნეტი არ უნდა გამოიყენონ	ამ ჟესტის შემდეგ სასწავლო პროცესი უფრო ეფექტურად დაიწყება

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

IV. წიკითხეთ წინადადებები. ზმნები ჩასვით საჭირო დროში:

ნიმუში: მანანას დახმარებით მაკამ ადვილად (ითვისებს) -----**შეითვისა**----- კლასის მართვის თანამედროვე მეთოდები.

1. სკოლა „ბალავარის“ სტუმრებმა (ათვალიერებენ) -----
საშემოდგომო გამოფენა და ბავშვებს თავიანთი ემოციები გაუზიარეს.
2. გაკვეთილები რომ (სრულდება)-----, უფროსკლასელებთან ერთად სპორტულ ღონისძიებაში მივიღებთ მონაწილეობას.
3. ნინომ ისეთი ეფექტური პრეზენტაცია გააკეთა, რომ აუცილებლად უნდა (იმსახურებს) -----
----- მასწავლებლის შექება.
4. მასწავლებელს თუ ყურადღებით (უსმენ) -----, ყველაფერს კარგად გაიგებდი.
5. მომავალი კვირიდან აუცილებლად (ვაკვირდები) -----
----- მოსწავლეების ქცევას, რადგან მაინტერესებს, რატომ არ ზრუნავენ დისციპლინაზე.
6. გუშინ ბატონმა თორნიკემ (აკონტროლებს) -----, როგორ ასრულებენ კათედრის ახალგაზრდა წევრები დირექტორის მოთხოვნებს.
7. მაიამ კიდევ ერთხელ (უხსნის) -----
----- მოსწავლეებს რთული მასალა.
8. თუ სკოლა „განთიადი“ (ირჩევს)-----, აუცილებლად კმაყოფილი დარჩები, რადგან იქ სასიამოვნო ატმოსფერო და ბავშვისთვის ემოციურად უსაფრთხო გარემოა.
9. მათეს ძალიან უხარია, როცა მასწავლებელი კარგ ნიშანს (უწერს) -----
----- და შეაქებს.
10. თამაზმა თქვა, რომ პრეზენტაციის გაკეთება აუცილებელი აღარ არის. არ (ვეწინააღმდეგე
ბი)-----, მაგრამ მე მაინც მინდა შევასრულო ეს დავალება..

V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**ა)**

- ნათია, გამარჯობა.
- როგორ ხარ, ლიკა?
- არა მიშავს, მაგრამ, ვფიქრობ, -----.
- რა ხდება?
- ხომ იცი, წელს მეათეკლასელებსაც ვასწავლი.
- მერე?
- ----- მაქვს. კლასის მართვის დემოკრატიული სტილი -----
----- . ვფიქრობდი, რომ ეს ----- იქნებოდა მეათეკლასელებთან მუშაობისას, მაგრამ
ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც მე დავგეგმე. ერთი მოსწავლე -----
- „საშინლად“ -----?
- ცუდად იქცევა.
- ანუ?
- საუბრობს, როცა ახალ მასალას ვხსნი; საერთოდ არაფრის ----- არ უნდა, მუდმივად ----
----- . უარყოფით ----- ახდენს კლასელებზე.

ბ)

- ლიკა, ეს არ არის კეთილგანწყობილი მასწავლებლის შეფასება. შეგიძლია, რომ -----
ისაუბრო და მხოლოდ ფაქტები აღწერო?
- შემიძლია, მაგრამ... ----- საუბარი რატომ არის ცუდი?
- იმიტომ, რომ ეს ----- მოსწავლის კი არა, მასწავლებლის პრობლემას. შენ
მოსწავლის ქცევა უნდა აღწერო და არა შენი ემოცია. ასევე, ----- არაა ისეთი სიტყვების გამოყენება,
როგორიცაა „ხშირად“, „ყოველთვის“, „არასდროს“ „არაფერი“, „მუდმივად“. შეფასება -----
----- უნდა იყოს. თუ გინდა, კლასი წარმატებულად მართო, ----- ორი მთავარი წესი: 1. -----
----- იმ მოსწავლეს, რომელიც ცუდად კი არა, კარგად იქცევა; 2. ასწავლე ბავშვებს, მარტივად,
-----, როცა ყურადღება სჭირდებათ.
- ფიქრობ, რომ მას ყურადღება -----?
- ალბათ, ასეა. ცუდი ქცევა მისთვის ყურადღების მიქცევის ----- . ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, თუ
----- გამოიყენებ. როცა მიზანს ვერ მიაღწევს, ნელ-ნელა ----- საგაკვეთილო
პროცესში. ყოველთვის შეაქე, როცა ითანამშრომლებს კლასელებთან და პრობლემას გადაჭრი.
- დიდი მადლობა, ნათია. ----- ძალიან მესმარება.
- არაფრის. წარმატებები, ლიკა.

VI. ა) შეავსეთ ცხრილი:

გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
ხსნიდა	ახსნა	ხსნის	ახსნის	ახსნას
			მოუსმენს	
		აკვირდება		
				აირჩიოს
			დაუწერს	
ზრუნავდა				
	დაიწყო			
				მოიქცეს
	დაათვალიერა			
ეწინააღმდეგებოდა				
		ემნის		

ბ) ზმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში: თუ მასწავლებელს ჯერ არ აუხსნია ეს მასალა, აუცილებლად---- ახსნის----, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

VII. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- | | |
|---|---|
| 1. გადაწყვეტილების მიღება შეიძლება | 1. საშინლად
2. სწრაფად |
| 2. ბიპევიორისტული მოდელი გულისხმობს | 1. მოსწავლის წახალისებას
2. მოსწავლის გაკონტროლებას |
| 3. კლასის მართვა არის | 1. სასწავლო პროცესის ანალიზი
2. ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა |
| 4. დამოუკიდებელი სწავლებისას | 1. მოსწავლეები თანამშრომლობენ
2. მოსწავლე ფიქრობს საკუთარ თავზე |
| 5. ჯანსაღი კონკურენცია გულისხმობს | 1. თანაბარ პირობებს
2. თანაბარ ცოდნას |
| 6. ემოციურად უსაფრთხო გარემოში მოსწავლე | 1. თავისუფლად გამოხატავს აზრს
2. სხვის მაგივრად გამოხატავს აზრს |
| 7. დისკუსია არის | 1. პრინციპი
2. მეთოდი |
| 8. ჟესტი და მიმიკა არის | 1. არავერბალური კომუნიკაციის სახეები
2. ვერბალური კომუნიკაციის სახეები |
| 9. ა. მასლოუს აზრით, მოტივაცია დამოკიდებულია | 1. სურვილების შესრულებაზე
2. მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე |
| 10. დადებითი უკუკავშირი მასწავლებელს ეხმარება | 1. ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას
2. ჰქონდეს დიციპლინა |

VIII. წაიკითხეთ წინადადებები. იპოვეთ შეცდომა და გაასწორეთ:

1. როცა მოსწავლე ცუდად იქცევი, ის აუცილებლად იმსახურებს სასჯელს.
2. სწავლების პროცესში მოსწავლეებმა თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები.
3. გაკვეთილში ქცევის წესები მარტივია და მოსწავლეები მათ ადვილად ასრულებენ.
4. ქიმიის მასწავლებლის მიერ ფიზიკის მასწავლებელი წამოვა ექსკურსიაზე.
5. არავერბალური კომუნიკაცია ნიშნავს კომუნიკაციას სიტყვების გარდა.
6. წარმატებულ მასწავლებელს აქვს ეფექტური კომუნიკაციის უნარი, როცა სწავლების პროცესში მას ძალიან ეხმარება.
7. მასწავლებელმა, რომელიც კლასში ემოციურად უსაფრთხო გარემოს ქმნის, სასწავლო პროცესის მართვის პრობლემა არ აქვს.
8. გაკვეთილზე მასწავლებელი გააკონტროლა მოსწავლის ქცევას და აფასებს ცოდნას.
9. მოსწავლე ხალისით თანამშრომლობენ ერთმანეთთან ჯგუფური დავალების შესრულების დროს.
10. ჩვენს სკოლასთან იყენებენ როგორც სასჯელის, ისე წახალისების ფორმებს.

IX. მოცემული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით დაწერეთ მოკლე ტექსტი (50 სიტყვა) „სწავლების მოდელები“:

ჰუმანისტური, ბიპევიორისტული, დემოკრატიული, კეთილგანწყობილი, მართლაც, თანაბარი, განსაკუთრებული, შეხედულება, კომუნიკაცია, შეფასების ფორმა, სასჯელი, უარყოფითი, მოსაზრებები, ყურადღება, ღირებულებები, მნიშვნელოვანი ფაქტორი, სურვილი, პასუხისმგებლობა, ჩართული, დისციპლინა, სასწავლო პროცესი, უნდა გავითვალისწინოთ, ორგანიზებული, პირველ რიგში, ეფექტური, პოზიტიური.

X. ა) წაიკითხეთ ტექსტი და გახაზეთ უცნობი სიტყვები:

რატომ იქცევა მოსწავლე ცუდად?

როგორ უნდა განსაზღვროს მასწავლებელმა, რა არის მოსწავლის ცუდი ქცევის მიზეზი? ეს არც ისე იოლია, რადგან თითოეული ბავშვის ქცევის უკან მიზეზებისა და ფაქტორების უნიკალური კომბინაცია დგას. რა შემთხვევასთანაც უნდა გვეჩვენოს საქმე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ არსებობს ქცევის გამოსწორების უნივერსალური მეთოდი. კლასში დისციპლინის პრობლემა რომ არ

გქონდეთ, ამისათვის საჭიროა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

1. აღწერეთ კონკრეტული ფაქტი სუბიექტური შეფასების გარეშე (მაგ.: არ თქვათ „გიგა საშინლად მოიქცა“. საკმარისია თქვათ, კონკრეტულად რა გააკეთა მოსწავლემ – „მაგალითის ამოხსნის მაგივრად გიგამ დაფაზე მხიარული კაცუნები დახატა“);
2. ზუსტად განსაზღვრეთ ცუდი ქცევის მიზეზი;
3. შეარჩიეთ უკუკავშირის ფორმა, რაც არ ნიშნავს სასჯელს;
4. გამოიყენეთ სტრატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებაში;
5. ითანამშრომლეთ მშობლებთან: მიაწოდეთ მათ ობიექტური ინფორმაცია ბავშვის ქცევისა და თქვენი მუშაობის შესახებ.

ბ) მოიფიქრეთ და დაწერეთ, თქვენი აზრით, რა პრობლემის გამო შეიძლება მოიქცეს ბავშვი ცუდად? იმსჯელეთ ამ პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ:

- 1.-----
- 2.-----
- 3.-----
- 4.-----
- 5.-----

თავი VI

შეფასება, პროფესიული განვითარება, ინკლუზიური განათლება

6.1. სასწავლო პროცესის შეფასება

I. ა) გზნებს შეუცვალეთ ფორმა ნიმუშის მიხედვით:

იაზრებს	იაზრებდა
ცდილობს	
აინტერესებს	
აცნობიერებს	
ასწორებს	
ირჩევს	
ასრულებს	
ითვისებს	
საზღვრავს	
ხსნის	
პოულობს	

ბ) ჩასვით გზნა შესაბამისი ფორმით წინადადებაში:

ნიმუში: ბავშვი მიმდინარე შეფასების დახმარებით უკეთ --- **იაზრებს** --- საკუთარ შეცდომებს.

1. მასწავლებელი შეფასებით -----, როგორია მოსწავლის ცოდნის დონე.
2. როცა მინდა მოსწავლეს უკუკავშირი მივცე, ----- წერილობით კომენტარს.
3. მშობელს აუცილებლად უნდა -----, რა აქტივობებს იყენებს მისი შვილის მასწავლებელი კლასში.
4. სემესტრის ბოლოს მეშვიდეკლასელები ყოველთვის ----- საკლასო შემაჯამებელ სამუშაოს.
5. შარშან განმავითარებელი შეფასების მიღების შემდეგ მოსწავლე ----- თავისი შედეგების გაუმჯობესებას.
6. მასწავლებლის კომენტარებში მოსწავლე ----- რჩევებს, თუ როგორ გამოიყენოს თავისი ცოდნა პრაქტიკაში.

7. თამთა -----, რომ მოსწავლეების მოტივაციის განმსაზღვრელი მის მიერ გამოყენებული აქტივობები იყო.
8. ვფიქრობ, ჩვენი მასწავლებელი მალე ----- ახალ მასალას, რადგან საშინაო დავალების შემოწმება უკვე დაასრულა.
9. დათოსთან ერთად დღეს ნანაც ----- შემაჯამებელი წერის დავალებებს.
10. მოსწავლეები ადვილად ----- რთულ მასალასაც, როცა გაკვეთილი კარგადაა ორგანიზებული და დაგეგმილი.

II. ა) წაიკითხეთ ტექსტი; შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული სიტყვები და ფრაზები საჭირო ფორმით:

ორიენტირებული გადამოწმოს მნიშვნელოვანი კონკრეტული ობიექტური სრულდება ფიქრობს დაადგინოს პრაქტიკაში თვითშეფასებას

მასწავლებელმა მუდმივად უნდა -----, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა სასწავლო მიზნები. მაგალითად, მას შეუძლია შეკითხვების დასმა მოსწავლისთვის, რომელიც ----- დავალებას ასრულებს, რისთვის ----- მოცემული აქტივობა. თუ მოსწავლის პასუხი არ იქნება მიზანზე ----- (მაგალითად, თუ მოსწავლემ თქვა, მაღალი ნიშნისთვის) ან საერთოდ ვერ პასუხობს, ესე იგი მან ვერ გაიგო სასწავლო მიზანი და საჭიროა მასთან დამატებითი მუშაობა.

ყველა სახის შეფასების მიზანია, -----, რა ისწავლა მოსწავლემ, როგორ ისწავლა და როგორ იყენებს -----იმას, რაც ისწავლა. -----, შეფასების საფუძველზე მოსწავლემ გააცნობიეროს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. როცა მოსწავლე -----სწავლაზე და აკეთებს -----, უკეთესად ხვდება, რა იცის და კიდევ რა უნდა ისწავლოს. შედეგის მიღწევაში მას ძალიან დაეხმარება მასწავლებლის კომენტარი, რომელშიც იქნება ----- და გამჭვირვალე რეკომენდაციები სწავლის პროცესის გაუმჯობესების შესახებ.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მისი შინაარსის მიხედვით დასვით კითხვები:

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

III. ა) დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: 98 – შეფასების პრინციპი

- | | |
|--------------------|-----------------|
| 1. საკლასო | ა. მასალა |
| 2. განმავითარებელი | ბ. კრიტერიუმები |
| 3. ზეპირი | გ. პასუხი |
| 4. ნასწავლი | დ. შემთხვევა |
| 5. გამჭვირვალე | ე. გაკვეთილი |
| 6. პირადი | ვ. შეფასება |
| 7. ერთნაირი | ზ. პრინციპი |
| 8. კონკრეტული | თ. კომენტარი |
| 9. შეფასების | ი. სამუშაო |
| 10. შემაჯამებელი | კ. შეხედულება |

ბ) ჩასვით შესიტყვებები შესაბამის წინადადებებში; გაითვალისწინეთ, ზოგჯერ საჭიროა სიტყვისთვის ფორმის შეცვლა:

1. შეფასების ფორმები და შეფასების პრინციპები მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრაში.
2. განმსაზღვრელი შეფასების დროს მასწავლებელი აფასებს მოსწავლის ცოდნას -----
-----.
3. დავალება ყოველთვის ----- მიხედვით უნდა
სწორდებოდეს.
4. ----- მიზანი სწავლების პროცესის გაუმჯობესება და
ბავშვის განვითარებაა.
5. მასწავლებელმა მოსწავლე ობიექტურად უნდა შეაფასოს და არა -----
-----მიხედვით.
6. ----- კარგად ჩანს, რამდენად წარმატებულად
მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი.
7. შეიძლება მასწავლებელმა ----- მოსწავლეს
გაკვეთილის დროს მისცეს, მაგრამ არ შეაფასოს.
8. შეიძლება ითქვას, რომ ----- შესრულება ერთ-ერთი
საუკეთესო აქტივობაა ბავშვების საგაკვეთილო პროცესში ჩართულობისთვის.

9. ბავშვი ----- აკავშირებს ახალთან და ისე პოულობს პრობლემის გადაჭრის გზას.
10. მასწავლებელი -----ერთნაირად აფასებს ყველა მოსწავლეს.

IV. წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ბრუნვაში:

თვითშეფასება პროგრესი კომენტარი რეკომენდაცია გაუმჯობესება სემესტრი ხარისხი დადგენა ცნობიერება სწორება დაინტერესება

ნიმუში: მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს ჰქონდეს (თვითშეფასება) **თვითშეფასების** უნარი.

1. მასწავლებელი უკუკავშირს ზეპირი ან წერიტი (კომენტარი)----- საშუალებით აძლევს მოსწავლეს.
2. სასწავლო პროცესით ბავშვის (დაინტერესება) ----- განსაზღვრა მისი მიმდინარე შეფასება.
3. მოსწავლის ცოდნის დონის (დადგენა) ----- ინფორმაციას განმავითარებელი შეფასება გვაძლევს.
4. ქალბატონი ქეთოს (რეკომენდაცია) -----, ეკა გაკვეთილებს ჰუმანისტური მეთოდის გამოყენებით ატარებს.
5. თორნიკეს ამ (სემესტრი) ----- მასწავლებლის დახმარება სჭირდება, რადგან შემაჯამებელ გაკვეთილზე პრეზენტაციის გაკეთებას გეგმავს.
6. როცა მოსწავლე აცნობიერებს თავის (პროგრესი)-----, ამით მისი სწავლის მოტივაცია იზრდება.
7. განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია ბავშვის (ცნობიერება)----- განვითარებაზე.
8. სწავლა-სწავლების (ხარისხი) ----- გავლენას ახდენს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ეფექტური კომუნიკაცია.
9. ნანა და თეა დღეს იწყებენ შემაჯამებელი დავალებების (სწორება)-----.
10. სასწავლო პროცესის ხარისხის (გაუმჯობესება) -----მასწავლებელმა შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებთან ერთად შექმნა.

V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ნიკა, როგორ ხარ?
- გმადლობთ, დეიდა ნინო, კარგად. თავად როგორ ბრძანდებით?
- მეც არა მიშავს. სკოლაში რატომ არ დადიხარ?
- სხვა სკოლაში გადავედი.
- მართლა? რომელ სკოლაში? აქედან -----?
- არა, -----, სკოლა „იმედი“.
- აბა, რა მოგწონს ყველაზე მეტად ახალ სკოლაში?
- გაკვეთილები ყოველთვის საინტერესო და სახალისოა, მაგრამ ყველაზე მეტად -----
----- მომწონს. მასწავლებელი ჩვენთან ერთად ----- შეფასების ----- ყველაფერი
ძალიან ----- შედეგები ჩვენი ცოდნის დონეზე დამოკიდებული და არა მასწავლებლის -----
-----.
- რა კარგია!
- დიახ, ძალიან! თუ შეცდომას ვუშვებთ, მასწავლებელი დაბალ ნიშანს კი არ წერს, ზეპირ ან წერილობით
კომენტარს გვაძლევს და გვასწავლის, რა უნდა გავაკეთოთ შედეგების -----.
- ნიშანს საერთოდ არ წერენ?
- როგორ არა! ----- შეფასებებიც გვაქვს და -----.
- ალბათ, მხოლოდ საშინაო და საკლასო სამუშაოები -----.
- არა, დეიდა ნინო, ჩვენთან ყველაფერი -----: დამოუკიდებელი აზროვნება, არგუმენტირებული
მსჯელობა, სხვისი მოსაზრების პატივისცემა, თანაკლასელებთან თანამშრომლობა.
- რა კარგი სკოლა ყოფილა „იმედი“. წარმატებები, ნიკა!
- ნახვამდის, დეიდა ნინო.

VI. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

ნიმუში: მასწავლებელი ბავშვების ერთნაირ პასუხებს აუცილებლად ერთნაირად აძლევს/აფასებს.

1. თინა და მისი მოსწავლეები ერთად ქმნიან/ასწორებენ შეფასების კრიტერიუმებს.
2. ყველა მოსწავლეს აცნობიერებს/აინტერესებს, როგორ შეიძლება სწავლების შედეგების გაუმჯობესება.
3. სკოლა „მოდერნი“ ყველა მოსწავლის დავალება ერთნაირი კრიტერიუმებით ასწორებს/სწორდება.

4. თვითშეფასების დახმარებით მოსწავლე უკეთესად **აკონტროლებს/აანალიზებს** თავის სუსტ და ძლიერ მახარებს.
5. კარგი მასწავლებელი ყოველთვის **აინტერესებს/ინტერესდება**, ბავშვებმა სწორად გაიგეს თუ არა სწავლების მიზნები.
6. მასწავლებელი **აკვირდება/უსმენს** და აანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს, რადგან აინტერესებს, აქვს თუ არა მის მუშაობას შედეგი.
7. ლევანს და ნიას ძალიან **სჭირდებათ/უნდათ**, რომ ერთად მოამზადონ სასკოლო კონკურსისათვის პროექტი.
8. განმავითარებელი შეფასება **აკონტროლებს/ხელს უწყობს** მოსწავლეს უნარების განვითარებაში.
9. მოსწავლე **იმსახურებს/იღებს** ჯილდოს, თუ მისი მუშაობა სწავლასა და განვითარებაზეა ორიენტირებული.
10. სკოლაში მოსწავლე, ერთი მხრივ, **აგროვებს/იძენს** ცოდნას, მეორე მხრივ - სწავლობს ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

VII. ა) შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორი ფორმით:

გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
საუბრობდა	ისაუბრა	საუბრობს	ისაუბრებს	ისაუბროს
	შეაქო			
			გააცნობიერებს	
	ეცადა			
		ინტერესდება		
ასწორებდა				
			მოიქცევა	
				შეითვისოს
უხსნიდა				
		მსჯელობს		
				დააკავშიროს

ბ) შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით წარსულ დროში:

ნიმუში: გუშინ მთელი გაკვეთილი ვისაუბრე ჩემს მოსწავლეებთან სწავლების მიზნების შესახებ.

1. -----
2. -----
3. -----
4. -----
5. -----
6. -----
7. -----
8. -----
9. -----
10. -----

VIII. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1	შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია.	+	
2	სწავლისა და დასწავლის პროცესში მოსწავლე ვერ აკეთებს თვითშეფასებას.		
3	განმსაზღვრელი შეფასების დროს აუცილებელი არ არის მოსწავლისათვის უკუკავშირის მიცემა.		
4	მოსწავლისათვის ნიშნის დაწერა შესაძლებელია მხოლოდ სემესტრის ბოლოს.		
5	მასწავლებლის კომენტარში საუბარია მოსწავლის სუსტ და ძლიერ მხარეებზე.		
6	განმავითარებელი ზეპირი კომენტარი მოსწავლემ შეიძლება მიიღოს გაკვეთილზე.		
7	შეფასება ობიექტურია, თუ იგი დამოკიდებული არ არის მასწავლებლის პირად შეხედულებაზე.		
8	მოსწავლეთა ერთნაირი პასუხები შეიძლება მასწავლებელმა განსხვავებულად შეაფასოს.		
9	მასწავლებელი აფასებს მოსწავლის ცდონის დონეს და არა მის პიროვნულ თვისებებს.		
10	როცა ბავშვი ხალისით არ ასრულებს საკლასო სამუშაოს, ის დაბალ შეფასებას იღებს.		

IX. ნიმუშის მიხედვით ჩასვით წინადადებებში საჭირო თანდებულები:**მიერ/მაგივრად/ნაცვლად/განმავლობაში/მიხედვით**

ნიმუში: ქეთიმ მასწავლებლის რეკომენდაციის -----**მიხედვით**----- შეასრულა საშინაო დავალება.

1. „მასწავლებლის სახლის“ კონსულტანტის ----- სკოლაში სამინისტროს თანამშრომელი მოვიდა.
2. ჰუმანისტური მოდელის -----, მოსწავლე სასჯელს არ იმსახურებს.
3. მასწავლებლის ----- უკუკავშირის მიცემა ძალიან მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში.
4. გაკვეთილის გეგმის ----- თეამ პრეზენტაციის გეგმა დაწერა.
5. სასწავლო წლის ----- მოსწავლე ორ სემესტრულ შეფასებას იღებს.
6. ელენეს ----- ლიკა წავიდა საშემოდგომო გამოფენაზე თავის მერვეკლასელებთან ერთად.
7. ერთი და იმავე დავალების შეფასებისთვის მასწავლებლების ----- ერთი და იგივე კრიტერიუმებია მიღებული.
8. განმავითარებელი შეფასების ----- ნინომ დღეს განმსაზღვრელი შეფასება მიიღო.
9. პირველი სემესტრის ----- ბავშვებმა მხოლოდ სამჯერ შეასრულეს საკლასო დავალება.
10. გაკვეთილის გეგმის -----, ჯერ ძველი მასალის ცოდნა მოწმდება და შემდეგ ახალი მასალა იხსნება.

X. ა) წაიკითხეთ ტექსტი და გახაზეთ უცნობი სიტყვები:

ბ) შეეცადეთ, თქვენი სიტყვებით თქვათ, რაზეა საუბარი ტექსტში; იმსჯელეთ „შეფასების მიზნებისა და კომპონენტების“ შესახებ თქვენი გამოცდილების მიხედვით:

შეფასება არის რაიმე ფაქტის ან პროცესის შესაბამისობის დადგენა კრიტერიუმებთან. შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად კარგად ასწავლის მასწავლებელი და რამდენად კარგად სწავლობენ მოსწავლეები. შეფასებას აქვს შემდეგი ძირითადი მიზნები:

1. მოსწავლის დახმარება სწავლაში;
2. მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა;
3. სწავლების მეთოდების ეფექტიანობის შემოწმება;

4. სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის შემოწმება და სრულყოფა;
5. სასწავლო პროცესში სწავლების ეფექტიანობის შეფასება და სრულყოფა;
6. მშობლებთან კომუნიკაცია.

შეფასებას აქვს ორი განსხვავებული ფუნქცია:

- სწავლის პროცესის შეფასება (მიმდინარე შეფასება);
- შედეგების / მიღწევების შეფასება (შემაჯამებელი შეფასება);

მოსწავლეთა შეფასება ხდება რამდენიმე კომპონენტში. კომპონენტებში მიღებული შეფასებები განსაზღვრავს მოსწავლის სემესტრულ შეფასებას. ეს კომპონენტებია:

- ა) საშინაო დავალება;
- ბ) საკლასო დავალება;
- გ) შემაჯამებელი დავალება.

შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

6.2. პროფესიული განვითარება

I. ა) ზმნებს შეუცვალეთ ფორმა ნიმუშის მიხედვით:

ვითარდება	უნდა განვითარდეს
ინერგება	
მოწმდება	
ანალიზდება	
ხვდება	
მუშავდება	
ტარდება	
ეწყობა	
ინტერესდება	
სწორდება	
სრულდება	

ბ) წიკითხეთ წინადადებები და ჩასვით შესაბამისი ზმნები საჭირო ადგილას:

ნიმუში: სკოლაში მოსწავლის კოგნიტური უნარები ნელ-ნელა და თანმიმდევრობით უნდა -----
განვითარდეს ----.

1. ბავშვი უნდა ----- საგაკვეთილო პროცესში მიღებული ინფორმაციით .
2. სწავლების პროცესის გეგმა ერთობლივად უნდა ----- სასწავლო
კათედრაზე.
3. მუდმივად უნდა -----, როგორია მოსწავლეების დამოკიდებულება სწავლის
მიმართ.
4. სკოლაში ყოველთვის უნდა ----- მოსწავლეთა შედეგები.
5. სასწავლო პროცესი წარმატებულად რომ -----, საჭიროა მასწავლებელი
მუდმივად აკონტროლებდეს საკუთარ შედეგებს.
6. გაკვეთილის გეგმა ისე უნდა დაგეგმოს პედაგოგმა, რომ მოსწავლე ადვილად -----
----- სასწავლო მიზანს.
7. გიორგის ძალიან უნდა, რომ სწავლების ისეთივე თანამედროვე მეთოდები -----
---- ჩვენს სკოლაშიც, როგორიც მათეს და ანას სკოლაშია.
8. თეკლეს უნდა, რომ წელს ტრადიციულად ისევ ----- სკოლაში ფესტივალი
„ოქროს შემოდგომა“.
9. საშინაო დავალება ყოველთვის უნდა -----, ეს გააძლიერებს ბავშვს
მოტივაციას და ის მეტ ყურადღებას მიაქცევს სწავლას.
10. განათლების სამინისტროში აუცილებლად უნდა ----- დისკუსია სწავლების
თანამედროვე თეორიების შესახებ.

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან და შეადგინეთ შესიტყვებები:

ნიმუში: თეორიული ცოდნა

1	თეორიული	შეხვედრა	თეორიული ცოდნა
2	ეწეობა	წინსვლა	
3	პროფესიული	გამოცდილებას	
4	კარიერული	რეკომენდაციას	
5	შეფასების	კითხვარს	

6	საგაკვეთილო	პრაქტიკაში	
7	უზიარებენ	ცოდნა	
8	აძლევს	სისტემა	
9	ინერგება	სტანდარტი	
10	ტარდება	ღონისძიება	
11	ადგენენ	პროცესი	

ბ) გამოიყენეთ ეს შესიტყვებები და შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: თეორიული ცოდნის გარდა, აუცილებელია პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

III. დააკავშირეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით; გამოიყენეთ კონსტრუქცია:

– ..ის განმავლობაში, რადგან...

ნიმუში: ნინომ და მისმა კლასელებმა ამ (კვირა) --**კვირის განმავლობაში**-- უნდა გაიმეორონ ძველი მასალა, **რადგან** ერთი კვირის შემდეგ მასწავლებელი ახალ მასალას ახსნის.

ნინომ და მისმა კლასელებმა ამ (კვირა) უნდა გაიმეორონ ძველი მასალა	 მას ამ ტიპის მუშაობის კარგი გამოცდილება ჰქონდა.
ელბამ ამ (ზაფხული) უნდა დააგროვოს საჭირო გამოცდილება	 გვინდა ბავშვებს ვასწავლოთ ჯგუფური მუშაობა.
ათი (წელი).... მუშაობდა ქალბატონი თინა კათედრის გამგედ	 ის მნიშვნელოვან ცოდნას იღებს მოსმენით.
პროფესიული (პრაქტიკა) მნიშვნელოვანი უნარია თვითნაღიზი	 ძალიან უყვარს ბავშვები.
კარიერული (წინსვლა) ადამიანი მუდმივად იძენს სხვადასხვა კომპეტენციას	 ერთი კვირის შემდეგ მასწავლებელი ახალ მასალას ახსნის.
სამუშაო (შეხვედრები) მიღებული გადაწყვეტილებები უნდა დაინერგოს პრაქტიკაში	 სექტემბრიდან სკოლაში იწყებს მუშაობას.
გამოცდილ მასწავლებელთან (თანამშრომლობა) მიღებული რეკომენდაციები დამწყები მასწავლებლებისთვის ძალიან საჭიროა	 ასე უფრო კარგად გავაანალიზებთ საკუთარ შეცდომებს.
(სემესტრი) რამდენიმე აქტივობას ვგეგმავთ	 ეს აუცილებელია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის.
კოგნიტური განვითარების პირველი (სტადია) ბავშვს ხშირად უნდა ვესაუბროთ	 იქ ხშირად საუბრობდნენ სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ.
უნივერსიტეტში (სწავლა) ... ლიზას ყოველთვის უნდოდა სკოლაში მუშაობა	 ამ პროცესში ბევრი დაბრკოლების გადალახვა არის საჭირო.
„მასწავლებლის სახლის“ მიერ ორგანიზებული (ტრენინგი) საბამ და ქეთომ ბევრი რამ გაიგეს	 ეს მათ ეხმარება პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

IV. წინადადებები შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: სკოლაში ბავშვები ყოველთვის **აწყობენ** კონცერტს.
სკოლაში ყოველთვის **ეწყობა** კონცერტი.

აწყობენ – ეწყობა

1. როცა კლასში კომფორტული სასწავლო გარემოა, ბავშვი ხალისით **აკეთებს** ყველანაირ დავალებას.
2. მეშვიდე საჯარო სკოლაში წარმატებით **ნერგავენ** პრაქტიკაში სწავლების თანამედროვე მეთოდებს.
3. დამწყები მასწავლებელი ყოველთვის **ასრულებს** კათედრის გამგის რეკომენდაციას.
4. საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში მასწავლებელი აუცილებლად **ამოწმებს** საშინაო დავალებას.
5. პედაგოგი სასწავლო წლის განმავლობაში თანმიმდევრულად **ამუშავებს** ყველა მნიშვნელოვან საკითხს.
6. სამუშაო შეხვედრებზე **ანალიზებენ** მასწავლებელთა საქმიანობის შედეგებს.
7. „მასწავლებლის სახლში“ ხშირად **ატარებენ** ტრენინგებს პედაგოგთა დახმარების მიზნით.
8. მასწავლებელი ჯერ **ასწორებს** ყველა დავალებას და შემდეგ ხსნის ახალ მასალას.
9. ყველა ბავშვს **აინტერესებს** მასწავლებლის ამრი მის შესახებ.
10. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკვე **ამთავრებს** სასკოლო პროგრამების შემოწმებას.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ლადო, შენ უკვე დიდი გამოცდილება გაქვს და, ალბათ, ბევრი რამ იცი მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, ----- და ----- სქემაზე.

- რა თქმა უნდა. ეს ყველა მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტია და დღეს საქართველოს სკოლებში აქტიურად -----.

- ძალიან მაინტერესებს, რას ----- ეს დოკუმენტი?

- მისი ----- მასწავლებლის პროფესიული ----- და განსაზღვრავს, რომელი -----
--- უნდა ჰქონდეს მასწავლებელს.

- რამე ახალი მოთხოვნებია?
- ახალი ისეთი არაფერი - ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები.
- ანუ ყველაფერი ის, რაც პროფესიულ ----- გვეხმარება.
- ასეა.
- ----- ისევ უნდა გავაკეთოთ?
- კი, კი, აუცილებლად. ხომ გახსოვს, ----- უნდა შეადგინო და გაიგებ, რამდენად ეფექტურად იყენებ თეორიულ ცოდნასა და უნარებს პრაქტიკაში. თვითნაღიზის უნარი თუ არ აქვს პედაგოგს, ის ვერ -----, ამიტომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია.
- შეიძლება თქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი, ანუ -----!
- სწორედ ასეა. წარმატებები, ლიბა.

VI. ა) შეავსეთ ცხრილი:

გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
ინტერესდებოდა	დაინტერესდა	ინტერესდება	დაინტერესდება	დაინტერესდეს
	დაინერგა			
		მოწმდება		
				დამუშავდეს
			ჩატარდება	
ხვდებოდა				
	გაანალიზდა			
				მოეწეოს
			აითვისებს	
სწორდებოდა				
		იქცევა		

ბ) გმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში: ეკა აუცილებლად ----**დაინტერესდება**---- სწავლების ახალი მეთოდებით.

1. -----
2. -----

3. -----
4. -----
5. -----
6. -----
7. -----
8. -----
9. -----
10. -----

VII. იპოვეთ და მონიშნეთ განსხვავებული სიტყვა:

1. დასაწყისი, დასასრული, პროცესი, მეთოდი.
2. უნარი, ნიშანი, ჩვევა, ცოდნა.
3. დისკუსია, ცნობისმოყვარეობა, დაინტერესება, დათვალიერება.
4. სიტყვა, კომენტარი, ტესტი, ახსნა.
5. წესი, მოდელი, ღირებულება, ნიმუში.
6. კომენტარი, რეკომენდაცია, უკუკავშირი, პროგრესი.
7. მოწყობა, დაჯირვება, ჩატარება, შესრულება.
8. წინსვლა, პროგრესი, ანალიზი, განვითარება.
9. პრინციპი, აქტივობა, მეთოდი, გადაჭრა.
10. მიხვედრა, გაგება, გაუმჯობესება, დადგენა.

VIII. წაიკითხეთ წინადადებები. იპოვეთ შეცდომა და გაასწორეთ:

1. მასწავლებლის თვითშეფასება ხდება კითხვარის საშუალება.
2. მასწავლებელთათვის ხშირად ეწყობიან სამუშაო შეხვედრები.
3. საგაკვეთილო პროცესში დაკვირვება და გაკვეთილებზე დასწრება საჭიროა განმავითარებელი შეფასებისათვის.

4. გამოცდილი პედაგოგი ადვილად ვხვდები, როგორ იპოვოს პრობლემის გადაჭრის გზა.
5. პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით, მასწავლებლები კონფერენციებზე იღებენ მონაწილეობას.
6. საგნობრივ კათედრაზე ხშირი ტარდება სამუშაო შეხვედრები.
7. კითხვარით ანალიზდება მასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეებმა.
8. სკოლაში მასწავლებლები ბევრ აქტივობებს იყენებენ მოსწავლეებისათვის კოგნიტური უნარების განვითარებისთვის.
9. პროფესიული განვითარებისა და შეფასების ახალმა სისტემამ ხელი უწყობს მასწავლებლის კარიერულ ზრდას.
10. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და ისე გეგმავს გაკვეთილს.

IX. მოცემული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით დაწერეთ მოკლე ტექსტი (50 სიტყვა) „რას არის საჭირო პროფესიული განვითარებისთვის“:

კომპეტენცია, მნიშვნელოვანი ფაქტორი, პროფესიული, უნდა განვითავდეს ინოვაციური, სქემა, ორგანიზებული, თვითმართვითი, პირველ რიგში, წინსვლა, ეფექტური, დანერგვა, მოწყობა, კარიერული, კონკრეტული, ორიენტირებული, ერთობლივად, სასწავლო ჯგუფების შექმნა, შედეგი, განმავლობაში, აქტივობა, გაუმჯობესება, თანამშრომლობა, ხელს უწყობს, სამუშაო შეხვედრები, ორგანიზებული, სტანდარტი.

X. ა) წაკითხეთ ტექსტი და გახაზეთ უცნობი სიტყვები:

მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სამუშაო შეხვედრაზე იმსჯელეს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის შესახებ. გათვალისწინებულია სქემაში რამდენიმე ცვლილება: მაგალითად, მომავალში პრაქტიკოსი მასწავლებელი 19 კრედიტულას როცა დააგროვებს, უფროსი მასწავლებელი გახდება. უფრო კონკრეტულად კი, როგორც შეხვედრის დასასრულს კომისიის წევრმა, განათლების სამინისტროს კონსულტანტმა თქვა, პედაგოგს შეუძლია, დაახლოებით 15 კრედიტულა დააგროვოს გამოცდების დახმარებით, შიდასასკოლო დაკვირვებები კი ორ-ორი კრედიტით შეფასდება.

ბ) იმჯელეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალ სქემაზე. მოიფიქრეთ და დაწერეთ თქვენი კომენტარი ამ სქემის შესახებ:

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____

6.3. ინკლუზიური განათლება

1. ა) გმნებს შეუცვალეთ ფორმა ნიმუშის მიხედვით:

ითვისებს	ითვისებდა
იცავს	
ადგენს	
ითხოვს	
აცნობიერებს	
აჩვენებს	
აძლევს	
მონაწილეობს	
ნერგავს	
აკვირდება	
უსმენს	

ბ) წაიკითხეთ წინადადებები და ჩასვით შესაბამისი გმნები საჭირო ადგილას:

ნიმუში: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე ახალ მასალას ადვილად ვერ --- ითვისებდა ---.

1. ინგა ყოველთვის ----- „მასწავლებლის სახლის“ მიერ ინკლუზიური სწავლების შესახებ ჩატარებულ ტრენინგებში.
2. შშმ მოსწავლე განსაკუთრებულ ყურადღებას ----- მასწავლებლისგან, რომ კარგად გაეგო გაკვეთილის შინაარსი.

3. სკოლა „იმედის“ ყველა მასწავლებელი ----- სწავლების ჰუმანისტური მოდელის მოთხოვნებს.
4. მეხუთეკლასელი კოტე, რომელსაც მოსმენის პრობლემა აქვს ----- კლასელებს და ასე იგებდა, რა თქვა მასწავლებელმა.
5. სკოლაში იყვნენ სსსმ საჭიროების მქონე მოსწავლეები, ამიტომაც ----- მათთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მასწავლებელი.
6. მათემატიკის მასწავლებელი ყოველთვის ----- ბავშვებს დაფაზე ნიშნებს, თუ როგორ უნდა ამოეხსნათ ამოცანა.
7. გიორგი როცა ყურადღებით ----- მასწავლებელს, ახალ მასალას ადვილად იგებდა.
8. კატოს დედა კარგად -----, რომ მასწავლებლისა და სხვა ბავშვების დახმარების გარეშე მისი პატარა გოგონა ვერაფერს მიაღწევდა.
9. ნატოს უნდოდა ბავშვებს კარგად გაეგოთ ახალი მასალა, ამიტომ ჯერ არ ----- --- სამინაო დავალებას და მათ კლასში ამუშავებდა.
10. განათლების სამინისტრო თანმიმდევრულად ----- საქართველოს სკოლებში მასწავლებლის საქმიანობის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას.

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან და შეადგინეთ შესიტყვებები:

ნიმუში: საჭიროების მქონე

1	საჭიროების	დახმარება	საჭიროების მქონე
2	მოსწავლის	სასწავლო გეგმა	
3	ეთნიკური	გარემო	
4	საზოგადოების	დამოკიდებულება	
5	სპეციალური	დამუშავება	
6	ინდივიდუალური	პრობლემები	
7	ინფორმაციის	უშლის	
8	პოზიტიური	მოვალეობა	
9	ხელს	უმცირესობები	
10	სოციალური	მქონე	
11	ნეგატიური	შესაძლებლობები	

ბ) გამოიყენეთ ეს შესიტყვებები და შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

III. წაიკითხეთ წინადადებები. ზმნები ჩასვით საჭირო ფორმაში:

ნიმუში: მე უკვე ადვილად (ასწავლის) ----- **ვასწავლი** ----- სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს, რადგან ისგ-ს ვიყენებ.

1. დიდი ხანია (ცდილობს) ----- შევექმნა კლასში პოზიტიური და სასიამოვნო გარემო.
2. გაკვეთილის გეგმას როცა (ადგენს) -----, ყოველთვის უნდა გაითვალისწინო სსსმ მოსწავლეების ინტერესები.
3. როცა შშმ მოსწავლეს ჩართავ საგაკვეთილო პროცესში, ამით (ხელს უწყობს) ----- მის სოციალურ ინტეგრაციას.

4. სსმ მოსწავლეების სწავლის შედეგების გაუმჯობესებას (აღწევს)----- ისგ-ს დახმარებით.
5. როცა ვსაუბრობ კლასში კომფორტული გარემოს შექმნაზე, პირველ რიგში, (გულისხმობს) -----
----- მოსწავლეების მიმართ დადებითი ემოციების გამოხატვას.
6. კოტე, ალბათ, უკვე (აცნობიერებს) -----, რომ შშმ მოსწავლეებსაც ისევე აქვთ განათლების მიღების უფლება, როგორც შენ.
7. ლილის კლასში ყველა მოსწავლე (იცავს) ----- დისციპლინას.
8. თუ (ითხოვს) -----, რომ ბავშვმა შეასრულოს საშინაო დავალება, მაშინ მოტივაციისათვის აუცილებლად უნდა მისცე უკუკავშირი.
9. ახალი მასალის ახსნის დროს მოსწავლეებს ყოველთვის (აჩვენებს) -----
სპეციალურ მასალას და ფოტოებს.
10. კოტე, შენც (მონაწილეობს) ----- უსახლკარო ბავშვების დახმარების მიზნით მოწყობილ ღონისძიებაში?



IV. მოისმინეთ დიალოგი; წაიკითხეთ ტექსტი და შემდეგ შეავსეთ ცხრილი:

ა) მოისმინეთ დიალოგი:

ბ) წაიკითხეთ ტექსტი:

- ნუცა, როგორ ხარ?
- გმადლობთ, არა მიშავს.
- რა არის ახალი?
- ჩვენს სკოლაში ახალი მოსწავლე გადმოდის. თუ გცალია, ერთად წავიდეთ, უკვე ქალბატონი თამარის კაბინეტშია თავის მშობლებთან ერთად.
- წავიდეთ. მეც სიამოვნებით გავიცნობ.
- როგორც ქალბატონმა თამარმა თქვა, ამ ბავშვს ინკლუზიური განათლება სჭირდება.
- ხომ არ იცი, რატომ? სოციალური პრობლემები აქვს?
- როგორ, ინკლუზიური განათლება ხომ შშმ მოსწავლეს სჭირდება?
- არა მართო შშმ მოსწავლეს, არამედ სოციალური პრობლემების მქონესაც. ეს ბავშვიც ასეთია?
- არა, მგონი, ძველ სკოლაში თანაკლასელებთან კომუნიკაციის პრობლემა ჰქონდა და აქ ჩვენ უნდა დავეხმაროთ.

- ერთი მხრივ, ეს ადვილი არ არის, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ ამის კარგი გამოცდილება გვაქვს. გახსოვს ის შუბ გოგონა, წინა სემესტრში რომ გადმოვიდა ჩვენთან?
- მარი? როგორ არა, კარგად მახსოვს, მასაც ჰქონდა კომუნიკაციის პრობლემა, ახლა კი ის და მისი თანაკლასელი გოგონები სულ ერთად არიან. ეს შენი დამსახურებაა. ძალიან კარგად იმუშავე.
- მე ბევრი არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ, ჩვენს სკოლაში ემოციურად უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოა; ამასთან ერთად, შექმნილია სპეციალური ჯგუფი სსსმ მოსწავლეების დახმარების მიზნით. მარისტების გავაკეთეთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ახლა ის უკვე აქტიურადაა ჩართული ყველა სასკოლო აქტივობაში და ბევრი მეგობარიც ჰყავს. მასთან მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში ასეთი შედეგის მიღწევით ძალიან კმაყოფილი ვარ.
- მართალია, მარისტან ძალიან კარგ შედეგს მივაღწიეთ. იმედი მაქვს, ახალ მოსწავლესაც ეფექტურად დავეხმარებით, რადგან ამისათვის საჭირო ყველა რესურსი გვაქვს.
- ასეა, თუმცა ყველა ბავშვი განსხვავებულია და სასურველ შედეგზე გასვლა ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ვნახოთ.

გ) დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ, ცხრილში მოცემული ინფორმაცია სწორია

(+) თუ არასწორი (-):

1	ინკლუზიური განათლება საჭიროა სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლისთვისაც.	+	
2	მოსწავლეს ძველ სკოლაში კომუნიკაციის პრობლემა ჰქონდა.		
3	წინა სემესტრში გადმოსული მოსწავლე უსახლკარო იყო.		
4	თეამ დაადგინა მარისტის ინდივიდუალური შესაძლებლობები და ინტერესები.		
5	მარი არ არის ჩართული სასკოლო აქტივობებში, რადგან არ ჰყავს მეგობრები.		
6	სსსმ მოსწავლის დახმარების მიზნით სკოლაში შექმნილია სპეციალური ჯგუფი.		
7	სპეციალურმა პედაგოგმა გააკეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.		
8	მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო მიზნის მიღწევისათვის საჭირო რესურსების გარდა, სკოლაში ემოციურად უსაფრთხო გარემო იყოს.		
9	ყველა ბავშვი განსხვავებულია, მაგრამ ყველასთან მაინც ერთი მეთოდის გამოყენება არის საჭირო.		
10	ყველა შუბ მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა.		

V. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 1 გ – სასწავლო მიზნები

- | | |
|-------------|----------------|
| 1. სასწავლო | ა. მოვალეობა |
| 2. ეთნიკური | ბ. მონაწილეობა |

- | | |
|-----------------------|-------------------|
| 3. შეხედულებების | გ. გაზიარება |
| 4. შეზღუდული | დ. უფლება |
| 5. საზოგადოების | ე. უმცირესობა |
| 6. განათლების მიღების | ვ. გაგება |
| 7. აქტივობებში | ზ. ქცევა |
| 8. აზრის | თ. გამოხატვა |
| 9. გამოცდილების | ი. მიზნები |
| 10. არასასურველი | კ. შესაძლებლობები |

ბ) შესიტყვებები ჩასვით წინადადებებში ლოგიკურად (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა):

- 1. სასწავლო მიზნების** მიღწევა არა მარტო რთული, არამედ სასიამოვნო პროცესიცაა.
- უსახლკარო ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სოციალური ინტეგრაციის პრობლემის გადაჭრა -----.
- თუ შშმ მოსწავლეს შეუძლია საუბრის დროს -----
----- და მონაწილეობს დისკუსიაში, მისთვის ადვილი იქნება სასწავლო პროცესში ჩართვა.
- მსოფლიოში ყველა ბავშვს აქვს -----
----- იმ შემთხვევაშიც, თუ ის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა.
- საქართველოს თითქმის ყველა სკოლაში არიან -----
----- წევრები და მასწავლებლები ზრუნავენ ქართველ ბავშვებთან მათ ინტეგრაციაზე.
- როცა მოსწავლე არის ----- მქონე,
მისთვის უნდა გაკეთდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
- გაკვეთილზე მოსწავლის ----- მიზანი
შეიძლება იყოს დაბალი მოტივაცია.
- სასურველია, სკოლაში ხშირად ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები, სადაც მოხდება დამწყები მასწავლებლებისთვის -----.
- მოსწავლეს თავისუფლად უნდა შეეძლოს მსჯელობა და საკუთარი -----
-----.
- სასკოლო ----- აუცილებელია შშმ
მოსწავლის კოგნიტური უნარების განვითარებისთვის.

VI. ა) შეავსეთ ცხრილი:

გუშინ მთელი დღე	გუშინ	დღეს	ხვალ	უნდა
თანამშრომლობდა	ითანამშრომლა	თანამშრომლობს	ითანამშრომლებს	ითანამშრომლოს
			გაიაზრებს	
	იმსჯელა			
		ინერგება		
იზრდებოდა				
				შეასრულოს
	იგულისხმა			
		აკონტროლებს		
მოწმდებოდა				
			მოითხოვს	
				დამუშავდეს

ბ) გმნის საჭირო ფორმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში: ჩვენ აუცილებლად ----**ვითანამშრომლებთ**---- „მასწავლებლის სახლთან“, რადგან იქ ძალიან კარგი კონსულტანტები ჰყავთ.

1. -----
2. -----
3. -----
4. -----
5. -----
6. -----
7. -----
8. -----
9. -----
10. -----

VII. ა) წაიკითხეთ წინადადებები და შეურჩიეთ სწორი დასასრული:

1. განათლების მიღების უფლება ...

2. ინკლუზიური განათლება გულისხმობს ...
3. საჭიროა საზოგადოების მხრიდან ყურადღების მიქცევა ...
4. მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის შემდეგ ...
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აღწერს ...
6. ინკლუზიური განათლების მიზანია ...
7. შშმ მოსწავლეს დახმარება სჭირდება ...
8. შშმ მოსწავლისთვის შეიძლება უფრო ადვილი იყოს ...
9. სსმ მოსწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით ...
10. ინკლუზიური განათლება სჭირდებათ არა მარტო შშმ ...

ა. ყველა ბავშვს აქვს.

- ბ. არამედ უსახლკარო და სოციალური პრობლემების მქონე ბავშვებსაც.
- გ. ურთიერთობა უფროსებთან, ვიდრე თანატოლებთან.
- დ. ყველა ბავშვმა მიიღოს ხარისხიანი განათლება.
- ე. სკოლაში არის სპეციალური უნარების მქონე მასწავლებელი.
- ვ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში.
- ზ. მასწავლებელი განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს.
- თ. არა მარტო იმაში, რომ ინფორმაცია სწორად გაიგოს, არამედ იმაშიც, რომ საკუთარი შეხედულებები ეფექტურად ჩამოაყალიბოს.
- ი. რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, რომ შშმ მოსწავლე ყოველთვის იყოს ჩართული სასწავლო პროცესში.
- კ. რომ მოხდეს შშმ ბავშვების სოციალური ინტეგრაცია.

ბ) ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ა									

VIII. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით: გუშინ / ხვალ / უნდა

1. ელიზბარი ყველა გაკვეთილს კარგად სწავლობს.

ელიზბარმა გუშინ ყველა გაკვეთილი კარგად ისწავლა. _____

ელიზბარი ხვალ ყველა გაკვეთილს კარგად ისწავლის. _____

ელიზბარმა ყველა გაკვეთილი კარგად უნდა ისწავლოს. _____

2. მოსწავლე მასწავლებლისგან დადებით უკუკავშირს იღებს.

3. მასწავლებელი შშმ მოსწავლეს ეხმარება რთული პრობლემების გადაჭრაში.

4. მასწავლებელი ადგენს მოსწავლეების შესაძლებლობებს.

5. სწავლების შედეგების გაუმჯობესების მიზნით იქმნება მასწავლებელთა სპეციალური ჯგუფები.

6. ისე აღწერს შშმ მოსწავლის ჩართვის პროცესს გაკვეთილში.

7. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელს სასწავლო გეგმის შესრულებაში.

8. ბავშვები იცავენ შშმ თანაკლასელთა უფლებებს.

9. მასწავლებელი გაკვეთილის პროცესში განსხვავებულ აქტივობებს იყენებს.

10. კოტე კარგი ქცევისთვის ქებას იმსახურებს.

IX. ისაუბრეთ თემაზე „ინკლუზიური განათლება“. გამოიყენეთ სიტყვები:

თანატოლი, გაკვეთილის თემა, იცავს, ინტეგრაცია, აჩვენებს, პრობლემა, მონაწილეობს, უმცირესობა, ითხოვს, სახალისო აქტივობა, საზოგადოება, მოვალეობა, მეთოდი, იყენებს, უფლება, მოტივაცია, საჭიროების მქონე, გაუმჯობესება, ჩართვა, შშმ, სსსმ, თანატოლები, მშობელი, სპეციალური დახმარება.

X. წერილობითი ფორმით მიეცით კოლეგებს რჩევა საკუთარი გამოცდილების საფუძველზე:

1. პრობლემა: მესამეკლასელ სალომეს მეტყველების პრობლემა აქვს. გაუგებრად საუბრობს და ამიტომ თითქმის არ აქვს კომუნიკაცია სხვა ბავშვებთან. როგორ დავეხმარო?

რჩევა:

2. პრობლემა: მეცხრეკლასელი ზაზა საშინლად იქცევა – მთელი გაკვეთილი საუბრობს და არაფრის მოსმენა არ უნდა. ის სხვა ბავშვებსაც ხელს უშლის. რა გავაკეთო, რომ მისი მოტივაცია გაიზარდოს?

რჩევა:

3. პრობლემა: ჩემი მიზანია, მოსწავლეებში სოციალური აზროვნების განვითარება. სწავლებისას რომელი მეთოდი გამოვიყენო?

რჩევა: -----

4. პრობლემა: ჩემს კლასში არიან ეთნიკური უმცირესობის წევრები. ისინი კარგი მეგობრები არიან, მაგრამ საერთოდ არ თანამშრომლობენ ქართველ ბავშვებთან. როგორ დავაკავშირო მათი ინტერესები და სურვილები?

რჩევა: -----

5. პრობლემა: როგორ შევუწყო ხელი ჩემს მოსწავლეებს კრიტიკულ აზროვნების უნარის განვითარებაში? ხშირად მათ საერთოდ არ აქვთ სურვილი, თანატოლებს გაუზიარონ თავიანთი შეხედულებები.

რჩევა: -----

I. წაიკითხეთ წინადადებები. ზმნები ჩასვით საჭირო ფორმაში:

ნიმუში: მასწავლებელმა ყოველთვის უნდა --- შეაქოს --- ბავშვი სიბეჯითისთვის.

1. პედაგოგმა უნდა (იცავს) ----- სწავლების ჰუმანისტური მოდელის მთავარი პრინციპი - თითოეული მოსწავლე განსაკუთრებულია და პატივისცემას იმსახურებს.
2. სანამ მოსწავლეებს საშინაო დავალებას მივცემთ, აუცილებლად უნდა (აჩვენებს) ----- ნიმუში.
3. მინდა ბავშვებმა (აცნობიერებს) -----, რომ სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვა ხელს უწყობს ცოდნის დაგროვებას.
4. მინდა ბავშვებთან ერთად (ადგენს) ----- კლასის „კონსტიტუცია“, ანუ ქცევის წესები.
5. მასწავლებელმა უნდა (აკონტროლებს) -----, როგორ ასრულებენ დავალებებს მოსწავლეები.
6. შეიძლება დამოუკიდებელი მუშაობით უკეთეს შედეგს (აღწევს) -----, ვიდრე ჯგუფური აქტივობის გამოყენების დროს.
7. თუ გინდა ეფექტურად (მართავს) ----- კლასი, საგაკვეთილო პროცესი საინტერესო უნდა იყოს ბავშვებისთვის.
8. ძალიან მინდა (ათვალიერებს) ----- ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა, რომელშიც ჩვენი სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობენ.
9. როცა კლასზე იღებ პასუხისმგებლობას, უნდა (გულისხმობს) -----, რომ ყველა მოსწავლეზე არის საჭირო ზრუნვა.
10. მასწავლებელმა კომენტარი ან წერილობითი, ან ვერბალური ფორმით უნდა (აწვდის) ----- მოსწავლეს, რომ მან სწორად შეაფასოს საკუთარი ცოდნის დონე.

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში: 3 ა – ემოციების გამოხატვა

- | | |
|--------------|----------------|
| 1. ეთნიკური | ა. გამოხატვა |
| 2. უსაფრთხო | ბ. კონკურენცია |
| 3. ემოციების | გ. გაზიარება |

- | | |
|--------------------|-------------------|
| 4. მოსწავლის | დ. გარემო |
| 5. გამოცდილების | ე. შეფასება |
| 6. განმავითარებელი | ვ. კომუნიკაცია |
| 7. სასჯელის | ზ. თვისებები |
| 8. პიროვნული | თ. მოდელი |
| 9. ჰუმანისტური | ი. უმცირესობა |
| 10. ეფექტური | კ. შესაძლებლობები |
| 11. ჯანსაღი | ლ. ფორმა |

ბ) მიღებული შესიტყვებები საჭირო ფორმით ჩასვით წინადადებებში:

ნიმუში: სასურველია, მასწავლებელს შეეძლოს დადებითი ---- ემოციების გამოხატვა ----, როცა მისი მოსწავლეები კარგად ითვისებენ ახალ მასალას.

1. სასურველია, კლასში იყოს -----, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება კონკურენტულ გარემოში.
2. სწავლების ჰუმანისტური მეთოდის გამოყენების დროს ბავშვები ერთად მიდიან შეთანხმებამდე, როგორი უნდა იყოს წახალისებისა და ----- კლასში.
3. მართალია, ----- მუშაობა ძნელია დამწყები მასწავლებლისთვის, მაგრამ ძალიან კარგია გამოცდილების დაგროვებისთვის.
4. საჭიროა, ყოველთვის დავიცვათ სწავლების ----- მთავარი მოთხოვნა - გაკვეთილი ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეზე.
5. ცნობილია, რომ ----- ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია პროფესიული განვითარებისათვის.
6. მასწავლებელი ეხმარება შშმ მოსწავლეს თანაკლასელებთან ----- უნარის განვითარებაში.
7. ----- მიზანია მოსწავლის კოგნიტური უნარების განვითარება, ამიტომ მასწავლებელი ნიშანს არ წერს.
8. სკოლამ არა მარტო ფიზიკურად, არამედ ემოციურად ----- უნდა შეუქმნას მოსწავლეებს.
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნამდე მასწავლებელი ყოველთვის ადგენს შშმ ----- და ინტერესებს.
10. შეფასება ობიექტურია, თუ მხოლოდ მოსწავლის ცოდნის ხარისხზე დამოკიდებული და არა მასწავლებლის ----- ან მის შეხედულებებზე.

III. წინადადებებში შესაბამის ადგილზე საჭირო ფორმით ჩასვით მოცემული ფრაზები:

ნიმუში: გთხოვთ, მობრძანდეთ ჩვენს სკოლაში - თქვენ აქ დაგხვდებათ სასიამოვნო გარემო და ყურადღებიანი პერსონალი.

გთხოვთ, მობრძანდეთ, აქედან გამომდინარე, ხელს უშლის, როგორც ვიცით, არასასურველი ქცევა, შედეგზე გადის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, ცდილობს, გაიგოს, სასურველია, კედელზე კიდია.

1. განათლების მიღება ყველა ბავშვის უფლებაა, -----
--, სსსმ ბავშვსაც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თანატოლებთან ერთად შეიძინოს ცოდნა.
2. მასწავლებელი ----- კლასის ძლიერი და სუსტი მხარეები და ისე შექმნას გაკვეთილის გეგმა.
3. -----, ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში იყენებენ შეფასების ორ ფორმას: განმავითარებელსა და განმსაზღვრელს.
4. მასწავლებელი -----, როცა აქტიურად თანამშრომლობს არა მხოლოდ „მასწავლებლის სახლის“ კონსულტანტებთან, არამედ კოლეგებთანაც.
5. სკოლა ხელს უწყობს -----
----- ბავშვის სოციალურ ინტეგრაციას.
6. წელს მებუთეკლასელებმა შექმნეს თავიანთი კლასის „კონსტიტუცია“ და ახლა ის -----
-----, რომ ყველამ წაიკითხოს.
7. როცა მოსწავლე ----- თანაკლასელებსა და მასწავლებელს, შეიძლება მას უნდა, რომ ყურადღება მიაქციონ.
8. გაკვეთილზე ბავშვის ----- მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს. მაგალითად, აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი.
9. მრავალწლიანი გამოცდილება აჩვენებს, რომ -----, მშობელმა აქტიურად ითანამშრომლოს სკოლასთან.
10. აუცილებელია, -----
--- ბავშვსა და მის თანაკლასელებს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეთ.

IV. წაიკითხეთ წინადადებები და ჩაწერეთ საჭირო ფორმა:

მინდა-გინდა-უნდა

ნიმუში: სკოლამ ხელი --უნდა-- შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ აღზრდასა და განვითარებას.

1. სწავლების შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ----- სკოლაში შევქმნა სპეციალური ჯგუფი.

2. თუ ----- სასურველ შედეგზე გასვლა, სწორად უნდა განსაზღვრო სწავლების მიზნები.
3. ბავშვმა სკოლაში ხარისხიანი განათლება ----- მიიღოს, რომ ცოდნა ეფექტურად გამოიყენოს პრაქტიკაში.
4. გამჭვირვალე შეფასების დროს მოსწავლეებმა თვითონ ----- მიიღონ მონაწილეობა შეფასების კრიტერიუმების შექმნაში.
5. მოსწავლეს შემაჯამებელი შეფასება ----- მიეცე არა მხოლოდ წლის ბოლოს, არამედ თითოეული კონკრეტული საკითხის დასრულების შემდეგაც.
6. სემესტრის ბოლოს რისი გაკეთება უფრო -----: თვითშეფასების თუ ურთიერთშეფასების? რომელია უფრო ეფექტური?
7. მასწავლებელს ყოველთვის -----, რომ ზუსტად განსაზღვროს, რა და როგორ გაიგეს მისმა მოსწავლეებმა.
8. ----- გავიგო, როგორ მოვაგვარო კლასში დისციპლინის პრობლემა.
9. როცა -----, რომ კლასში იყო ჯანსაღი კონკურენცია, ვიყენებ თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს.
10. თანამშრომლობითი სწავლება ----- დაეხმაროს ბავშვს სოციალური აზროვნების განვითარებაში.



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- გურამ, იყავი სემინარზე?
- როგორ არა, თამრიკო, ვიყავი.
- რა საკითხზე ისაუბრეს?
- „ინკლუზიური განათლება და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები“.
- რა საინტერესოა!
- მართლა ძალიან საინტერესო იყო. შეხვედრაზე ითქვა, რომ უკვე ----- ახალი სახელმძღვანელო „სპორტი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის“.
- ეს სახელმძღვანელო ბავშვებისთვისაა?
- არა, ჩვენთვის, ანუ სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისთვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები არა მხოლოდ ----- უნდა იყვნენ სპორტით, არამედ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სასკოლო -----.

- ეს ადვილი არ იქნება.
- რა თქმა უნდა, ადვილი არ იქნება, მაგრამ ჩვენ უნდა ----- მათი ინდივიდუალური შესაძლებლობები. შეხვედრაზე ისაუბრეს, თუ როგორ ხდება სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების ----- სპორტსა და ფიზიკურ -----.
- ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.
- ნამდვილად. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, ----- რა გააკეთოს, იმიტომ რომ ამ ბავშვებს აქვთ ----- სპეციალური საჭიროებები: ან ფიზიკური, ან -----.
- მართალია, გურამ, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს ისეთივე ----- აქვთ მიიღონ მონაწილეობა -----, როგორც სხვა მოსწავლეებს.
- ცხადია. ახალი სახელმძღვანელო -----, რომ უფრო ეფექტურად ვიმუშავოთ შშმ ბავშვებთან.
- გასაგებია. წარმატებები, გურამ!
- გმადლობთ, თამარიკო.

VI. ხაზი გაუსვით გზის სწორ ფორმას:

ნიმუში: მე ყოველთვის პატივს **სცემ/ვცემ** მოსწავლის სურვილსა და შეხედულებას.

ა) დრო

1. გასული წლიდან სკოლებში **ინერგება/დანერგილა** მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ფორმები.
2. მართალია, სწავლა მხოლოდ ერთი კვირის წინ დაიწყო, მაგრამ უკვე **მოწმდება/შემოწმებულია** საშინაო დავალებები.
3. საკლასო სამუშაო ჯერ არ **სწორდება/გასწორებულია**, ამიტომ განმსაზღვრელ შეფასებას მასწავლებელი შემდეგ კვირაში დაწერს.
4. ჩვენს სკოლაში უამრავი საინტერესო ღონისძიება **ეწყობა/მოწყობილა** და დიდი მოწონებაც დაუმსახურებია.
5. ჩვენს სკოლაში ინკლუზიური განათლების შესახებ ტრენინგი ჯერ არ **ტარდება/ჩატარებულია**.

ბ) პირი

1. მასწავლებელი აუცილებლად **აჩვენებს/მაჩვენებს** მოსწავლეს ნიმუშს, თუ როგორ სრულდება დავალება.
2. რა კარგია, რომ სასკოლო კონკურსში **მონაწილეობ/ვმონაწილეობ**; ასე მნიშვნელოვან გამოცდილებას დააგროვებ.
3. მოსწავლეთა შედეგებს რომ **ვანალიზებ/ანალიზებს**, უკეთესად ვიგებ, რა იყო მათთვის რთული.
4. როცა **ცდილობს/ცდილობ**, რომ ყველაფერი კარგად გააკეთო, შედეგზე აუცილებლად გახვალ.
5. ყოველთვის სწავლების დემოკრატიულ სტილს **ირჩევს/ვირჩევ**, იმიტომ რომ ამ დროს აქტიურად ვთანამშრომლობ მოსწავლეებთან.

VII. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით; გამოიყენეთ კონსტრუქცია:
... + ნათ. ბრ. + ის ნაცვლად/განმავლობაში

უკუკავშირი ყურადღება კომენტარი დისკუსია დისციპლინა სემესტრი
 თვითნაღიბი გაკვეთილი ნეგატიური მონაწილეობა შემაჯამებელი

ნიმუში: მასწავლებელმა უნდა იზრუნოს, რომ მოსწავლეს სკოლაში (ნეგატიური) **ნეგატიურის** ნაცვლად, პოზიტიური გარემო დახვდეს.

1. -----

2. -----

3. -----

4. -----

5. -----

6. -----

7. -----

8. -----

9. -----

10. -----

VIII. გამოიყენეთ სხვათა სიტყვის –ო და ნიმუშის მიხედვით შეცვალეთ წინადადებები:

ნიმუში: მასწავლებელმა თქვა, რომ ხვალ ექსკურსიაზე წავალთ.

მასწავლებელმა თქვა, ხვალ ექსკურსიაზე წავალთ.

1. ნაკლებად სასურველია, რომ მასწავლებელმა სწავლებისას მხოლოდ ლექციის მეთოდი გამოიყენოს. ----

2. შეხვედრაზე თქვეს, რომ სკოლა „იმედში“ ყველა საჭირო სასწავლო რესურსი არის.-----

3. ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა მაშინ იწყება, როცა მასწავლებელი კლასში შედს.-----

4. კონსულტანტმა თქვა, რომ დისკუსიის პროცესში ბავშვები კრიტიკულ აზროვნებას სწავლობენ. -----

5. მასწავლებელმა ეფექტურად რომ წარმართოს კლასთან კომუნიკაცია, მარტივად და გასაგებად უნდა ისაუბროს. -----

6. აბრაამ მასლოუ ფიქრობს, რომ მოტივაცია დამოკიდებულია მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ----

7. კახამ ინტერნეტში წაიკითხა, რომ მოსწავლის მოტივაციაზე გავლენას ახდენენ კოგნიტური ფაქტორები.

8. დედამ თქვა, რომ გიორგის ყველაზე მეტად მათემატიკის გაკვეთილი უყვარს. -----

9. თეკლამ თქვა, რომ გურამი ბევრს მუშაობს თავისი შშმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე.

10. გამოცდილებამ აჩვენა, რომ სწავლის პროცესში აზროვნება უფრო აუცილებელია, ვიდრე ცოდნის დაგროვება. -----

IX. ცხრილში ჩაწერეთ მოცემული სიტყვების მნიშვნელობა:

ნიმუში: სასწავლო პროცესის რეგულაციის ძირითადი დოკუმენტი - ეროვნული სასწავლო გეგმა (ე ს გ).

1	სასწავლო პროცესის რეგულაციის ძირითადი დოკუმენტი	ესგ
2		კოგნიცია

3		დისკუსია
4		შშმ
5		დისციპლინა
6		პროგრესი
7		სსსმ
8		რეკომენდაცია
9		კომპეტენცია
10		ისგ

X. ა) წაიკითხეთ ტექსტი და გახაზეთ უცნობი სიტყვები:

გასულ კვირას ჩატარდა დისკუსია ჰაინრიხ ბიოლის ფონდში, სადაც ითქვა, რომ ინკლუზიური განათლების სფეროში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა. მაგალითად, ერთ სკოლაში უკვე ორი წელია სწავლობს შშმ ბავშვი და მასწავლებელი მხოლოდ ახლა დაინტერესდა, მას ლაპარაკი შეუძლია თუ არა.

ფიქრობთ, რომ ბავშვის სკოლაში შეყვანა საკმარისია, არადა ხშირად ის შეიძლება გარიყული იყოს, ცალკე მაგიდასთან იჯდეს და არავინ ეკითხებოდეს, როგორ გრძნობს იქ თავს.

შეიძლება ითქვას, რომ პრობლემა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაა და ამაზე ზრუნვა სკოლიდან უნდა დავიწყოთ.

შშმ ბავშვების მიმართ მასწავლებლებისა თუ კლასელების ჯანსაღ დამოკიდებულებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ბავშვის შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებს.

ინკლუზიური განათლება საქართველოში ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 2006 წლიდან დგამს ნაბიჯებს.

ბ) ისაუბრეთ თემაზე „ინკლუზიური განათლება საქართველოში“. გამოიყენეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები და ფრაზები:

მოსასმენი დიალოგები

I თავი – გაკვეთილის პროცესი

1.1. თავის მე-9 სავარჯიშო



IX. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)
- გამარჯობა, თეა.
 - გაგიმარჯოთ, ქალბატონო თამარ.
 - თეა, დღეს **შეხვედრაა კათედრაზე**. ხომ მოხვალთ?
 - ეს ჩემი მოვალეობაა, აუცილებლად მოვალ, ქალბატონო თამარ. ჩემთან საქმე გაქვთ?
 - ორი კვირის წინ სკოლაში ახალი **მასწავლებელი მოვიდა**, ლიბა. წელს დაამთავრა უნივერსიტეტი.
 - დიახ, უკვე გავიცანი. ძალიან **სასიამოვნო ახალგაზრდა** ქალია.
 - მინდა, რომ **აქტიურად ითანამშრომლოთ**. ის იქნება პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც **გეგმავს და ატარებს** გაკვეთილს. აჩვენე, რა უნდა **გააკეთოს**.
 - გასაგებია. დიდი სიამოვნებით.
- ბ)
- ლიბა, **მოგწონთ ჩვენი სკოლა?**
 - დიახ, ძალიან. აქ ჩემი უმცროსი და სწავლობს, ნინო.
 - რომელ კლასშია ნინო?
 - მეათეში.
 - **მე ვიცნობ ნინოს**. „წიგნის ფესტივალისთვის“ **გამოფენას ვამზადებთ**. ნინოც მონაწილეობს.
 - მართლა? რა კარგია! თქვენ რომელ **კათედრაზე მუშაობთ?**
 - მე თეა მქვია და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ვმუშაობ.
 - ძალიან სასიამოვნოა. მე ლიბა ვარ. ალბათ, ჯერ **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრაზე ვიმუშავე. ქალბატონი თამარი ფიქრობს, რომ **კარგ გამოცდილებას მივიღებ**.
 - **აუცილებლად**. ნახვამდის, ლიბა.
 - ნახვამდის, თეა.

1.2. თავის მე-3 სავარჯიშო



III. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ლიბა, გამარჯობა. როგორ ხარ?
- გმადლობთ, თეა, არა მიშავს. დრო გაქვს? რაღაც მაინტერესებდა.
- სამწუხაროდ, ახლა არ მცალია, **გაკვეთილის გეგმა უნდა დავწერო.**
- მაშინ **გაკვეთილების შემდეგ** კაფეში წავიდეთ ნამცხვარსა და ყავაზე; თან საქმეზე ვისაუბროთ, რამდენიმე შეკითხვა მაქვს.
- დიდი სიამოვნებით. **რა გაინტერესებს?**
- გაკვეთილის გეგმის შესახებ მინდა საუბარი.
- ეს მართლაც მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც ვიცით, კარგი გეგმა **წარმატებული გაკვეთილის საფუძველია.** რომელ საათზე შევხვდეთ?
- ალბათ, **ხუთისთვის.**
- კარგი. შეხვედრამდე.

ბ)

- აქ პირველად ვარ. რა კარგი კაფეა!
- მართლაც კარგია. როცა დრო მაქვს, ყოველთვის აქ მოვდივარ.
- ლიბა, მოგწონს ჩვენს სკოლაში მუშაობა?
- ძალიან. **ადვილი არ არის,** მაგრამ საინტერესო და სახალისოა. ბავშვებს იმდენი შეკითხვა აქვთ, რომ ყველას ვერც უპასუხებ!
- კი, ნამდვილად ასეა, მაგრამ, მგონი, შენც გაქვს შეკითხვა.
- მართალი ხარ, თეა, **დამოუკიდებლად ვიმუშავე** და არ ვიცი, გაკვეთილის გეგმა სწორად დავწერე თუ არა. ვფიქრობ, **გავითვალისწინე, რა იციან ჩემმა მოსწავლეებმა** და ახალი რა უნდა ისწავლონ.
- ყოჩაღ, ლიბა. მთავარი სწორედ ესაა.
- თეა, **საშინაო დავალების შემოწმება** აუცილებელია გაკვეთილის დასაწყისში?
- კი, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ეს გაკვეთილის ბოლოს გააკეთო.
- თუ დრო დამრჩა, ახალი გაკვეთილის შესახებ შეიძლება შეკითხვების დასმა?
- რა თქმა უნდა. **ეს კარგი აქტივობაა.** მოსწავლეებს თავისუფლად მსჯელობის უნარს განუვითარებს.
- ჩემთვის ყველაზე რთული **აქტივობების დეტალური აღწერა** იყო.

- არა უშავს. მალე აღარ იქნება რთული.
- იმედია! გმადლობ, თეა.
- არაფრის.

1.3. თავის მე-4 სავარჯიშო



IV. ა) მოისმინეთ დიალოგი:

- თეა, დაკავებული ხარ? საქმე მაქვს შენთან.
- ერთი წუთით, ლიზა, ახლავე მოვალ. ინტერნეტში საინტერესო ინფორმაციას ვკითხულობ.
- რის შესახებ არის ინფორმაცია?
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ფორმების შესახებ.
- მართლა? კონსტრუქტივისტული გაკვეთილის საკითხი მეც მაინტერესებს.
- მოდი, ერთად წავიკითხოთ. ნახე, რას წერენ: „როცა მოსწავლეებს აქვთ მოტივაცია, ისინი უფრო მეტი ხალისით სწავლობენ“.
- მართალია, მაგრამ მოტივაცია თუ არ აქვს მოსწავლეს, როგორ უნდა განუვითაროს მასწავლებელმა?
- ეს რთული არ არის. პრობლემის გადაჭრა მოსწავლისთვის ძალიან საინტერესო პროცესია. როცა მოსწავლეები ფიქრობენ პრობლემის გადაჭრაზე, მასწავლებელი მათ უნდა დაეხმაროს, შეკითხვები დაუსვას და ამოგონება ასე განუვითაროს.
- გასაგებია.

II თავი – მოსწავლის აზროვნება, ინტელექტი და კოგნიტური განვითარება

2.1. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ქალბატონო თამარ, იცით **სწავლა როდის იწყება?**
- დიახ, განათლების სამინისტრომ ამ საკითხზე **გადაწყვეტილება** უკვე მიიღო. წელს საქართველოს სკოლებში სწავლა 15 სექტემბერს **დაიწყება**.
- ალბათ, სკოლაში დიდი ღონისძიება გაიმართება.
- რა თქმა უნდა, ლიზა! ამის გამო აგვისტოში **ინტენსიურად ვმუშაობდით**. ადრე ყოველთვის **ვაკეთებდით** გამოფენას, წელს კონცერტს ჩავატარებთ. კონცერტის შემდეგ კი პირველკლასელებს სურათებიან წიგნებს და Notebook PC-საც ვაჩუქებთ. ეს მათი **მოტივაციისათვის** ძალიან კარგია.
- რა კარგია! როგორ მიხარია, რომ ამ სკოლაში დავიწყე მუშაობა! აქ დიდ **გამოცდილებას** მივიღებ.

ბ)

- ლიზა, დაიმახსოვრეთ, კლასში მოსწავლეების **აზროვნება** ერთნაირი არ არის. თქვენ ჯერ **საკმარისი გამოცდილება** არ გაქვთ, ამიტომ აქტიურად უნდა **ითანამშრომლოთ** კათედრის სხვა მასწავლებლებთან.
- დიახ, ამას აუცილებლად **გავითვალისწინებ**. უნივერსიტეტშიც ვისწავლეთ, რომ ყველა ბავშვს არ აქვს სწავლის ერთნაირი **სურვილი და მოტივაცია**.
- რა თქმა უნდა, ასეა. მასწავლებლის მიზანი კი სწორედ ისაა, რომ ყველა მოსწავლეს განუვითაროს **შემეცნების უნარი**.
- დიახ, გასაგებია. საჭირო **მეთოდების შესახებ** ახალ ინფორმაციას ხშირად ვნახულობ სამინისტროს ვებგვერდზე.
- ძალიან კარგი.

2.2. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ლიზა, შენი **სახლიდან სკოლამდე** ბევრი დრო გჭირდება?
- არა, მე აქვე ახლოს ვცხოვრობ, ბოტანიკურ **ბაღთან**. დილით ან ჩემი ძმის **მანქანით** მოვდივარ, ან **საზოგადოებრივი** ტრანსპორტით და სულ 10 წუთი მჭირდება. თუ **ფეხით** წამოვალ, მაშინ - 20-25 წუთი.
- მართლა? რა კარგია. მე კი შორს ვცხოვრობ **სკოლიდან** და **აქამდე** რომ მოვიდე, ბევრი დრო მჭირდება - მთელი ერთი საათი და თხუთმეტი წუთი.
- მეტრო?
- მეტროც შორსაა, ამიტომ დილით ადრე **მეტრომდე** ფეხით მივდივარ, **მეტროდან სკოლამდე** კი - ავტობუსით.
- უიიი...

- არა უშავს, პრობლემა არაა, მაგრამ ახლა დახმარება მჭირდება. დღეს გაკვეთილების შემდეგ ხელოვნების კაბინეტისთვის ბევრი რამ **უნდა შევიძინო**. თუ შეიძლება, ნივთებს შენთან მოვიტან. ხვალ დილით კი **შევხვდეთ** შენს **სახლთან** და ყველაფერი ერთად მოვიტანოთ სკოლაში. რას ფიქრობ ამ იდეის შესახებ?
- ძალიან კარგი ამრია. თუ გინდა, **დიდი სიამოვნებით** წამოვალ შენთან ერთად მაღაზიაშიც.
- დიდი მადლობა, ლიბა.

2.3. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- მოგესალმებით, მე ვარ გიორგი ბოკუჩავა, „მასწავლებლის სახლის“ კონსულტანტი. დღეს ჟან პიაჟეს **თეორიაზე ვიმსჯელებთ**. რა არის თქვენთვის ცნობილი ამ ადამიანის შესახებ?
- ის ხომ შვეიცარიელი ფსიქოლოგი და ევროპის რამდენიმე **უნივერსიტეტის პროფესორია?**
- დიახ, ასეა. კიდევ რა იცით მის შესახებ?
- პიაჟემ ჩამოაყალიბა თეორია ბავშვის კოგნიტური განვითარების **ოთხი სტადიის** შესახებ.
- მართალია. **მოგწონთ** პიაჟეს თეორია?
- დიახ, პიაჟე **სწორად ფიქრობს**, რომ მასწავლებელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს მოსწავლის აზროვნების პროცესის განვითარებისთვის. **მართლაც**, მთავარი მართლ ის კი არ არის, მოსწავლის **პასუხი სწორია თუ არა**. საქმე ისაა, რა **გონებრივი პროცესი** გამოიყენა ამ პასუხის მიღებისათვის.
- რას ამბობს პიაჟე, როდის არის **ფეექტური** სასწავლო პროცესი?
- თუ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ბავშვის კოგნიტური განვითარების **არსებული სტადია**, მაშინ შედეგი აუცილებლად კარგი იქნება.
- დიახ, დიახ, ასეა, მაგრამ კიდევ ერთი რამ არის მნიშვნელოვანი: მართალია, განვითარების სტადიებს ყველა ბავშვი **ერთნაირი თანმიმდევრობით** გადის, მაგრამ ტემპი **განსხვავებულია**. მასწავლებელმა სასწავლო დავალებები ცალკე ჯგუფებისთვის უნდა დაგეგმოს და არა მთელი კლასისთვის.
- ჩვენ **ნიშანსაც** განვითარების ინდივიდუალური სტადიის **გათვალისწინებით** ვწერთ.
- რა თქმა უნდა, ასეა. თქვენ იცით, როგორი მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში **მოსწავლის მოტივაცია**. ნიშნის დაწერა კი ამაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს.

III – აზროვნება, მოსწავლის აზროვნებისა და განვითარების დონეები

3.1. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ლიბა, ცოტა **თავისუფალი დრო გაქვს?**
- კი, ახლა მაქვს დრო. რა გინდა?
- კრიტიკული აზროვნების ისტორიის შესახებ პრეზენტაცია უნდა გავაკეთო. შენი **დახმარება მჭირდება.**
- დიდი სიამოვნებით. ნინო, იცი, რომ კრიტიკული აზროვნება უკვე 2500 წელი **ვითარდება?**
- მართლა? ვინ იყო პირველი ადამიანი, **რომელიც** კრიტიკულად აზროვნებდა?
- **სულ პირველი** ვინ იყო, არ ვიცი, მაგრამ **ერთ-ერთი პირველი** ნამდვილად სოკრატე იყო, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი.
- და რაო, **რა თქვა** სოკრატემ კრიტიკული აზროვნების შესახებ?
- სოკრატემ თქვა, რაც უფრო მეტი იცი **კონკრეტული საკითხის შესახებ**, უფრო კარგად ხედავ, რომ არაფერი იციო.
- ეგ როგორ?
- როგორ და ასე: რაც უფრო **ბეჯითად** სწავლობ, ხედავ, რომ კიდევ უფრო ბევრი უნდა გაიგო, **გაიაზრო** და ისწავლო.
- გასაგებია. იცი რა მაინტერესებს? შენ **იზიარებ** სოკრატეს **მოსაზრებას?**
- კი, ნინო, ვიზიარებ. ვფიქრობ, რომ **ნამდვილად ასეა**. სწავლის პროცესს ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე ვერ დაამთავრებს და ვერც **მიღებული** ცოდნა იქნება **საკმარისი**.

3.2. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- თეა, იცოდი, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო **ატარებს** ტრენინგებს **ახალგაზრდა** მასწავლებლებისთვის?

- არა. როდის იწყება?
- **უკვე დაიწყო.** გუშინ პირველი შეხვედრა **ჩაატარა** ქალბატონმა ნინო ხვედელიძემ.
- მართლა? რაზე ისაუბრეთ?
- ბლუმის **სააზროვნო დონეების** მიხედვით მოსწავლეებისათვის შეკითხვების დასმაზე.
- რა ცუდია, რომ ვერ მოვისმინე... ალბათ, ძალიან საინტერესო იყო.
- კი, მართლა საინტერესო იყო. ქალბატონმა ნინომ თქვა, რომ **სჯობს პირველად** შეკითხვების დასმა ცოდნის დონის მიხედვით დავიწყოთ.
- მართალია. ასეთ შეკითხვას **ძლიერი** ბავშვიც უპასუხებს და **სუსტიც**.
- კი, სწორედ ეს თქვა ქალბატონმა ნინომაც. ასე ყველა მოსწავლე **აქტიურ მონაწილეობას** მიიღებს საგაკვეთილო პროცესში. ბავშვები **გაიხსენებენ** წინარე ცოდნას.

ბ)

- შემდეგი ხომ გაგების დონეა?
- კი, ამიტომ შემდეგ ბავშვებს **საშუალება აქვთ**, საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ ინფორმაცია.
- შეიძლება ცხრილი ან სქემა რომ შეადგინონ ამ ეტაპზე?
- რა თქმა უნდა, გაგების შემდეგ **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება** მოდის. ბავშვები ინფორმაციას რამე ნიშნით **დაახარისხებენ** და სქემას ააგებენ.
- ანალიზი, სინთეზი და კრიტიკული ანალიზი ყველას არ შეუძლია, მაგრამ პირველ, მეორე და მესამე სააზროვნო დონეებზე **მთელი კლასი იმუშავებს**.
- ასეა, მაგრამ ქალბატონმა ნინომ თქვა, **ხან** მასწავლებლის და **ხან** ძლიერი მოსწავლეების დახმარებით სუსტი ბავშვებიც ყველაფერს გააკეთებენო.
- მართლაც, **გამოცდილებით ვიცი**, რომ დახმარება და **ჯგუფური მუშაობა** ძალიან ეფექტურია. ქალბატონ ნინოსთან მეორე შეხვედრა როდის არის?
- პარასკევს, 5 საათზე. მოხვალ?
- **აუცილებლად** მოვალ.

3.3. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- მოგესალმებით! ჩვენ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს - მე ვარ გიორგი ბოკუჩავა, „მასწავლებლის სახლის“ კონსულტანტი. **ვაგრძელებთ** ჩვენს ტრენინგს. დღეს **სწავლების თანამედროვე მეთოდებზე** ვიმსჯელებთ. რა არის თქვენთვის **ცნობილი** ამ მეთოდების შესახებ?

- სწავლების თანამედროვე მეთოდები **ორიენტირებულია** არა მარტო ცოდნაზე, არამედ უნარ-ჩვევების **განვითარებაზე**.
- მართალია. თქვენ, ალბათ, იცით, რომ სწავლების რამდენიმე ასეთი მეთოდი არსებობს და ერთ-ერთი **თამაშით სწავლებაა**.
- **შეიძლება** თამაშით სწავლების მეთოდი სკოლაშიც გამოვიყენოთ?
- რა თქმა უნდა, შეიძლება. **განსაკუთრებული** ეფექტი ამ მეთოდს **დაბალ** კლასებში აქვს.
- **მაღალ** კლასებში აღარ უნდა გამოვიყენოთ თამაშის მეთოდი?
- **რატომაც არა?** თამაში **რთული** სოციალურ-კულტურული ფენომენია. მისი გამოყენების დიდი გამოცდილება არსებობს. მასწავლებელთა დიდ ნაწილს სჭირდება თამაშის მეთოდი **სასწავლო მიზნებისათვის**.
- ყველა სახის თამაში შეიძლება გამოვიყენოთ სასწავლო მიზნით?
- არა, სასწავლო პროცესში იყენებენ თამაშის **რამდენიმე სახეს**.
- თამაშის მეთოდით მოსწავლეებს **დავეხმარებით** კოგნიტურ განვითარებაში?
- დიახ, დიახ. სწავლების პროცესში მოსწავლეები **თანმიმდევრობით გადიან** კოგნიტური განვითარების **დონეებს**. თამაშის მეთოდი მათ უვითარებს უნარ-ჩვევებს და უფრო **ადვილად** იაზრებენ საკუთარ **შეცდომებს**. მოტივაცია უფრო მაღალია.

შემაჯამებელი I

V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)
- მოგესალმებით, მე გიორგი ბოკუჩავა გახლავართ, „მასწავლებლის სახლის“ კონსულტანტი. დღეს ქართული **სკოლის პრობლემებზე** ვისაუბრებთ. შეგიძლიათ **დამისვით** კითხვები.
 - ბატონო გიორგი, დღეს **ბევრი ადამიანი ფიქრობს**, რომ მოსწავლეების ინტელექტის განვითარების დაბალ დონეზე **ინტერნეტი ახდენს გავლენას**. თქვენი აზრით, ეს ასეა?
 - არა, ვფიქრობ, ინტელექტის განვითარების დაბალი დონე **სწორედ იმის შედეგია**, რომ ახალგაზრდები ინტერნეტს **არასაკმარისად** და, რაც მთავარია, **არასწორად** იყენებენ.
 - პრობლემა **მხოლოდ** ეს არის?
 - რა თქმა უნდა, არა. ეს მხოლოდ **ერთ-ერთი პრობლემაა**.

ბ)

- თქვენი აზრით, კიდევ რომელი პრობლემების შესახებ **შეიძლება საუბარი?**
- პირველ რიგში, ესაა **სასწავლო მასალის ხარისხი** და ნაკლები მოტივაცია.
- ნაკლები მოტივაცია **მოსწავლეების მხრიდან?**
- დიახ, **ძირითადად** სწორედ მოსწავლეების მხრიდან.
- როგორ ფიქრობთ, რატომ არ აქვთ მოსწავლეებს **მაღალი მოტივაცია?**
- ჩემი აზრით, **ყველაზე მნიშვნელოვანი** ამ შემთხვევაში ისაა, რომ მოსწავლეს აღარ აქვს სკოლასთან და მასწავლებელთან **თანმიმდევრული თანამშრომლობის** და ამ გზით განათლების მიღების სურვილი. ის ხედავს, რომ თუ ბოლო ერთი ან ორი წელი მაინც **ისწავლის ბეჯითად**, ეს საკმარისი იქნება, რომ უნივერსიტეტის **სტუდენტი გახდეს**. ამიტომ ვფიქრობ, რომ „**სწავლა სწავლისთვის**“ კიდევ დიდხანს არ იქნება ჩვენს ქვეყანაში პოპულარული.
- **გასაგებია**. გმადლობთ.

IV თავი – მოსწავლის მოტივაცია და სასკოლო გარემო

4.1. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)
- გამარჯობა, ლიზა. როგორ ხარ?
 - გმადლობთ, ქალბატონო თამარ, კარგად. თავად როგორ ბრძანდებით?
 - მეც არა მიშავს. იცით, გუშინ ძალიან **დაკავებული ვიყავი** და ვერ გესაუბრეთ, ახლა კი მაქვს დრო და **სიამოვნებით გიპასუხებთ** კითხვებზე.
 - დიდი მადლობა, ქალბატონო თამარ, თუ ცოტა დრო გაქვთ, მაშინ მოტივაციის შესახებ გკითხავთ.
 - გისმენთ.
 - აბრაამ მასლოუ ამბობს, რომ მოტივაცია **მოთხოვნილებებზეა დამოკიდებული**. დიმიტრი უზნაძის აზრით კი, როგორც არის მოტივაცია, **ისეთი იქნება ქცევა**.
 - დიახ, ასეა.
 - ესე იგი, თუ მისი მოთხოვნილებები არ იქნება დაკმაყოფილებული მოსწავლე **ცუდად მოიქცევა?**

ბ)

- ნამდვილად ცუდად მოიქცევა; განსაკუთრებით კი **იმ შემთხვევაში**, თუ დაკმაყოფილებული არ იქნება **ისეთი** აუცილებელი მოთხოვნები, **როგორცაა** საკვების მიღება, დასვენება და ა. შ.
- როგორ, საჭმელი **უფრო** მნიშვნელოვანია, **ვიდრე** კარგი ნიშანი? მოტივაციისთვის საკმარისი არ არის მაღალი ნიშნის მიღების შესაძლებლობა?
- რა თქმა უნდა, საკმარისია, მაგრამ მაღალი მოთხოვნების დაკმაყოფილება **შესაძლებელია მხოლოდ** დაბალი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ. ბავშვისთვის **უფრო აუცილებელი** საკვები და დასვენებაა, **ვიდრე კარგი ნიშნები**.
- დიდი მადლობა. ყველაფერი გასაგებია. ახლა სულ **სხვანაირად დავცემავ** გაკვეთილს.
- არაფრის. **წარმატებები**, ლიზა.
- ნახვამდის, ქალბატონო თამარ, კიდევ ერთხელ გმადლობთ.

4.2. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- თეა, როგორ ხარ?
- კარგად. შენ როგორ ხარ?
- ისე რა. მოდი, ერთად წავიდეთ, **საქმე მაქვს შენთან**.
- მართლა? რა ხდება?
- **ისეთი არაფერი**. მინდა გკითხო, კლასში ბავშვებთან მუშაობის დროს რომელ მეთოდს უფრო ხშირად იყენებ დადებითი **უკუკავშირისთვის** - ვერბალურს თუ არავერბალურს? შენი აზრით, რომელი **უფრო ეფექტურია?**
- ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, **ვერბალური მეთოდი** უფრო ეფექტურია; ბავშვი **კონკრეტულად იგებს**, რას ფიქრობს მასზე მასწავლებელი.
- მართალია, მაგრამ მასწავლებლის **სიტყვების მოსმენა** კლასში ყველა ბავშვს შეუძლია და ეს მოსწავლისთვის ხშირად **სასიამოვნო არ არის**.

ბ)

- რა თქმა უნდა! სწორედ ასეთ შემთხვევაში ვიყენებ **არავერბალურ კომუნიკაციას** - ჩემი სახე და თვალები კარგად **გამოხატავს ემოციას**, ამიტომ ბავშვიც ზუსტად იგებს, **მომწონს** თუ არა მისი **ქცევა** ან პასუხი.
- კი, ასეა ნამდვილად. **შექება** ბევრს ნიშნავს ბავშვისთვის.

- რაც მთავარია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლის მიმართ მოსწავლის **დამოკიდებულებაზე**.
- თეა, **კომენტარს** ხშირად წერ მოსწავლის რვეულში?
- აუცილებლად! კომენტარი სჭირდება **ერთი მხრივ**, ბავშვს, **მეორე მხრივ** – მშობელს. კომენტარით **ვუზიარებ** მათ ჩემს დამოკიდებულებას ბავშვის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ. კომენტარში ყველაფერი **ხელისგულივით ჩანს!** შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე ეფექტური მეთოდია.
- მართალია. დიდი მადლობა, თეა.
- არაფრის, ჩემო კარგო. **შეხვედრამდე!**

4.3. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)
- მოგესალმებით, მე ვარ გიორგი ბოკუჩავა, „მასწავლებლის სახლის“ კონსულტანტი. ტრადიციულად, ვაგრძელებთ საუბარს სკოლის **პრობლემების შესახებ**. რა არის თქვენთვის ცნობილი რობერტ ბალფანცის შესახებ?
 - მგონი, ეს მეცნიერი მოსწავლისა და სკოლის ურთიერთობის **საკითხებს სწავლობს**.
 - მართალია. კიდევ რა იცით მის შესახებ?
 - ბალფანცის აზრით, თუ მოსწავლე სკოლაში **წარმატებული** არ არის, ხშირად ის **აღარ აგრძელებს** სწავლას.
 - თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?
 - ეს პრობლემა **ნამდვილად** არის. მაგალითად, წელს ჩვენი სკოლიდან რამდენიმე ბავშვი წავიდა. მათ **დაბალი ნიშნები** და ქცევის პრობლემები ჰქონდათ.
- ბ)
- თქვენი აზრით, რა იყო ამის **მიზეზი**?
 - **ალბათ**, მათთვის რთული იყო მასალა.
 - სკოლაში შექმნილი სასწავლო გარემო რამდენად იყო ამ ბავშვებისთვის **ფიზიკურად კომფორტული** და ემოციურად **უსაფრთხო**?
 - ჩვენს სკოლაში ნამდვილად **შესანიშნავი** გარემოა. რემონტის შემდეგ ახალი ავეჯი შევიძინეთ; განახლებულია ბიბლიოთეკის დარბაზი. საკლასო ოთახები **ნათელი** და **ლამაზია**. დიდ ყურადღებას ვაქცევთ მოსწავლეების **ფიზიკურ აღზრდასა** და ძირითადი მოთხოვნილებების **დაკმაყოფილებას**. სკოლა ბევრ **ღონისძიებას მასპინძლობს** – ხშირად ვაწყობთ კონკურსებსა და გამოფენებს. ყველა ბავშვს აქვს ამ აქტივობებში მონაწილეობის **საშუალება**.

- ეს ძალიან კარგია, მაგრამ **რა ხდება** გაკვეთილზე ან გაკვეთილის **შემდეგ?** მასწავლებლებსა და ბავშვებს შორის **კომუნიკაცია ეფექტურია?** სკოლაში არასასიამოვნო ფაქტები ხომ არ ყოფილა?
- გაკვეთილზე ნამდვილად ყველა ბავშვი **თანაბარ პირობებშია**. ყველას შეუძლია თავისუფლად გამოხატოს აზრი, ჩაერთოს დისკუსიაში. არასასიამოვნო ფაქტების შესახებ კი **ზუსტად არ ვიცი**, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები **ხდება ხოლმე**.
- ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კეთილგანწყობილი და დაცული გარემოთი. უნდა **გვახსოვდეს**, რომ უსაფრთხო სკოლის შექმნის პროცესი **არასდროს დასრულდება**.

V თავი – სწავლების ფორმები და კლასის მართვა

5.1. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- გამარჯობა, თეა, როგორ ხარ? რამდენი ხანია, **ერთმანეთი** არ გვინახავს. სად იყავი?
- დედაქალაქში ვიყავი **მივლინებით**. „მასწავლებლის სახლში“ **მოვისმინე** რამდენიმე ლექცია სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ.
- მართლა? რა კარგია! როგორ მინდა, **მეც მოვისმინო** ასეთი ლექციები.
- ჯერ **ზუსტად არ ვიცი**, მაგრამ შეიძლება **მომავალ** წელს შენ წახვიდე. კათედრის გამგემ თქვა, ახალგაზრდა მასწავლებლებს გამოცდილების დაგროვებაში უნდა დავეხმაროთ.
- ვნახოთ. **მშვენიერი იქნება!** ლექციები საინტერესო იყო?
- კი, ძალიან. **განსაკუთრებით მომეწონა** საუბარი თანამშრომლობითი სწავლების შესახებ. **ერთი მხრივ**, სწავლების ეს ფორმა ძალიან **ეფექტურია**: ბავშვი **ადვილად ითვისებს** მასალას, აკვირდება კლასელებს, ანალიზებს მათს მოსაზრებებს, მაგრამ, **მეორე მხრივ**, შეიძლება ბავშვი პასიური იყოს, ჯგუფის მუშაობაში არ ჩაერთოს, მაგრამ ჯილდო მაინც მიიღოს. ეს უსამართლობაა!

ბ)

- მართალი ხარ! მაგაზე მეც ვიფიქრე. როცა ჯგუფში **დისკუსია მიმდინარეობს**, ყველა მოსწავლე **არ იღებს მონაწილეობას**.
- ჰო, **სამწუხაროდ**, ყველა ბავშვს არ აქვს **ჯგუფური პასუხისმგებლობის** უნარი. თანამშრომლობითი **სწავლების ამოცანა** კი რა არის? ჯგუფის თითოეულმა წევრმა უნდა გაიაზროს, რომ მისი წარმატება ჯგუფის წარმატებაა.

- ეს ადვილი არ არის, მაგრამ ჩემთვის **უფრო ძნელი** სხვა რამეა.
- რა არის შენთვის უფრო ძნელი. ლიზა?
- იცი, თეა, ჩემთვის ძნელია **მოსწავლის შეფასება** ჯგუფური მუშაობის დროს, **რადგან** ყველა ერთნაირად **არ იმსახურებს** მაღალ ნიშანს.
- მართალია, მაგრამ ჩვენ **დიდი არჩევანი** გვაქვს და თუ **სწორ მეთოდს გამოვიყენებთ**, პრობლემას ადვილად გადავჭრით.

5.2. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა)
- ეკა, გამარჯობა. როგორ ხარ?
 - გმაღლობ, თათია, კარგად. შენკენ რა არის ახალი?
 - მე და ჩემმა მოსწავლეებმა დღეს კონსტიტუცია დავწერეთ!
 - კონსტიტუცია თქვენ როგორ დაწერეთ?
 - ქვეყნის კი არა, ჩვენი **კლასის კონსტიტუცია** დავწერეთ.
 - ასეთი რამ პირველად მესმის! **შეგიძლია ამიხსნა**, ეს რას ნიშნავს?
 - რა თქმა უნდა. „კონსტიტუციის“ დაწერა კლასის მართვის ერთ-ერთი საშუალებაა. **საგაკვეთილო პროცესი** ეფექტურად რომ **მიმდინარეობდეს**, საჭიროა ბავშვებმა თვითონვე ჩამოაყალიბონ **ქცევის წესები** - რისი გაკეთება შეიძლება საკლასო ოთახში და რისი - არა; ეს წესები **აუცილებლად** სასწავლო წლის **დასაწყისშივე** უნდა იყოს მიღებული. **მნიშვნელოვანია**, რომ „კონსტიტუციის“ დაწერაში ყველა ბავშვი **იღებდეს მონაწილეობას** და თავისუფლად გამოთქვამდეს აზრს.
- ბ)
- ალბათ, **დისკუსიასაც მართავენ**.
 - აბა რა! უნდა მოუსმინო, როგორ მსჯელობენ!
 - მერე რა ხდება?
 - მერე ეს „კონსტიტუცია“ **მთელი წელი** საკლასო ოთახის კედელზე კიდია, რომ ყველა ხედავდეს და **პატივს სცემდეს** საკუთარ გადაწყვეტილებას.
 - რამდენად **ეფექტურად მუშაობს** ეს საშუალება? შედეგს იღებ?
 - ჩემი აზრით, ნამდვილად მუშაობს. მოსწავლეების დამოკიდებულება დისციპლინისადმი ამ შემთხვევაში **ბევრად უფრო** სერიოზულია.

- თუ რომელიმე მოსწავლე არ შეასრულებს „კონსტიტუციის“ მოთხოვნას, მაშინ რა ხდება?
- აუცილებლად ვისაუბრებთ ამის შესახებ და კლასი **მოიფიქრებს**, დარღვევისთვის **რა გააკეთებინოს** ასეთ მოსწავლეს. ვფიქრობ, ეს აუცილებელია.
- იცი, თათია, ძალიან მომწონს „კონსტიტუციის“ **დაწერის იდეა**. ძალიან გვიანი ხომ არ არის, რომ მეც გავაკეთო?
- არა, რატომ? **ხვალვე შეგიძლია** იმუშავო „კონსტიტუციაზე“ შენს ბავშვებთან ერთად.
- აუცილებლად დავწერთ ხვალვე. დიდი მადლობა საინტერესო **იდეისათვის**.
- არაფრის. წარმატებები, ეკა!

5.3. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ნათია, გამარჯობა.
- როგორ ხარ, ლიკა?
- არა მიშავს, მაგრამ, ვფიქრობ, **დახმარება მჭირდება**.
- რა ხდება?
- ხომ იცი, წელს მეათეკლასელებსაც ვასწავლი.
- მერე?
- **სერიოზული პრობლემა** მაქვს. კლასის მართვის დემოკრატიული სტილი **გამოვიყენე**. ვფიქრობდი, რომ ეს **ყველაზე ეფექტური** იქნებოდა მეათეკლასელებთან მუშაობისას, მაგრამ ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც მე დავგეგმე. ერთი მოსწავლე **საშინლად იქცევა**.
- „საშინლად“ **რას ნიშნავს?**
- ცუდად იქცევა.
- ანუ?
- საუბრობს, როცა ახალ მასალას ვხსნი; საერთოდ არაფრის **მოსმენა** არ უნდა, მუდმივად **მეჩინააღმდეგება**. უარყოფით **გავლენას** ახდენს კლასელებზე.

ბ)

- ლიკა, ეს არ არის კეთილგანწყობილი მასწავლებლის შეფასება. შეგიძლია, რომ **ემოციის გარეშე** ისაუბრო და მხოლოდ ფაქტები აღწერო?

- შემიძლია, მაგრამ... **ემოციურად** საუბარი რატომ არის ცუდი?

- იმიტომ, რომ ეს **აშკარად აჩვენებს** მოსწავლის კი არა, მასწავლებლის პრობლემას. შენ მოსწავლის ქცევა უნდა აღწერო და არა შენი ემოცია. ასევე, **სასურველი** არაა ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა „ხშირად“, „ყოველთვის“, „არასდროს“, „არაფერი“, „მუდმივად“. შეფასება **კონკრეტული შინაარსის** უნდა იყოს. თუ გინდა, კლასი წარმატებულად მართო, გახსოვდეს ორი მთავარი წესი: 1. **ყურადღება მიაქციე** იმ მოსწავლეს, რომელიც ცუდად კი არა, კარგად იქცევა; 2. ასწავლე ბავშვებს, მარტივად, **ღიად გამოხატონ**, როცა ყურადღება სჭირდებათ.

- ფიქრობ, რომ მას ყურადღება **სჭირდება**?

- ალბათ, ასეა. ცუდი ქცევა მისთვის ყურადღების მიქცევის **საშუალებაა**. ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, თუ არავერბალურ კომუნიკაციას გამოიყენებ. როცა მიზანს ვერ მიაღწევს, ნელ-ნელა **ჩაერთვება** საგაკვეთილო პროცესში. ყოველთვის შეაქე, როცა ითანამშრომლებს კლასელებთან და პრობლემას გადაჭრი.

- დიდი მადლობა, ნათია. **შენი გამოცდილება** ძალიან მეხმარება.

- არაფრის. წარმატებები, ლიკა.

VI თავი – შეფასება, პროფესიული განვითარება, ინკლუზიური განათლება

6.1. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ნიკა, როგორ ხარ?
- გმადლობთ, დეიდა ნინო, კარგად. თავად როგორ ბრძანდებით?
- მეც არა მიშავს. სკოლაში რატომ არ დადიხარ?
- სხვა სკოლაში გადავედი.
- მართლა? რომელ სკოლაში? აქედან **შორსაა**?
- არა, **აქვე ახლოსაა**, სკოლა „იმედში“.
- აბა, რა მოგწონს ყველაზე მეტად ახალ სკოლაში?
- გაკვეთილები ყოველთვის საინტერესო და სახალისოა, მაგრამ ყველაზე მეტად **შეფასების სისტემა**

მომწონს. მასწავლებელი ჩვენთან ერთად **ადგენს** შეფასების **კრიტერიუმებს**. ყველაფერი ძალიან **გამჭვირვალეა**. შედეგები ჩვენი ცოდნის დონეზეა დამოკიდებული და არა მასწავლებლის **პირად შეხედულებებზე**.

- რა კარგია!
- დიახ, ძალიან! თუ შეცდომას ვუშვებთ, მასწავლებელი დაბალ ნიშანს კი არ წერს, ზეპირ ან წერილობით კომენტარს გვაძლევს და გვასწავლის, რა უნდა გავაკეთოთ შედეგების **გაუმჯობესებისთვის**.
- ნიშანს საერთოდ არ წერენ?
- როგორ არა! **მიმდინარე** შეფასებებიც გვაქვს და **შემაჯამებელიც**.
- ალბათ, მხოლოდ საშინაო და საკლასო სამუშაოები **სწორდება**.
- არა, დეიდა ნინო, ჩვენთან ყველაფერი **ფასდება**: დამოუკიდებელი აზროვნება, არგუმენტირებული მსჯელობა, სხვისი მოსაზრების პატივისცემა, თანაკლასელებთან თანამშრომლობა.
- რა კარგი სკოლა ყოფილა „იმედი“. წარმატებები, ნიკა!
- ნახვამდის, დეიდა ნინო.

6.2. თავის მე-5 სავარჯიშო



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ლადო, შენ უკვე დიდი გამოცდილება გაქვს და, ალბათ, ბევრი რამ იცი მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, **პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის** სქემაზე.
- რა თქმა უნდა. ეს ყველა მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტია და დღეს საქართველოს სკოლებში აქტიურად **ინერგება**.
- ძალიან მაინტერესებს, რას **ითვალისწინებს** ეს დოკუმენტი?
- მისი **საფუძველი** მასწავლებლის პროფესიული **სტანდარტია** და განსაზღვრავს, რომელი **კომპეტენციები** უნდა ჰქონდეს მასწავლებელს.
- რამე ახალი მოთხოვნებია?
- ახალი ისეთი არაფერი - ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები.
- ანუ ყველაფერი ის, რაც პროფესიულ **ზრდაში** გვცხმობს.
- ასეა.
- **თვითშეფასება** ისევ უნდა გავაკეთოთ?
- კი, კი, აუცილებლად. ხომ გახსოვს, **კითხვარი** უნდა შეადგინო და გაიგებ, რამდენად ეფექტურად

იყენებ თეორიულ ცოდნასა და უნარებს პრაქტიკაში. თვითანალიზის უნარი თუ არ აქვს პედაგოგს, ის ვერ **განვითარდება**, ამიტომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

- შეიძლება თქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი, ანუ **უმნიშვნელოვანესი!**
- სწორედ ასეა. წარმატებები, ლიბა.

6.3. თავის მე-4 სავარჯიშო



ა) მოისმინეთ დიალოგი:

- ნუცა, როგორ ხარ?
- გმადლობთ, არა მიშავს.
- რა არის ახალი?
- ჩვენს სკოლაში ახალი მოსწავლე გადმოდის. თუ გცალია, ერთად წავიდეთ, უკვე ქალბატონი თამარის კაბინეტშია თავის მშობლებთან ერთად.
- წავიდეთ. მეც სიამოვნებით გავიცნობ.
- როგორც ქალბატონმა თამარმა თქვა, ამ ბავშვს ინკლუზიური განათლება სჭირდება.
- ხომ არ იცი, რატომ? სოციალური პრობლემები აქვს?
- როგორ, ინკლუზიური განათლება ხომ შშმ მოსწავლეს სჭირდება?
- არა მართლ შშმ მოსწავლეს, არამედ სოციალური პრობლემების მქონესაც. ეს ბავშვიც ასეთია?
- არა, მგონი, ძველ სკოლაში თანაკლასელებთან კომუნიკაციის პრობლემა ჰქონდა და აქ ჩვენ უნდა დავეხმაროთ.
- ერთი მხრივ, ეს ადვილი არ არის, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ ამის კარგი გამოცდილება გვაქვს. გახსოვს ის შშმ გოგონა, წინა სემესტრში რომ გადმოვიდა ჩვენთან?
- მარი? როგორ არა, კარგად მახსოვს, მასაც ჰქონდა კომუნიკაციის პრობლემა, ახლა კი ის და მისი თანაკლასელი გოგონები სულ ერთად არიან. ეს შენი დამსახურებაა. ძალიან კარგად იმუშავე.
- მე ბევრი არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ, ჩვენს სკოლაში ემოციურად უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოა; ამასთან ერთად, შექმნილია სპეციალური ჯგუფი სსსმ მოსწავლეების დახმარების მიზნით. მარისთვის გავაკეთეთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ახლა ის უკვე აქტიურადაა ჩართული ყველა სასკოლო აქტივობაში და ბევრი მეგობარიც ჰყავს. მასთან მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში ასეთი შედეგის მიღწევით ძალიან კმაყოფილი ვარ.
- მართალია, მარისთან ძალიან კარგ შედეგს მივაღწიეთ. იმედი მაქვს, ახალ მოსწავლესაც ეფექტურად დავეხმარებით, რადგან ამისათვის საჭირო ყველა რესურსი გვაქვს.

- ასეა, თუმცა ყველა ბავშვი განსხვავებულია და სასურველ შედეგზე გასვლა ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ვნახოთ.

შემაჯამებელი II



V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- გურამ, იყავი სემინარზე?
- როგორ არა, თამრიკო, ვიყავი.
- რა საკითხზე ისაუბრეს?
- „ინკლუზიური განათლება და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები“.
- რა საინტერესოა!
- მართლა ძალიან საინტერესო იყო. შეხვედრაზე ითქვა, რომ უკვე **მუშავდება** ახალი სახელმძღვანელო „სპორტი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის“.
- ეს სახელმძღვანელო ბავშვებისთვისაა?
- არა, ჩვენთვის, ანუ სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისთვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები არა მხოლოდ **დაკავებული** უნდა იყვნენ სპორტით, არამედ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სასკოლო **სპორტულ ღონისძიებებში**.
- ეს ადვილი არ იქნება.
- რა თქმა უნდა, ადვილი არ იქნება, მაგრამ ჩვენ უნდა **გავითვალისწინოთ** მათი ინდივიდუალური შესაძლებლობები. შეხვედრაზე ისაუბრეს, თუ როგორ ხდება სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების **ჩართვა** სპორტსა და ფიზიკურ **აქტივობაში**.
- ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.
- ნამდვილად. მასწავლებლებმა უნდა იცოდეს, **კონკრეტულად** რა გააკეთოს, იმიტომ რომ ამ ბავშვებს აქვთ **სხვადასხვა სახის** სპეციალური საჭიროებები: ან ფიზიკური, ან **ინტელექტუალური**.
- მართალია, გურამ, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს ისეთივე **უფლება** აქვთ მიიღონ მონაწილეობა **სპორტულ თამაშებში**, როგორც სხვა მოსწავლეებს.
- ცხადია. ახალი სახელმძღვანელო **დაგვეხმარება**, რომ უფრო ეფექტურად ვიმუშავოთ შშმ ბავშვებთან.
- გასაგებია. წარმატებები, გურამ!
- გმადლობთ, თამრიკო.

პასუხები

I თავი

1.1.

I. ა) წინადადებებში შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული ფრაზები:

1. წარმატებული პროექტი
2. სერტიფიკატის აღება
3. ახალი მოსწავლე
4. მეთოდის გამოყენება
5. საქართველოს ისტორია
6. უფროსი მასწავლებელი
7. სხვადასხვა აქტივობა
8. საგნობრივი კათედრა
9. ადგილი საგანია
10. პრაქტიკოსი მასწავლებელი

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები:

1. სახალისო პროცესი
2. ბევრი მოსწავლე
3. პრაქტიკოსი მასწავლებელია
4. ყველა მშობელს
5. თანამედროვე მეთოდები
6. ახალი ინფორმაციის
7. საინტერესო პრეზენტაციას
8. აქტიური თანამშრომლობა
9. საგნობრივი კათედრა
10. სხვადასხვა ტექსტი

ბ) ჩასვით წინადადებებში ზემოთ დაკავშირებული წყვილები:

1. სახალისო პროცესი
2. ყველა მშობელს
3. ბევრი მოსწავლე
4. პრაქტიკოსი მასწავლებელია
5. თანამედროვე მეთოდები
6. ახალი ინფორმაციის
7. საინტერესო პრეზენტაციას
8. აქტიური თანამშრომლობა
9. საგნობრივი კათედრა
10. სხვადასხვა ტექსტი

III. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

1. მსჯელობენ
2. წერენ
3. იყენებს
4. ითვალისწინებს
5. ითანამშრომლა

6. მუშაობენ
7. ახსოვს
8. მოსწონდათ
9. გაითვალისწინოს
10. დაიწყოს

V. ჩასვით წინადადებებში შესაფერის დროსა და ფორმაში მოცემული სიტყვები:

1. იყენებენ
2. გეგმავს
3. ითვალისწინებს
4. მსჯელობენ
5. მუშაობს
6. ჩატარდეს
7. საუბრობენ
8. ამზადებდნენ
9. მოსწონს
10. მიდის

VI. შეადგინეთ მოკლე ტექსტები მოცემული სიტყვებისა და ზმნების გამოყენებით:

VI.2. სკოლაში მუშაობა რთული, მაგრამ ძალიან საინტერესოა. პრაქტიკოსი მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივი კათედრის გამგეებთან. მასწავლებელი გაკვეთილს ისე გეგმავს, რომ საინტერესო და სახალისო იყოს.

VI.3. სკოლა „იმედში“ ბავშვები ინგლისურს, რუსულს, ფრანგულსა და ესპანურს სწავლობენ. სკოლას აქვს დიდი ბიბლიოთეკა. ერთ ოთახში კომპიუტერებია, მეორეში - მაგიდები და სკამები. ბიბლიოთეკაში ბევრი წიგნია. აქვეა მუსიკისა და ხელოვნების კაბინეტები.

VI.4. ლიზამ წელს უნივერსიტეტი დაამთავრა. მას ძალიან უნდა „იმედში“ მუშაობა იმიტომ, რომ ის საუკეთესო სკოლაა იმერეთის რეგიონში. ლიზას პატარა და ჰყავს, ნინო. ის „იმედში“ სწავლობს. ნინო ფიქრობს, რომ მისი და კარგი მასწავლებელი იქნება. ლიზა კეთილი და ჭკვიანი გოგოა. ის ყველას უყვარს.

VII. ა. დაალაგეთ ტექსტი თანმიმდევრულად:

1. შაბათს სკოლა „იმედი“ წიგნის ფესტივალს მასპინძლობს. სტუმრები დედაქალაქიდანაც ჩამოდიან.
2. მოსწავლეებმა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგესთან ერთად ბევრი იმუშავეს და ყველაფერი კარგად დაგეგმეს. ბავშვებმა გამოიყენეს თანამედროვე ტექნიკა და პრაქტიკოსი მასწავლებლების დახმარებით მოამზადეს საინტერესო პრეზენტაცია.
3. მათ ფესტივალის ყველა სტუმრის ინტერესი გაითვალისწინეს. ღონისძიებაში მონაწილეობას მშობლებიც მიიღებენ.
4. „წიგნის ფესტივალს“ იმერეთის რეგიონში წელს პირველად ატარებენ „იმედის“ დირექტორი ფიქრობს, რომ ეს ლამაზი ღონისძიება ტრადიციული იქნება.

VIII. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1. თავისუფლად
2. მეთოდებს

3. პრეზენტაციას
4. ერთმანეთთან
5. პროექტზე

IX. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- გამარჯობა, თეა.
- გაგიმარჯოთ, ქალბატონო თამარ.
- თეა, დღეს **შეხვედრა კათედრაზე**. ხომ მოხვალთ?
- ეს ჩემი მოვალეობაა, აუცილებლად მოვალ, ქალბატონო თამარ. ჩემთან საქმე გაქვთ?
- ორი კვირის წინ სკოლაში ახალი **მასწავლებელი მოვიდა**, ლიზა. წელს დაამთავრა უნივერსიტეტი.
- დიხ, უკვე გავიცანი. ძალიან **სასიამოვნო ახალგაზრდა** ქალია.
- მინდა, რომ **აქტიურად ითანამშრომლოთ**. ის იქნება პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც **გეგმავს და ატარებს** გაკვეთილს. აჩვენე, რა უნდა გააკეთოს.
- გასაგებია. დიდი სიამოვნებით.

ბ)

- ლიზა, **მოგწონთ ჩვენი სკოლა?**
- დიხ, ძალიან. აქ ჩემი უმცროსი და სწავლობს, ნინო.
- რომელ კლასშია ნინო?
- მეათეში.
- **მე ვიცნობ ნინოს**. „წიგნის ფესტივალისთვის“ **გამოფენას ვამზადებ**. ნინოც მონაწილეობს.
- მართლა? რა კარგია! თქვენ რომელ **კათედრაზე მუშაობთ?**
- მე თეა მქვია და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ვმუშაობ.
- ძალიან სასიამოვნოა. მე ლიზა ვარ. ალბათ, ჯერ **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრაზე ვიმუშავე. ქალბატონი თამარი ფიქრობს, რომ **კარგ გამოცდილებას მივიღებ**.
- **აუცილებლად**. ნახვამდის, ლიზა.
- ნახვამდის, თეა.

1.2.

I. წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ბრუნვაში:

1. ღონისძიებით
2. უფროსმა მასწავლებელმა
3. პროექტზე
4. მიზნად
5. შეფასების
6. მეთოდს
7. აქტივობას
8. დამოუკიდებლად
9. სასწავლო კათედრაზე
10. საშინაო დავალების

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთს:

1. აღწეროს აქტივობები
2. მეცადინეობენ ისტორიას
3. დაგეგმოს გაკვეთილი
4. ვითანამშრომლებთ მშობლებთან
5. იმსჯელონ შეფასების ფორმების
6. გამოიყენა ინტერნეტი
7. გავითვალისწინებთ ბავშვის ინტერესებს
8. განუვითაროს აზროვნების უნარი
9. ახსოვს წარმატებული გაკვეთილი
10. კითხულობენ ქართულ წიგნებს
11. იმუშაოს კათედრაზე
12. ამთავრებს სკოლას

ბ) ჩასვით წინადადებებში ზემოთ დაკავშირებული ზოგი წყვილი:

1. იმუშაოს კათედრაზე
2. აღწეროს აქტივობები
3. იმსჯელონ შეფასების ფორმების
4. განუვითაროს აზროვნების უნარი
5. კითხულობენ ქართულ წიგნებს
6. გავითვალისწინებთ ბავშვის ინტერესებს
7. ახსოვს ... წარმატებული გაკვეთილი
8. ვითანამშრომლებთ მშობლებთან
9. დაგეგმოს გაკვეთილი
10. გამოიყენა ინტერნეტი

III. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ლიზა, გამარჯობა. როგორ ხარ?
- გმადლობთ, თეა, არა მიშავს. დრო გაქვს? რაღაც მაინტერესებდა.
- სამწუხაროდ, ახლა არ მცალია, **გაკვეთილის გეგმა უნდა დავწერო**.
- მაშინ **გაკვეთილების შემდეგ** კაფეში წავიდეთ ნამცხვარზე და ყავზე; თან საქმეზე ვისაუბროთ, რამდენიმე შეკითხვა მაქვს.
- დიდი სიამოვნებით. **რა გაინტერესებს?**
- გაკვეთილის გეგმის შესახებ მინდა საუბარი.
- ეს მართლაც მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც ვიცით, **კარგი გეგმა წარმატებული გაკვეთილის საფუძველია**. რომელ საათზე შეხვდეთ?
- ალბათ, **ხუთისთვის**.
- კარგი. შეხვედრამდე.

ბ)

- აქ პირველად ვარ. რა კარგი კაფეა!
- მართლაც კარგია. როცა დრო მაქვს, ყოველთვის აქ მოვდივარ.
- ლიზა, მოგწონს ჩვენს სკოლაში მუშაობა?
- ძალიან. **ადვილი არ არის**, მაგრამ საინტერესო და სახალისოა. ბავშვებს იმდენი შეკითხვა აქვთ, რომ ყველას ვერც უპასუხებ!
- კი, ნამდვილად ასეა, მაგრამ, მგონი, შენც გაქვს შეკითხვა.
- მართალი ხარ, თეა, **დამოუკიდებლად ვიმუშავე** და არ ვიცი, გაკვეთილის გეგმა სწორად დავწერე თუ არა. ვფიქრობ,

გაითვალისწინე, რა იციან ჩემმა მოსწავლეებმა და ახალი რა უნდა ისწავლონ.

- ყოჩაღ, ლიზა. მთავარი სწორედ ესაა.
- თეა, **საშინაო დავალების შემოწმება** აუცილებელია გაკვეთილის დასაწყისში?
- კი, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ეს გაკვეთილის ბოლოს გააკეთო.
- თუ დრო დამრჩა, ახალი გაკვეთილის შესახებ შეიძლება შეკითხვების დასმა?
- რა თქმა უნდა. **ეს კარგი აქტივობაა.** მოსწავლეებს თავისუფლად მსჯელობის უნარს განუვითარებს.
- ჩემთვის ყველაზე რთული **აქტივობების დეტალური აღწერა** იყო.
- არა უშავს. მალე აღარ იქნება რთული.
- იმედი! გმადლობ, თეა,
- არაფრის.

IV. დაწერეთ სახელი სწორი ფორმით:

1. გამგის მიერ
2. კათედრის მიერ
3. მოსწავლეების მიერ
4. სკოლის მიერ
5. მშობლების მიერ
6. დირექტორის მიერ
7. რევაზ ინანიშვილის მიერ
8. მასწავლებლის მიერ
9. ლიზას მიერ
10. მასწავლებლის მიერ

V. წაიკითხეთ მოცემული ტექსტები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1. —
2. +
3. +
4. —
5. —
6. —
7. —
8. +
9. —
10. +

VI. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

1. ეხმარებოდა
2. გეგმავს
3. განუვითარებს
4. თანამშრომლობენ
5. აღწერს
6. ეხმარება
7. იყენებენ
8. ნახულობს
9. მუშაობს
10. ჩამოდის

VIII. ჩასვით წინადადებებში შესაფერის დროსა და ფორმაში მოცემული სიტყვები:

1. გეგმავს
2. საუბრობენ
3. აღწერს
4. ითანამშრომლოს
5. უვითარებს
6. მოამზადონ
7. იმსჯელონ
8. გაითვალისწინებს
9. დაეხმარა
10. იყენებდეს

1.3.

II. ჩასვით წინადადებებში ზმნები საჭირო ფორმით ნიმუშის მიხედვით და გამოიყენეთ კონსტრუქცია: უნდა, ვერ + მომავალი დრო:

1. გაითვალისწინოს... ვერ გაითვალისწინებს.
2. დააკავშიროს ... ვერ დააკავშირებს
3. დაგეგმოს ... ვერ დაგეგმავს
4. დაეხმაროს ... ვერ დაეხმარება
5. იმსჯელოს ... ვერ იმსჯელებს
6. აღწეროს ... ვერ აღწერს
7. გამოიყენოს ... ვერ გამოიყენებს
8. ითანამშრომლოს ... ვერ ითანამშრომლებს
9. მიიღოს ... ვერ მიიღებს
10. დაიწყოს ... ვერ დაიწყებს

III. ა) შეუცვალეთ ზმნას ფორმა ნიმუშის მიხედვით:

1. დააკავშირებს
2. ვუბასუხებ
3. დაგეგმავ
4. დაეხმარება
5. განუვითარებს
6. ვითანამშრომლებ
7. გაითვალისწინებ
8. ვიმსჯელებთ
9. გამოიყენებენ
10. დაისვენებენ

ბ) ზმნის საჭირო ფორმა ჩასვით წინადადებებში:

1. ვუბასუხებ
2. განუვითარებს
3. ვითანამშრომლებ
4. დაგეგმავ
5. ვიმსჯელებთ
6. დაისვენებენ
7. გამოიყენებენ
8. გაითვალისწინებ
9. დაეხმარება
10. დააკავშირებს

IV. ა) მოისმინეთ დიალოგი:

- თეა, დაკავებული ხარ? საქმე მაქვს შენთან.
- ერთი წუთით, ლიზა, ახლავ მოვალ. ინტერნეტში საინტერესო ინფორმაციას ვკითხულობ.
- რის შესახებ არის ინფორმაცია?
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ფორმების შესახებ.
- მართლა? კონსტრუქტივისტული გაკვეთილის საკითხი მეც მაინტერესებს.
- მოდი, ერთად წავიკითხოთ. ნახე, რას წერენ: „როცა მოსწავლეებს აქვთ მოტივაცია, ისინი უფრო მეტი ხალისით სწავლობენ“.
- მართალია, მაგრამ მოტივაცია თუ არ აქვს მოსწავლეს, როგორ უნდა განუვითაროს მასწავლებელმა?
- ეს რთული არ არის. პრობლემის გადაჭრა მოსწავლისთვის ძალიან საინტერესო პროცესია. როცა მოსწავლეები ფიქრობენ პრობლემის გადაჭრაზე, მასწავლებელი მათ უნდა დაეხმაროს, შეეცადონ დაუსვას და აზროვნება ასე განუვითაროს.
- გასაგებია.

ბ) მოსმენილი დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ, ცხრილში მოცემული ინფორმაცია სწორია (+) თუ არასწორი (-):

1. —
2. +
3. +
4. +
5. —
6. —
7. —
8. +
9. +
10. +

V. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

1. პრობლემა გადაჭრა
2. კონსტრუქტივისტული გაკვეთილი
3. სწავლების ფორმა
4. აქტიური მოსწავლე
5. ჯგუფური მუშაობა
6. მრავალფეროვანი აქტივობები
7. რთული დავალება
8. მოსწავლის შესაძლებლობები
9. ახალი ინფორმაცია
10. დამოუკიდებელი აზროვნება

ბ) ლოგიკურად ჩასვით შესიტყვებები წინადადებაში (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა):

1. პრობლემის გადაჭრა
2. რთულ დავალებას
3. დამოუკიდებელი აზროვნების
4. ჯგუფური მუშაობა
5. სწავლების ფორმების
6. ახალ ინფორმაციას

7. კონსტრუქტივისტული გაკვეთილი
8. მოსწავლის შესაძლებლობები
9. აქტიურმა მოსწავლემ
10. მრავალფეროვანი აქტივობების

VII. ბ) კითხვებს შეურჩიეთ სწორი პასუხები და ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ე	ი	ზ	ა	დ	თ	ბ	ვ	კ	გ

VIII. ცხრილში ჩაწერეთ მოცემული განმარტებების მნიშვნელობა:

1	ეს გ
2	პრაქტიკოსი მასწავლებელი
3	საგნობრივი კათედრა
4	გაკვეთილის გეგმა
5	შეფასების ფორმა
6	უფროსი მასწავლებელი
7	კონსტრუქტივისტული გაკვეთილი
8	სწავლების მეთოდები და აქტივობები
9	პრობლემის გადაჭრა
10	ახალი ცოდნის აგება

II თავე**2.1.****I. ა) შეუცვალეთ ზმნას ფორმა ნიმუშის მიხედვით:**

1. გამოთქვამდა
2. თანამშრომლობდა
3. იძენდა
4. მსჯელობდა
5. ახდენდა
6. უვითარებდა
7. გეგმავდა
8. აგროვებდა
9. პასუხობდა
10. აყალიბებდა

ბ) ჩასვით შესაბამისი წინადადებაში ზმნა საჭირო ფორმით:

1. იძენდა
2. გამოთქვამდა
3. მსჯელობდა
4. აგროვებდა
5. უვითარებდა
6. თანამშრომლობდა
7. აყალიბებდა
8. გეგმავდა
9. ახდენდა
10. პასუხობდა

II. ა) წავითხუთ ტექსტი და შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული სიტყვები და ფრაზები საჭირო ფორმით:

განათლების სამინისტროს **კონსულტანტის** აზრით, ხშირად სკოლაში არ ეხმარებიან ბავშვებს შემოქმედებითი აზროვნების **განვითარებაში**. ეროვნული სასწავლო გეგმის **მიხედვით** კი სკოლა სწორედ ის ადგილია, სადაც შემოქმედებითი აზროვნება უნდა განვითარდეს. არ შეიძლება საგანი იყოს „მთავარი“ (მათემატიკა, **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** და სხვ.) და „არამთავარი“ (ხელოვნება, **მუსიკა** და სხვ.). საქართველოში მშობლები და **ბებია-ბაბუები** ფიქრობენ, რომ მნიშვნელოვანია ცოდნის შეძენა ე.წ. „მთავარ“ საგნებში.

შემოქმედებითი აზროვნება არ ითვალისწინებს საგნის „სტატუსს“, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი განვითარება ყველა საგანში. არ არის სწორი ის აზრი, რომ შემოქმედებითი აზროვნებისთვის დრო მხოლოდ ხელოვნების გაკვეთილზეა. მასწავლებლის **სწორი ქცევა** ეხმარება მოსწავლეს **კრიტიკულ** აზროვნებაში, იღებს ჩამოყალიბებაში, გადაწყვეტილების მიღებასა და პრობლემის **გადაჭრაში**.

დავიძახოვროთ: შემოქმედებითი აზროვნება **გავლენას ახდენს** ბავშვის მომავალზე. თუ მოსწავლეს აქვს შემოქმედებითი აზროვნების უნარი, ის აუცილებლად იქნება წარმატებული ყველა საგანში.

III. ა) დააკავშირეთ სიტყვები

1. რთული პრობლემები
2. დეტალური ანალიზი
3. შემოქმედებითი აზროვნება
4. კრიტიკული შეფასება
5. დამოუკიდებელი მუშაობა
6. კოგნიტური განვითარება
7. კეთილგანწყობილი მასწავლებელი
8. სახალისო გაკვეთილი
9. საზოგადოებრივი მეცნიერებები
10. სხვადასხვა მეთოდი

ბ) ჩასვით შესაბამის წინადადებებში საჭირო წყვილი. გაითვალისწინეთ, ზოგჯერ საჭიროა სიტყვისთვის ფორმის შეცვლა.

1. სხვადასხვა მეთოდს
2. რთულ პრობლემებზე
3. კოგნიტურ განვითარებას
4. შემოქმედებითი აზროვნების
5. კრიტიკული შეფასების
6. დამოუკიდებელი მუშაობის
7. დეტალური ანალიზი
8. კეთილგანწყობილი მასწავლებელი
9. სახალისო გაკვეთილებს
10. საზოგადოებრივი მეცნიერებების

IV. წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ბრუნვაში:

1. ერთნაირ
2. კოგნიტურ
3. გადაწყვეტილებით

4. ქცევას
5. შემოქმედებით
6. განვითარების
7. ანალიზს
8. დაგროვების
9. შემეცნების
10. აზროვნების

V. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ქალბატონო თამარ, იცით **სწავლა როდის იწყება**?
- დიახ, განათლების სამინისტრომ ამ საკითხზე **გადაწყვეტილება** უკვე მიიღო. წელს საქართველოს სკოლებში სწავლა 15 სექტემბერს **დაიწყება**.
- ალბათ, სკოლაში დიდი ღონისძიება გაიმართება.
- რა თქმა უნდა, ღიზა! ამის გამო აგვისტოში **ინტენსიურად ვმუშაობდით**. ადრე ყოველთვის **ვაკეთებდით** გამოფენას, წელს კონცერტს ჩავატარებთ. კონცერტის შემდეგ კი პირველკლასელებს სურათებიან წიგნებს და Notebook PC-საც ვაჩუქებთ. ეს მათი **მოტივაციისათვის** ძალიან კარგია.
- რა კარგია! როგორ მიხარია, რომ ამ სკოლაში დავიწყე მუშაობა! აქ დიდ **გამოცდილებას** მივიღებ.

ბ)

- ღიზა, დავიძახოვროთ, კლასში მოსწავლეების **აზროვნება** ერთნაირი არ არის. თქვენ ჯერ **საკმარისი გამოცდილება** არ გაქვთ, ამიტომ აქტიურად უნდა **ითანამშრომლოთ** კათედრის სხვა მასწავლებლებთან.
- დიახ, ამას აუცილებლად **გავითვალისწინებ**. უნივერსიტეტშიც ვისწავლეთ, რომ ყველა ბავშვს არ აქვს სწავლის ერთნაირი **სურვილი და მოტივაცია**.
- რა თქმა უნდა, ასეა. მასწავლებლის მიზანი კი სწორედ ისაა, რომ ყველა მოსწავლეს განუვითაროს **შემეცნების უნარი**.
- დიახ, გასაგებია. საჭირო **მეთოდების შესახებ** ახალ ინფორმაციას ხშირად ვნახულობ სამინისტროს ვებგვერდზე.
- ძალიან კარგი.

VI. ხაზი გაუსვით ზმნის სწორ ფორმას:

1. მოვამზადო
2. ამთავრებს
3. თანამშრომლობს
4. პატივებს
5. იყენებს
6. კითხულობდა
7. პასუხობს
8. მსჯელობდა
9. გვემავს
10. იძენს

VIII. წავითხუთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1. +
2. -
3. +

4. +
5. -
6. -
7. +
8. -
9. +
10. +

2.2.

I. წიკითხეთ წინადადებები. გმნებს შეუცვალეთ ფორმა ნიშუშის მიხედვით და ჩასვით წინადადებებში შესაბამის ადგილას:

1. აკავშირებდა
2. ვგეგმავდი
3. სჭირდებოდა
4. საუბრობდა
5. იგებდნენ
6. ეხმარებოდნენ
7. ვთანამშრომლობდით
8. აყალიბებდნენ
9. პასუხობდა
10. ვაჩვენებდი

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

1. კოგნიტური უნარები
2. გადაწყვეტილების მიღება
3. ლიტერატურული კონკურსი
4. შეფასების ფორმა
5. სასწავლო პროცესი
6. მრავალმხრივი ინტელექტი
7. შემოქმედებითი აზროვნება
8. აღზრდის მეთოდი
9. გამოცდილების დაგროვება
10. მასალის გაგება
11. შეკითხვების დასმა
12. პრეზენტაციის უნარი

ბ) ჩასვით შესაბამის წინადადებაში მხოლოდ საჭირო წყვილი:

1. მასალის გაგება
2. აღზრდის მეთოდი
3. შემოქმედებით აზროვნებას
4. შეკითხვების დასმა
5. სასწავლო პროცესი
6. ლიტერატურულ კონკურსში
7. გადაწყვეტილების მიღება
8. გამოცდილების დაგროვება
9. შეფასების ფორმა
10. კოგნიტური უნარების

III. ა) შეუცვალეთ სიტყვებს ფორმა ნიშუშის მიხედვით:

1. მეთოდთა
2. აქტივობათა
3. კათედრათა
4. მოსწავლეთა
5. უნარ-ჩვევათა
6. მიზანთა
7. შეფასებათა
8. პერსონაჟთა
9. შედეგთა
10. თანამშრომელთა

ბ) ჩასვით შესაბამის წინადადებაში სიტყვა საჭირო ფორმით:

1. მეთოდთა
2. მოსწავლეთა
3. უნარ-ჩვევათა
4. მიზანთა
5. პერსონაჟთა
6. კათედრათა
7. შეფასებათა
8. აქტივობათა
9. თანამშრომელთა

IV. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1. ერთობლიობა
2. მაღალი
3. მოტივაცია
4. გადაჭრა
5. შეკითხვების დასმა
6. ორიენტირებული
7. ითვალისწინებს
8. დავდივარ
9. ძალდი
10. ადამიანები

V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ლიზა, შენი **სახლიდან სკოლამდე** ბევრი დრო გჭირდება?
- არა, მე აქვე ახლოს ვცხოვრობ, ბოტანიკურ **ბაღთან**. დილით ან ჩემი ძმის **მანქანით** მოვდივარ, ან **საზოგადოებრივი ტრანსპორტით** და სულ 10 წუთი მჭირდება. თუ **ფეხით** წამოვალ, მაშინ - 20-25 წუთი.
- მართლა? რა კარგია. მე კი შორს ვცხოვრობ **სკოლიდან** და **აქამდე** რომ მოვიდე, ბევრი დრო მჭირდება - მთელი ერთი საათი და თხუთმეტი წუთი.
- მეტრო?
- მეტროც შორსაა, ამიტომ დილით ადრე **მეტრომდე** ფეხით მივდივარ, **მეტროდან სკოლამდე** კი - ავტობუსით.
- უიიი...
- არა უშავს, პრობლემა არაა, მაგრამ ახლა დახმარება მჭირდება. დღეს გაკვეთილების შემდეგ ხელოვნების კაბინეტისთვის ბევრი

რამ უნდა შევიძინო. თუ შეიძლება, ნივთებს შენთან მოვიტან. ხვალ დილით კი შევხვდეთ შენს სახლთან და ყველაფერი ერთად მოვიტანოთ სკოლაში. რას ფიქრობ ამ იდეის შესახებ?

- ძალიან კარგი აზრია. თუ გინდა, დიდი სიამოვნებით წამოვალ შენთან ერთად მაღაზიაშიც.
- დიდი მადლობა, ლიზა.

VI. ჩასვით წინადადებებში შესაფერის ადგილას მოცემული სიტყვები:

1. გვერდით
2. წინ/უკან
3. ირგვლივ/გარშემო
4. გარშემო/ირგვლივ
5. მარჯვნივ/მარცხნივ
6. ზევით/ზემოთ
7. ქვევით/ქვემოთ
8. ქვეშ
9. უკან
10. მარჯვნივ/მარცხნივ/ პირდაპირ

2.3.

I. წაიკითხეთ წინადადებები. გზნები შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით და ჩასვით შესაბამის წინადადებებში საჭირო ფორმით:

1. ვამუშავებდი
2. იზრდებოდი
3. აღწერდა
4. გამოხატავდი
5. ვმსჯელობდი
6. გვეხმარებოდა
7. გადადიოდა
8. სვამდა
9. ვწერდი
10. გამოთქვამდნენ

II. ა) დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთს:

1. აქტიურად თანამშრომლობენ
2. გადაწყვეტილების მიღება
3. გამოცდილების საშუალებით
4. ლიტერატურული კონკურსი
5. სენსო-მოტორულ სტადიაზე
6. პრობლემის გადაჭრა
7. დამოუკიდებელი აზროვნება
8. თავისუფლად მსჯელობს
9. გავლენას ახდენს
10. მრავალმხრივი ინტელექტი
11. ეხმარებიან ერთმანეთს
12. აჩვენებდნენ ნიმუშებს

ბ) შედგენილი ზოგი შესიტყვება ჩასვით საჭირო ფორმით წინადადებებში:

1. გადაწყვეტილების მიღება
2. გამოცდილების საშუალებით
3. ლიტერატურული კონკურსი
4. სენსო-მოტორულ სტადიაზე
5. პრობლემის გადაჭრა
6. დამოუკიდებელი აზროვნება
7. თავისუფლად მსჯელობს
8. გავლენას ახდენს
9. მრავალმხრივი ინტელექტი
10. ეხმარებიან ერთმანეთს

III. დააკავშირეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით; გამოიყენეთ კონსტრუქცია: ... იმიტომ რომ ...

1. ერთი წლის ბავშვი შეკითხვას ვერ დასვამს, იმიტომ რომ კარგად არ იცის ლაპარაკი.
2. ბავშვი იწყებს ინფორმაციის გადამუშავებას, იმიტომ რომ მიიღოს გადაწყვეტილება.
3. უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის განვითარების სტადია, იმიტომ რომ ყველა სტადიაზე ბავშვი განსხვავებულად აზროვნებს.
4. უნდა ვიცოდეთ ბავშვის ასაკი, იმიტომ რომ გავიგოთ, როგორ დავეხმაროთ მას სწავლაში.
5. ბავშვი ვითარდება, იმიტომ რომ თანმიმდევრობით გადადის განვითარების ერთი სტადიიდან მეორეზე.
6. მეტროში ბევრი „ქუჩის ბავშვია“, იმიტომ რომ იქ ადვილია დახმარების მიღება.
7. სალომემ არ იცის რამდენია 5-2, იმიტომ რომ ჯერ მხოლოდ 4 წლისაა.
8. თეა ლოგიკურად მსჯელობს, იმიტომ რომ 14 წლის გოგოა და უკვე ფორმალური ოპერაციების სტადიაზეა.
9. თეა და მისი მეგობრები ბევრს ფიქრობენ „ქუჩის ბავშვებზე“, იმიტომ რომ ძალიან უნდათ ამ პრობლემის გადაჭრა.
10. ანას უნდა პროექტზე მათესთან ერთად იმუშაოს, იმიტომ რომ ის მისი უფროსი ძმია.

IV. წაიკითხეთ წინადადებები; ჩასვით საჭირო ადგილას სიტყვები: რა თქმა უნდა, იმედია, ალბათ

1. იმედია
2. რა თქმა უნდა
3. ალბათ
4. რა თქმა უნდა
5. იმედია
6. ალბათ
7. რა თქმა უნდა
8. ალბათ
9. იმედია
10. რა თქმა უნდა

V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- მოგესალმებით, მე ვარ გიორგი ბოკუჩავა, „მასწავლებლის

სახლის“ კონსულტანტი. დღეს ჟან პიაჟეს **თეორიაზე ვიმსჯელებთ**. რა არის თქვენთვის ცნობილი ამ ადამიანის შესახებ?

- ის ხომ შვეიცარიელი ფსიქოლოგი და ევროპის რამდენიმე **უნივერსიტეტის პროფესორია?**
- დიახ, ასეა. კიდევ რა იცით მის შესახებ?
- პიაჟემ ჩამოაყალიბა თეორია ბავშვის კოგნიტური განვითარების **ოთხი სტადიის** შესახებ.
- მართალია. **მოგწონთ** პიაჟეს თეორია?
- დიახ, პიაჟე **სწორად ფიქრობს**, რომ მასწავლებელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს მოსწავლის აზროვნების პროცესის განვითარებისთვის. **მართლაც**, მთავარი მართლ ის კი არ არის, მოსწავლის **პასუხი სწორია თუ არა**. საქმე ისაა, რა **გონებრივი პროცესი** გამოიყენა ამ პასუხის მიღებისათვის.
- რას ამბობს პიაჟე, როდის არის **ეფექტური** სასწავლო პროცესი?
- თუ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ბავშვის კოგნიტური განვითარების **არსებული სტადია**, მაშინ შედეგი აუცილებლად კარგი იქნება.
- დიახ, დიახ, ასეა, მაგრამ კიდევ ერთი რამ არის მნიშვნელოვანი: მართალია, განვითარების სტადიებს ყველა ბავშვი **ერთნაირი თანმიმდევრობით** გადის, მაგრამ ტემპი **განსხვავებულია**. მასწავლებელმა სასწავლო დავალებები ცალკე ჯგუფებისთვის უნდა დაგეგმოს და არა მთელი კლასისთვის.
- ჩვენ **ნიშნავს** განვითარების ინდივიდუალური სტადიის **გათვალისწინებით** ვწერთ.
- რა თქმა უნდა, ასეა. თქვენ იცით, როგორი მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში **მოსწავლის მოტივაცია**. ნიშნის დაწერა კი ამაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს.

VII. იპოვეთ და მონიშნეთ განსხვავებული სიტყვა:

1. სურვილი
2. შეფასება
3. პერსონაჟი
4. საშუალება
5. დაგროვება
6. შედეგი
7. სტადია
8. გავლენა
9. გადაჭრა
10. მოსწავლე

VIII. წაიკითხეთ წინადადებები. იპოვეთ შეცდომა და გაასწორეთ:

1. ახარისხებს
2. სტადიაზე
3. აქვს
4. გადადიან
5. ბავშვი
6. მნიშვნელოვანი
7. ინტელექტი
8. აგროვებს
9. ხარისხზე
10. უყვართ

III თავი

3.1.

I. ა) შეუცვალეთ გზნას ფორმა ნიმუშის მიხედვით:

1. გაიზრა
2. გაუზიარა
3. გააგრძელა
4. იპოვა
5. ამოხსნა
6. თქვა
7. შეადგინა
8. შეიძინა
9. დაეხმარა
10. გამოიყენა

ბ) ჩასვით გზნა შესაბამისი ფორმით წინადადებაში:

1. შეადგინა
2. გააგრძელა
3. შეიძინა
4. ამოხსნა
5. დაეხმარა
6. გაიზრა
7. გამოიყენა
8. გაუზიარა
9. თქვა
10. იპოვა

II. ა) წაიკითხეთ ტექსტი და შესაბამის ადგილზე ჩასვით მოცემული სიტყვები და ფრაზები საჭირო ფორმით:

ეროვნული სასწავლო **გეგმის** ერთ-ერთი მთავარი **მიზანი** არის ბავშვის სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება, რადგან ცოდნის მიღება სწორად აზროვნების **შედეგია**.

მოსწავლეს ცოდნის დაგროვებასთან ერთად, ამ ცოდნის გაცემა, **გააზრება**, ანალიზი და შეფასებაც **შეუძლია**. ამ დროს მოსწავლეს არა მხოლოდ აქვს ინფორმაცია, არამედ მას **პრაქტიკაში იყენებს** და თავის ცოდნას სხვა ბავშვებსაც **უზიარებს**.

აზროვნება არის უნარი, დავინახოთ, რომ ხშირად პრობლემის გადაჭრისთვის არსებობს არა ერთი, არამედ **რამდენიმე** გზა. კრიტიკული აზროვნება გვეხმარება, რომ ამ გზებს შორის **ვიპოვოთ** საუკეთესო და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება.

კრიტიკული აზროვნება გვეხმარება ასევე იმაში, რომ **განსხვავებულ** აზრზე გამოვხატოთ საკუთარი პოზიცია. უნდა გვახსოვდეს, რომ კრიტიკული აზროვნება არ ნიშნავს შეფასებას **მხოლოდ** ნეგატიური კუთხით.

III. ა) დააკავშირეთ სიტყვები:

1. სწრაფად გააზრება
2. მრავალმხრივი ინტელექტი
3. ერთნაირი მოსაზრება
4. კრიტიკული აზროვნება
5. ბეჭითი მოსწავლე
6. საინტერესო ექსკურსია
7. დეტალური ანალიზი
8. მიღებული გადაწყვეტილება

9. სასწავლო პრაქტიკა
10. დამოუკიდებელი მუშაობა

ბ) ჩასვით შესიტყვება შესაბამის წინადადებაში. გაითვალისწინეთ, ზოგჯერ საჭიროა სიტყვისთვის ფორმის შეცვლა:

1. საინტერესო ექსკურსია
2. ბეჯითი მოსწავლეა
3. მიღებული გადაწყვეტილების
4. მრავალმხრივ ინტელექტს
5. სასწავლო პრაქტიკა
6. სწრაფად გააზრება
7. ერთნაირი მოსაზრება
8. დეტალური ანალიზის
9. კრიტიკულად აზროვნებს
10. დამოუკიდებელი მუშაობის

IV. წინადადებაში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ბრუნვაში:

1. შედეგზე
2. ექსკურსიას
3. მოსაზრების
4. შესრულების
5. შენარჩუნებისთვის
6. გამოცდილებას
7. პროცესში
8. მეთოდმა
9. პრაქტიკის
10. სწავლებამ

V. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ლიზა, ცოტა თავისუფალი დრო გაქვს?
- კი, ახლა მაქვს დრო. რა გინდა?
- კრიტიკული აზროვნების ისტორიის შესახებ პრეზენტაცია უნდა გავაკეთო. შენი დახმარება მჭირდება.
- დიდი სიამოვნებით. ნინო, იცი, რომ კრიტიკული აზროვნება უკვე 2500 წელი ვითარდება?
- მართლა? ვინ იყო პირველი ადამიანი, რომელიც კრიტიკულად აზროვნებდა?
- სულ პირველი ვინ იყო, არ ვიცი, მაგრამ ერთ-ერთი პირველი ნამდვილად სოკრატე იყო, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი.
- და რაო, რა თქვა სოკრატემ კრიტიკული აზროვნების შესახებ?
- სოკრატემ თქვა, რაც უფრო მეტი იცი კონკრეტული საკითხის შესახებ, უფროკარგად ხედავ, რომ არაფერი იციო.
- ეგ როგორ?
- როგორ და ასე: რაც უფრო ბეჯითად სწავლობ, ხედავ, რომ კიდევ უფრო ბევრი უნდა გაიგო, გაიზარო და ისწავლო.
- გასაგებია. იცი რა მაინტერესებს? შენ იზიარებ სოკრატეს მოსაზრებას?
- კი, ნინო, ვიზიარებ. ვფიქრობ, რომ ნამდვილად ასეა. სწავლის პროცესს ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე ვერ დაამთავრებს და ვერც მიღებული ცოდნა იქნება საკმარისი.

VI. ხაზი გაუსვით გზის სწორ ფორმას:

1. გავიზარე
2. აღწერა
3. გაითვალისწინა
4. დაეხმარე
5. გამოვიყენე
6. გამოთქვა
7. ვუპასუხე
8. გაიზარე
9. შეავსოვ
10. გამოვიყენე

VIII. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1. +
2. +
3. -
4. -
5. +
6. -
7. +
8. +
9. -
10. +

IX. ჩასვით წინადადებაში გზები წარსული დროის ფორმით ნიმუშის მიხედვით და გამოიყენეთ კონსტრუქცია: - ის, გამო/ გარეშე/ შესახებ

1. გააგრძელა სოკრატეს შესახებ...
2. ... გაიზარა ... თანამშრომლობის გარეშე
3. ... იპოვე ... წიგნის გამო ..
4. ამოცანის გამო... ამოხსნა...
5. ... განვითარდა ... სოკრატეს შესახებ ...
6. თქვა გეგმის გარეშე
7. კონკურსის გამო ... ითანამშრომლეს
8. სტუდენტური ცხოვრების შესახებ გაუზიარა.....
9. გათვალისწინების გარეშე თქვა
10. დაკავშირების გამო ... გააგრძელა

3.2.

I. ა) შეუცვალეთ გზნებს ფორმა ნიმუშის მიხედვით:

1. გაანალიზა
2. გაიმეორა
3. ამოხსნა
